ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

გიორგი წიკლაურის

სამაგისტრო ნაშრომი
თემაზე:

პირად ჩხრეკასთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი ბესიკ მეურმიშვილი

თბილისი 2019

აბრევიატურა 3
შესავალი 4
თავი I.....6
ჩხრეკა და საზოგადოება.....6
1.1. ჩხრეკა და მისი სახეები.....6
1.2. პირადი ჩხრეკა როგორც უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი 8
1.3. მოქალაქეებში ინფორმაციის ნაკლებობა კანონიერი ჩხრეკის შესახებ 16
თავი II.....21
ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი და სასამართლო როგორც მაკონტროლებელი ორგანო 21
2.1. პროკურორი, გამომძიებელი და სამართალდამცავი პირების უფლებამოსილებები პირადი ჩხრეკის ჩატარებისას 21
2.2. სასამართლო როგორც მაკონტროლებელი ორგანო ჩატარებული პირადი ჩხრეკის მიმართ.....26
2.2.1. სასამართლო პრაქტიკა.....31
თავი III 36
თანამდებობის პირის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადი ჩხრეკა 36
3.1. საქართველოში თანამდებობის პირის პირადი ჩხრეკა 36
3.2. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან იმ პირის პირადი ჩხრეკა რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა 41
თავი IV 46
პირადი ჩხრეკა პენიტენციურ დაწესებულებაში.....46
4.1. პირადი ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი 46
4.2. ვიზიტორთა შემოწმება პენიტენციურ დაწესებულებაში.....50
4.3. პატიმართა ჩხრეკა. 53
დასკვნა 63
ბიბლიოგრაფია.....68

აბრევიატურა

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცეოს კოდექსი
შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო
ე.ი - ესე იგი.
ა.შ - ასე შემდეგ
სხვ. - სხვა
მაგ. - მაგალითად
ე.წ - ეგრეთ წოდებული
წპკ - წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი
რედ. - რედაქტორი
იხ. - იხილეთ
დას. ნაშ. - დასახელებული ნაშრომი

შესავალი

თემის აქტუალურობა. საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო და ამიტომ ისევ, როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩვენთანაც დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებებს და მის დაცვას. აღნიშნული ბრწყინვალედ ჩანს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომელმაც წლების განმავლობაში არა ერთი ცვლილება განიცადა. ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება 1998 წლისა და დღეს მოქმედი 2009 წლის სისხლის საპროცესო კოდექსები. დროთა განმავლობაში კოდექსში შედიოდა ცვლილები, რომელიც მიმართული იყო და არის მისი სრულყოფილებისაკენ, თუმცა ჩვენი განხილვის საგანი არის უშუალოდ პირად ჩხრეკასთან დაკავშირებული საკითხები. სსსკ 121-ე მუხლი ადგენს პირადი ჩხრეკის ჩატარების საფუძვლებს, იმ პირებს თუ ვის აქვს ჩხრეკის ჩატარების უფლება და მოქმედების თანინმიდევრულ აუცილებლობას, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არსებობს გარკვეული სახის პრობლემები პირადი ჩხრეკის ჩატარების პროცედურასთან. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა დღეს მოქმედი სსსკ ნორმების თანახმად ჩხრეკის ჩატარებისთვის დააწესა საკმაოდ მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტი და მისი დაცვა მოსთხოვა ყველა უფლებამოსილ პირს. მიუხედავად ამისა საგამოძიებო მოქმედბის ან საპოლიციო შემოწმების დროს მაინც წარმოიქმნება გარკვეული სახის სამართლებრივი პრობლემები.

ადამიანის პირადი ჩხრეკის ჩატარება და შემდგომი სამართლებრივი მოქმედებები უკავშირდება არა ერთ პრობლემას. თუ გადავხედავთ ქართულ და საერთაშორისო პრაქტიკას, პირველი რაც თვალში მოგვხდება ეს არის ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა. სამწუხაროდ პირადი ჩხრეკის დროს, ჩამტარებელი უფლებამოსილი პირის მიერ შეგნებულად თუ შეუგნებლად ხდება გასაჩხრეკი პირის უფლებები დარღვევა, იქნება ეს გადამეტებული ძალის გამოყენებით თუ არა სათანადო პირობებში (ჩხრეკა რომელიც მოითხოვს გაშიშვლებას ჩატარებულ უნდა იქნას ყველასგან იზოლირებულ ადგილას, სადაც მხოლოდ იქნებიან ჩხრეკის ჩამტარებელი პირი და საგამოძიებო მოქმედების ობიექტი) ჩატარებული ჩხრეკა. სსსკ დადგენილი ნორმების აშკარა და უხეში დარღვევა, (მაგ.: ჩხრეკის ოქმის არ შედგენა როდესაც მოქალაქეს არ აღმოაჩნდა კანონსაწინააღმდეგო ნივთი, თარჯმნის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა პირის მიმართ, რომელმაც არ იცის ქართული ენა და სხვ.) სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ არა საკმარის საფუძვლებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მტკიცებულებით სტანდარტს, უმიზეზო და შეურაცხმყოფელი ხშირი ჩხრეკები. პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სიტუაცია, დაწესებულების შინა განაწესით სხეულის სრული შემოწმების აუცილებლობა და სხვ. თავის მხრივ პრობლემას წარმოადგენს საზოგადეობაში არა საკმარისი ინფორმაცია თავიანთი უფლბების შესახებ, რომლითაც შეიძლება ბოროტად ისარგებლონ სამართალდამცავებმა.

ქართველი კანონმდებელი ცდილობს როგორც სსსკ ასევე არა ერთი კანონის, საერთაშორისო კანონმდებლობის და გამოცდილების ინტეგრირებით ქართულ სამართლებრივ სისტემაში აღმოფხვრას ზემოთ დასახელებული პრობლემები, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა არის პირადი ჩხრეკის კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარება.

ნაშრომის მიზანი. ნაშრომის მიზანია ქართული და უცხოური კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვის საშუალებით დადგინდეს ის პრობლემები, რომელსაც ვეჩეხებით პირადი ჩხრეკის პროცედურის ჩატარების დროს. მოხდეს აღნიშნული პრობლმების იდენტიფიცირება და სამართლებრივ დონოზე, განხილვა თუ რასთან არის დაკავშირებული თითოელი საკითხი, რატომ მოხდა აღნიშნული პრომების აღმოცენება და რა მიზეზით არის ის გამოწვეული. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია, როგორც ქართული ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმები, სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადადი ნაწილისა და დასკვნისგან. თავის მხრივ, ძირითადი ნაწილი შედგება ოთხი თავისაგან, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად. პირველი თავი ეხება, პირად ჩხრეკასა და საზოგადეობას ანუ თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებაში პირადი ჩხრეკის მიმართ და ასევე გარდა სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც საგამოძიებო ქმედებისა, რა დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული ადამიანის პირადი ჩხრეკა. მეორე თავი ეხება პირადი ჩხრეკის ჩამტარებელ უფლება მოსილ პირებს, ასევე სასამრთლოს დამოუკიდებელ ორგანოს რომელმაც უნდა შეამოწმოს პირადი ჩხრეკის კანონიერება და ასევე ამ თავში არის განხილული როგორც ევრო ასევე ქართული სასამართლოს რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი. მესამე თავი ეხება საქართველოში თანამდებობის პირების ჩხრეკას და ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელმაც არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა. მეოთხე თავში კი განხილულია საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული რეგულაციები პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით, ეს ეხება როგორც პატიმრებს ასევე დაწესებულებაში შემსვლელ პირებსაც, აქვე არის ასევე განხილული ევრო სასამართლოს რამდენიმე საქმე პენიტენციურ დაწესებულებასთან დაკავშირებით.

კვევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული და შედარებითი სამართლებრივი მეთოდი. საკვლელვი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადსხვა წყაროებიდან. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე მისი აკადემიური კომენატერები, ადამაინის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები და კვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტები.

თავი I

ჩხრეკა და საზოგადოება

1.1. ჩხრეკა და მისი სახეები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად იმისთვის, რომ პირის მიმართ მოხდეს ბრალდების წაყენება აუცილებელია არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მის ბრალეულობაში, შესაბამისად სისხლის სამართლის საქმის წარმოება ხორციელდება სსსკ ნორმების მიხედვით. სისხლის სამართლის საქმე მოიცავს ცალკეულ ძალიან მნიშვნელოვან სტადიებს, ერთ-ერთი ასეთი არის გამოძიება, რომელიც საკმაოდ რთულია და აუცილებლად უნდა ექცეოდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ჩარჩოებში.[1]

გამოძიების მიზანი არის ჩატარებული სხვდასხვა მოქმედების საშუალებით საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შეგროვება. ერთ-ერთი ასეთი საგამოძიებო მოქმედება არის ჩხრეკა, რომლის სახეობასაც წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანი პირადი ჩხრეკა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ძირითად უფლებებს, ისეთი როგორიც არის პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცულ სფეროში ჩარევას სახელმწიფოს მხრიდან.[2] შესაბამისად პიროვნების ან მისი საკუთრების ჩხრეკა წარმოადგენს იძულებით მოქმედბას, რომელიც აუცილებლად უნდა ექცეოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში.

როგორც ავღნიშნეთ სსსკ თანახმად არსებობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, ისეთი როგორიც არის, მაგ. ამოღება, დათვალიერება, ჩხრეკა და სხვ. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების წესი კანონმდებელმა ერთ მუხლში მოაქცია, რადგან აღნიშნულ ქმედებები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ჩხრეკის დროს ხდება მტკიცებულების ძებნა, რომელიც დაკავშირებული არის სისხლის სამართლის საქმესთან. სასამართლოს განჩინებაში მითითებული არის ის ნივთები, თუ რისი ამოღება და მოპოვება არის აუცილებელი, მაგრამ ჩხრეკის ჩამტარებელ პირს უფლება აქვს ასევე ჩხრეკის ჩატარების ადგილიდან ამოიღოს ის ნივთები, რომელიც „აშკარად“ დაკავშირებული არის ამ სისხლის სამართლის საქმესთან ან მიუთითებს ახალ დანაშაულზე.[3]

ჩხრეკის დროს შესაძლებელია უფლებამოსილი პირი შევიდეს, პიროვნების კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, სადგომში ან სხვა მფლობელობაში. უმეტეს შემთხვევაში, ჩხრეკა ტარდება ბრალდებულის მიმართ, მაგრამ ეს სულაც არ

---

[1] *მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2012,* 7

[2] ავტორთა ჯგუფი, (რედ.) ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017, 418

[3] იქვე. 418-419

გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს დაზარალებულთან, მოწმესთან და სხვ. ასევე ჩხრეკის ჩამტარებელს, უფლება აქვს მოახდინოს არა მარტო სადგომის, სათავსის ან სხვ. ჩხრეკა ასევე პიროვნების ან იქ მყოფი ყველა პირის ჩხრეკა, თუ მას წარმოექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს თან აქვს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება ან სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთი.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შეგვიძლია ვთქვათ არსებობს სხვადასხვა სახის ჩხრეკები ესენია: პირადი ჩხრეკა, საცხოვრებელი ადგილის, სატრანსპორტო საშუალების, დაცული ადგილის და სხვ. ჩხრეკის შედეგად უნდა იქნას აღმოჩენილი და ამოღებული საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება რომელიც არის მითითებული განჩინებაში, ასევე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთი ან ნივთიერება, ინფორმაციის შემცველი ობიექტი რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საქმეს, მაგრამ მიუთითებას სხვა დანაშაულზე.[4]

როგორც ვხედავთ პირადი ჩხრეკა წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებათა ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელიც სისხლის სამართლის საქმისთვის მტკიცებულების მოპოვების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა უნდა აღინშნოს, რომ პირადი ჩხრეკა არა მარტო მტკიცებულების მოპოვების „წყაროა", არამედ ის შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც დანაშაულის პრევენცია, პოლიციის თანამშრომლის მიერ შეიძლება შემოწმებულ და გაჩხრეკილ იქნას ნებისმიერი პიროვნება, რომლის მიმართაც წარმოიქმნება დასაბუთებული ეჭვი. შოტლანდიის კანონმდებელი აღნიშნავს, ამის მიზეზი არის საზოგადეობის უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების რომლებიც ხშირად ხდებიან არა კანონიერი მოქმედების მსხვერპლნი ან თავად სჩადიან მას.[5] აღნიშნული მიდგომა გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და სამართალდამცავ პირებს ქართული კანონმდებლობა აკისრებს საზოგადოებაზე ზრუნვას და მისი უსაფრთხოების დაცვას, თუმცა ამ ყველაფერზე უფრო დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

პირადი ჩხრეკის ცალკე მუხლად გამოყოფა და მისი ჩატარების უფლებამოსილი პირების დაკონკრეტება კანონმდებლის მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მისი, როგორც სამართლებრივი მოქმედბის ჩატარება ძალიან საფრთხილო საქმეა, ამიტომ ზუსტი და მკაფიო ნორმების ჩამოყალიბება აუცილებელია. პირადი ჩხრეკის ჩამტარებელმა პირმა სასურველია გაითვალისწინოს კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ დადგენილი სპეციფიკური ხერხები, მაგალითად ჩატარებულ იქნას ორი ერთი და იმავე სქესის თანამშრომლის მიერ და სხვ.[6]

პირადი ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების თანახმად ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილ პირს წარმოექმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ პიროვნებას თან აქვს საქმისთვის

---

[4] იქვე. 425-426

[5] *Scotland Police, Know Your Rights, https://www.scotland.police.uk/assets/pdf/keep_safe/know-your-rights., 5* (გამოხმობილია 13,07,2019)

[6] *მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2012,* 60-61

მნიშვნელოვანი მტკიცებულება რომლის თავიდან მოშორებსაც აპირებს ან საპოლიციო შემოწმების შედეგად შსს თანამშრომელი დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე მოახდენს პირის ჩხრეკას რათა აღმოჩენილ იქნას სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთი ან ნივთიერება. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოხდეს პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენა, რომელსაც აუცილებლად ამოწმებს სასამართლო.[7] უფრო დეტალურად პირად ჩხრეკასთან დაკავშირებულ საკითხებს და პრობლემებს ქვემოთ განვიხილავთ.

1.2. პირადი ჩხრეკა როგორც უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად განმტკიცებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრებისა და მის პირად სივრცესთან დაკავშირებული უფლებები, რომლის თანხმადაც ადამიანის პირადი ჩხრეკა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გარეშე აკრძალულია.[8] აღნიშნული უფლება დაცულია არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით არამედ საერთაშორისო აქტებითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიც განამტკიცებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.[9] იქედან გამომდინარე, რომ პირადი ჩხრეკა ზღუდავს ადმიანის უფლებებს, ჩხრეკის ჩამტარებელი პირი უნდო მოეკიდოს აღნიშნულს სრული პროფესიონალიზმით, რათა თავიდან იქნას აცილებული უფლებების დარღვევა. თუ პირადი ჩხრეკის დროს სამართალდამცავ პიროვნებას წარმოეშვება დასაბუთებული ვარაუდი მას შეუძლია პირის სხეულის ჩხრეკაც[10], აღნიშნულის უფლება მას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად აქვს.

ევროკონვენციაც უფლებას აძლევს სამართალდამცავებს მოახდინონ ნებისმიერ ადამიანის პირადი ჩხრეკა, როდესაც ეს გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, სახელმწიფო უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნით ანუ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონმდებელი პირად ჩხრეკას იყენებს, ერთგვარ უსაფრთხოების მექანიზმად. მართალია ეს სამართლებრივი ქმედება იჭრება ადამიანის უფლებებში, მაგრამ ამავდროულად ამით ცდილობს საზოგადოების დაცვას. აღნიშნულს იყენებს პრევენციის მიზნით რათა დროულად ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ცდილობს დაიცვას ადამიანების სიცოცხლე და უსაფრთხოება, ასეთ შემთხვევაში კონკრეტული პიროვნების უფლებების შეზღუდვა გამართლებულია, რადგან სახლემწიფო

---

[7] იხ. ავტორთა ჯგუფი, დას. ნაშ., 471-472

[8] *საქართველს კონსტიტუცია, 1995* წლის *24 აგვისტო*

[9] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი

[10] ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ.) გიორგაძე გ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), მერიდიანი, თბილისი, 2015. 392-393

ითვალისწინებს, რომ ნაკლები სამართლებრივი სიკეთის შეზღუდვა ემსახურება უფრო დიდ სამართლებრივი სიკეთის დაცვას.

კანონმდებელმა პოლიციის თანამშრომელს მისცა უფლება, პირის ზედაპირული დათვალიერაბისთვის მხოლოდ საკმარისი საფუძვლის არსებობისას, მაგრამ პირად ჩხრეკას იქედან გამომდინარე, რომ ეს ქმედება იჭრება ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდა და ჩხრეკის ჩამტარებელ პირებს გაცილებით მაღალი სამართლებრივი სტანდარი დაუწესა.

კანონი პოლიციის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს უფლებას აძლევს შეამოწმოს პირი, თუ მას წარმოეშვა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პიროვნებას თან აქვს კანონსაწინააღმდეგო ნივთი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან მას თან აქვს ისეთი ნივთიერება, რომლის გამოყენება კანონით არის აკრძალული, ხოლო ზედაპირული შემოწმების შედეგად თუ სამართალდამცავს წარმოექმნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილი საფუძველი მაშინ მას შეუძლია ჩაატაროს პირადი ჩხრეკა. მთავარია, რომ შემსრულებელი მოექცეს სსსკ ნომრებით დადგენილ ფარგლებში და არც ერთ შემთხვევაში არ გადააჭარბოს მასზე დაკისრებული უფლებამოვალეობას.[11]

იმისათვის, რომ მოხდეს დანაშაულებრივი ქმედებების შემცირება სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ პირადი ჩხრეკის ჩატარებას საზოგადოების წევრების მიმართ უფრო მეტი რაოდენობით ვიდრე ამის აუცილებლობა არის, რადგან ამით მათ შეძლონ, კანონ საწინააღმდეგო ქმედების წინასწარ აღკვეთა. შესაბამისად საგამოძიებო მოქმედება გამოიყენება დანაშაულის პრევენციის მიზნით. მაგალითად დიდ ბრიტანეთში, კერძოდ კი ინგლისსა და უელსში, გაზრდილი დანაშაულიდან გამომდინარე მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გაეზარდა პოლიციელების რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ პიროვნების პირადი ჩხრეკა. სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის 1994 წლის აქტის 60-ე მუხლის თანახმად მხოლოდ ოფიცრებს ჰქონდათ უფლება შეესრულებინათ პირადი ჩხრეკა, ხოლო 2019 წელს შეტანილი ცვლილებებით პოლიციის თანამშრომლებს უფრო ფართო უფლებები მიენიჭათ, რომელიც მათ აძლევთ საშულებას, მოახდინონ პირის პირადი ჩხრეკა, დასაბუთებული ვარაუდის გარეშე. ეს ყველაფერი დიდ ბრიტანეთში გამოწვეულია იმით, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით კი 2017 წლის შემდგომ ძალიან მოიმატა დანის გამოყენებით ჩადენილმა დანაშაულმა, გაიზარდა დანით მოკლული ადამიანების რიცხვიც. სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით 2019 წელს სახელმწიფო მდივანმა საჯიდ ჯავიდმა განაცხადა, რომ „პოლიციელები არიან წინა ხაზზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და ამიტომ საჭირო არის მათ ჰქონდეთ უფრო მეტი ბერკეტი, მის დასაცავად“, ამ არგუმენტზე დაყრდნობით მან შეიტანა ცვლილება კანონმდებლობაში[12]. პირადი ჩხრეკის ჩატარებით ბრიტანეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ მოხდება შესაძლო დამნაშავეთა წინასწარი

---

[11] *საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ.* 22-ე მუხლი. 2013 წლის 4 ოქტომბერი

[12] Taylor M., (31.03.2019). Police given more stop and search powers to tackle knife crime. *The Guardian* https://www.theguardian.com/uk-news/2019/mar/31/police-given-more-stop-and-search-powers-to-tackle-knife . (გამოხმობილია 13,7,2019)

იდენტიფიცირება და შეძლებენ, დანაშაულის ჩადენის დაწყებამდე აღკვეთონ პირის მიერ არასამართლებრივი ქმედებები.

ზემოთ აღნიშნულ პრაქტიკას რა თქმა უნდა საქართველოშიც შევხვდებით. იმისათვის, რომ დანაშულებრივი ქმედებები შემცირდეს და მოხდეს წინასწარ მისი აღმოფხვრა. შესაძლო არა კანონიერი ქმედების თავიდან არიდების მიზნით, პოლიციელების მიერ ხდება გახშირებული შემოწმებები, პირადი ჩხრეკები, რომელიც როგორც წესი მალევე სრულდება[13] თუ რა თქმა უნდა პირს კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ აღმოაჩნდა.

ბრიტანეთში ერთ-ერთ რაიონში ჩატარდა არსებული პოლიციის განყოფილების 2004-2014 წლის მონაცემების კვლევა და დადგინეს, რომ გარკვეულ პერიოდებში როდესაც ხდებოდა პოლიციის თანამშრომლების მიერ გახშირებული პირადი ჩხრეკები, ამით დანაშაულებრივი ქმედება მართალია მცირდებოდა, მაგრამ არა შესამჩნევად, არამედ დაბალი პროცენტით. ანალიზის ავტორები მიიჩნევენ, რომ გახშირებული ჩხრეკა არ არის ყოველთვის დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო გადაწყვეტილება, რადგან ისინი თვლიან, რომ თითოეულ დანაშაულს ისევ როგორც დამნაშავეს ჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. მუშაობის დროს მათ აღმოაჩინეს, რომ შემცირდა ისეთ დანაშაულებრივი ქმედებები, როგორიც არის წვრილმანი ხულიგნობა, ძალადობა და სხვ. მაგრამ მძიმე დანაშაულების აღკვეთა სამწუხროდ გახშირებული ჩხრეკებით ვერ მოხერხდა.[14]

ასევე აღნიშნავენ, რომ პოლიციელის მიერ პირადი ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ავტორთა აზრით კარგი იქნება თუ პოლიციის თანამშრომელი როდესაც გააჩერებს პირს, გაესაბროს მას, დაუსვა რამდენიმე კითხვა, ანუ შეეცადოს შევიდეს კონტაქტში საზოგადოების წევრთან, მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია რადიკალური ზომების მიღების გარეშე, არ არის აუცილებელი თავიდანვე უხეში საშუალების გამოყენება, მხოლოდ ამის შემდეგ თუ მას წარმოექმნა საფუძვლიანი ეჭვი მოახდინოს პირის ჩხრეკა, რადგან როდესაც პოლიციის თანამშრომელი ფიზიკურად ეხება ადამიანს და ახდენს მის ჩხრეკას, ყოველგვარი საფუძვლიანი ეჭვის გარეშე ამით ის მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ახდენს და არა კანონმდებლობის დაცვასა და მის შესრულებას. სწორედ ასეთ დროს წარმოიშვება პრობლემები, რადგან ხშირ შემთხვევაში თანამშრომლების მიერ ხდება პიროვნების მიმართ უფლებების დარღვევა, რაც შემდგომში იწვევს სასამართლო დავების წარმოებას დარღვეული უფლების აღსადგენად. აღნიშნული კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ დანაშაულის პრევენციას შესაძლებელია მხოლოდ მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც პოლიციელის მიერ ხდება მიზანმიმართული პირადი ჩხრეკები, რომელიც ექცევა კანონმდებლობით დაწესებულ რეგულაციებში და სამართალდამცავები არ ცდილობენ უხეში და უკანონო ქმედებით დააკნინონ ადამიანის უფლებები.[15]

---

[13] *ბოხაშვილი გ., მშვენიერიძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში,* 2016. 19

[14] College of Policing. (2017). *Does more stop and search mean less crime?* 3-4

[15] იქვე 4

არსებობს აზრი, როგორც პოლიტიკურ ასევე სამეცნიერო საზოგადეობაში, რომ გახშირებული პირადი ჩხრეკების შედეგად ხდება არა დანაშაულის შემცირება, არამედ ხალხში ნდობის დაკარგვა პოლიციის მიმართ და ისინი ნაკლებად ცდილობენ თანამშრომლობას. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ პოლიციელების მიერ უმიზეზო ჩხრეკებით აშკარად ირღვევა ადამიანის უფლებები, ბრიტანეთში ამ მიზეზის გამო მოხდა დისკრიმინაციის გაღვივებაც, რაგდან შავკანიანი ადამიანები გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდნენ და ხდებიან ჩხრეკის ობიექტები ვიდრე თეთრკანიანები,[16] ამიტომაც 2014 წელს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა შეცვალა პირადი ჩხრეკისადმი მიდგომა და მოითხოვა პოლიციელების მიერ უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და პატივისცემა ადამიანის უფლებებისადმი, რადგან ის აღშფოთებული იყო იმ რიცხვით (დაახლოებით 250 000), რომლის მიხედვითაც ადამიანების მიმართ ჩატარდა არაკანონიერი პირადი ჩხრეკები.[17]

ასევე აღსანიშნავია დღევანდელი მდგომარეობაც, როდესაც მოხდა პოლიციელების უფლებების გაფართოება და პირადი ჩხრეკის უფლება კიდევ უფრო მეტ თანამშრომელს მიეცა. პოლიტიკურ საზოგაედოებაში აღნიშნულს გამოუჩნდა მოწინააღმდგეები, რომელთა აზრითაც არასწორია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება. ისინი თავის პოზიციას იმით განმარტავენ, რომ პირადი ჩხრეკა, როგორც დანაშაულის პრევენციის მიზანი „არის იაფფასიანი ხრიკი“ , ამით მოხდება მხოლოდ ადამიანის უფლებების დარღვევა და საზოგადოებაში პოლიციის როლი დაკნინდება, რადგან საზოგადოებას გაუქრება ნდობა მათ მიმართ, არ მოისურვებენ საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობას და აღნიშნავენ, რომ პირადი ჩხრეკების რაოდენობის გაზრდით არ მოხდება დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა.[18]

პოლიტიკოსებიც და მეცნიერებიც აღნიშნავენ, რომ საზოდებას ჭირდება პოლიციელების მიმართ ნდობის გაზრდა და არა მათში შიშის გაღვივება, ისინი მიიჩნევენ, რომ პოლიცელბს უნდა ჰქონდეთ უფრო მეტი „ურთიერთობა“ მოსახლეობასთან, ისინი პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ მათ და არ უნდა შეზღუდონ ადამიანის უფლებები გარდა აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა. მოხდეს მათი პირადი ჩხრეკა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის საფუძვლიანი ეჭვი ექნება პოლიციის თანამშრომელს და არა ნებისმიერ დროს როდესაც, ამის სურვილი თავად პოლიციელს გაუჩნდება. პირადი ჩხრეკა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი და არა პოლიციის მიერ ძალის დემონსტრირების „იარაღად“. სწორედ მიზანმიმართული ჩხრეკების შედეგად უნდა მოხდეს დანაშაულის პრევენცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოსახლეობა დაკარგავს მათ მიმართ ნდობას, აღნიშნულის შესახებ წერენ კვლევის ავტორები თავიანთ დასკვნაში. საზოგადოებამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა

---

[16] Travis, A. (30,04,2014). Theresa May announces reform of police stop-and-search powers. *The Guardian* . https://www.theguardian.com/law/2014/apr/30/theresa-may-reform-police-stop-and-search-powers , გამოხმობილია 13,07,2019

[17] იქვე

[18] Taylor, M. (31,03,2019). Police given more stop and search powers to tackle knife crime. *The Guardian*. https://www.theguardian.com/uk-news/2019/mar/31/police-given-more-stop-and-search-powers-to-tackle-knife , გამოხმობილია 13,07,2019

დაკარგოს ნდობა პოლიციის მიმართ, რადგან ეს გაცილებით მეტ პრობლემას გამოიწვევს ვიდრე ჩხრეკის კანონიერად ჩატარება, ამიტომ სამართალდამცავებმა თავიანთი ქმედებებით ამის საფუძველი არ უნდა მისცენ მოსახლეობას.[19]

პირადი ჩხრეკის ჩატარებისას სამართალდამცავი პირის უფლებამოსილებები შეზღუდული უნდა იყოს კანონმდებლობით, აქედან გამომდინარე პოლიციელიც აუცილებლად უნდა მოქმედებდეს კანონით გათვალისწინებული საზღვრების ფარგლებში და არავით შემთხვევაში არ უნდა შეეცადოს აღნიშნულის დარღვევას. ჩხრეკის ჩატარებისას შეიძლება ზიანი მიადგეს დემოკრატიული საზოგადებასა და კანონმდებლობას. როდესაც ხდება უმიზეზო და არაფრის მომცემი მოპყრობა სამართალდამცავთა მიერ უმეტესად ზიანდება ადამიანის უფლებები, ისეთ როგორიც არის პატივი და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვ. ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა იწვევს საზოგადოებაში შიშის, უსიამოვნო დამოკიდებულის და ნდობის კარგვას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება ჩხრეკის დროს არის ის, რომ უფლებამოსილება არ იქნას გამოყენებული დამთრგუნველად , რათა საზოგადოების წევრმა თავი არ იგრძნოს შეურაცხყოფილად, განსაკუთრები მათ ვინც საზოგადოების უმცირესობათა ჯგუფებს წარმოაგდენენ, მათ მიერ არ უნდა იქნას აღქმული პირადი ჩხრეკის ჩატარება, როგორც მათი შეურაცხყოფის ან დისკრიმინაციის საშუალება.[20]

ისევ როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში საქართველოშიც, ჩხრეკა ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია, როგორ დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება, არა ერთხელ ჩაუტარებიათ სამართალდამცავებს საპოლიცო რეიდები, რის შედეგადაც ხდებოდა მოქალაქეების გაჩერება, ინფორმაციის გამოკითხვა და პირადი ჩხრეკები.

2013 წელს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა რეიდების შესახებ რის შედეგადაც დაადგინეს, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა გადაუდებელი აუცილებლობით, რომელთაც სამართალდამცავები არ ატარებდნენ კანონმდებლობის სრული დაცვით.[21]

---

[19] College of Policing. (2017). *Does more stop and search mean less crime?* 19-20

[20] კროუშოუ რ., (რედ.) ჯოხაძე გ., *პოლიცია და ადამიანის უფლებები,* 2006, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10-TI--4----Doc---0-1l--10-ka-50---20-about-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98--00-3-1-00-0-0-01-0-0utfZz-8-00&cl=search&d=HASHb843a3970f60a05b01f3f6&gt=2 გამოხმობილია. 12,07,2019

[21] *საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო. არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება ბოლო პერიოდში პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდების შესახებ,* https://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiata-ertoblivi-gantskhadeba-bolo-periodshi-politsi , გამოხმობილია 13,07,2019

მართალია აღნიშნულ კვლევაში არ არის საუბარი რამდენად მოახდინა ჩატარებულმა ჩხრეკებმა დანაშაულის პრევენციაზე გავლენა, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გახშირებული რეიდის დროს პოლიციის მიერ მომატებული „ყურადღების“ გამო, მოქალაქეთა გარკვეული ნაწილს შეექმენებოდა „დისკომფორტი“. თუ ისინი ჩვეულებისამებრ თან ატარებდნენ კანონით აკრძალულ ნივთებს, იძულებულნი გახდებოდნენ მორიდებოდნენ მსგავს ქმედებებს, რადგან არსებობდა საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოხდებოდა მათი პირადი ჩხრეკა და აღნიშნული ნივთების აღმოჩენა რაც გაცილებით მეტ პრობლემას შეუქმნიდათ. ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ პოლიციის თანამშრომლებმა უნდა იმოქმედონ კანონმდებლობით დადგენილი ზომის და ფარგლების გადაცილებით, მათ აუცილებლად უნდა აკონტროლონ თავიანთი თითოეული ნაბიჯი, ყურადღება მიაქციან მათ მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკა სრულად აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო ზომები ვერ იქნებოდა მიღწეული. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ და როგორც უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს საზოგადოება კარგავს ნდობასა და პატივისცემას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, ისეთ შემთხვევაში როდესაც პოლიცია ჩაატარებს ჩხრეკას უმიზეზოდ მათი უფლებების დარღვევების ხარჯზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ აზრი, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარება შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ საშუალებად, რადგან როგორც ქართული და საერთაშორის პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა ფაქტია, რომ სწორად და კანონმდებლობის დაცვით ჩატარებული პირადი ჩხრეკები ხელს უწყობს საზოგადოებაში მათი პასუხისმგებლობის გაზრდას, ისინი ვალდებულნი არიან უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრან კანონმდებლობას, თავი აარიდან უსიამოვნებებს, რომელიც გამოწვეული იქნება ისევ და ისევ თავიანთი არასწორი და გულგრილი დამოკიდებულით კანონმდებლობის მიმართ. შესაბამისად როდესაც მათში იქნება გააზრებული ის გარემოება, რომ შესაძლებელია მათი პირადი ჩხრეკა ჩატარდეს კანონმდებლობის სრული დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს მათი უფლებები, არ მოხდეს მათ მიმართ გადაჭარბებული საპოლიციო ძალაუფლების გამოყენება, ადგილი არ ქონდეს მათ შეურაცხყოფას, მათ მოეპყრან სრული პატივისცემით, ასეთ შემთხვევაში საზოგადოებას ვფიქრობ არ გაუჩნდება პრობლემა იმის მიმართ, რომ პოლიციის თანამშრომლები პირადი ჩხრეკის ჩატარებით ცდილობენ დაიცვან მათი ან სხვისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. სწორედ ასეთი მიდგომით მოხდება საზოგოებაში არა პოლიციელთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულის ჩამოყალიბება, არამედ პირიქით, საზოგადოება მზად იქნება მათთან თანამშრომლობისთვის და არ ექნებათ იმის შეგრძნება, მათ ეპყრობიან როგორც ეჭვმიტანილებს. თავის მხრივ პოლიციის თანამშრომლებიც აუცილებლად უნდა იყვნენ ნამდვილი პროფესიონალები, უნდა იცოდნენ ყველა ის უფლება რაც მოქალაქეს გააჩნია და რა თქნა უნდა თავიანთი უფლებამოსილების შესახებაც არ დაავიწყდეთ, არც ერთ შემთხვევაში არ მოახდინონ თავიანთი უფლებების გადაჭარბება, არ მიაყენონ შეურაცხყოფა საზოგადოების წევრს, არ

მოახდინონ მათი დისკრიმინაცია არც ერთი ნიშნის მიხედვით[22]. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის რაზეც საუბრობს სხავდასხვა მეცნიერი, პოლიტიკოსი თუ ანალიტიკოსი, ის რომ საზოგადეობას გაუჩნდება არა პატივისცემა პოლიციელთა მიმართ, არამედ პირიქით მათ ექნებათ ძალიან უარყოფითი და ცუდი დამოკიდებულა, მათ საჭიროების დროს არ ექნებათ სურვული ითანამშრომლონ პოლიციასთან, იმ დროს როდესაც შეიძლება სწორედ სამართალდამცავებს დასჭირდებათ მათი დახმარება[23].

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სწორედ პოლიციელებზე არის დამოკიდებული თუ რამდენად სწორედ მოახდენენ ისინი პირადი ჩხრეკის ჩატარებას, რამდენად შეძლებენ ისინი თავიანთი ცოდნის ხარჯზე გაუმკლავდნენ ყველა იმ პრობლემას, რომელთანაც არის დაკაშირებული ადამიანის პირადი ჩხრეკა, შეძლებენ თუ არა ისინი, მათვის კანონით მინიჭებული პასუხისმგებლობის სწორად შესრულებას და პირად ჩხრეკას გამოიყენებენ, როგორც „იარაღს“ დანაშაულთან საბრძოლველად, თუ პირიქით პირადი ჩხრეკის წყალობით ისინი საზოგადოებაში, მხოლოდ შიშსა და უკმაყოფილებას გამოიწვევენ, რომელიც დანაშაულის პრევენციის ნაცვლად, პირიქით მომატების ერთ-ერთი მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. პირადი ჩხრეკა პოლიციის მიერ გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ სამართლებრივი მიზნებისთვის და არა მათი ძალის დემონსტრაციისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ, პირად ჩხრეკაზე, როგორც უსაფრთხოების მექანიზმზე აუცილებლად უნდა ვახსნოთ, სკოლის მოსწავლეების შემოწმება, უშუალოდ მათი და ასევე პირადი ნივთების ჩხრეკა.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია სკოლის მოსწავლის შემოწმება, მაგრამ რა თქმა უნდა კანონმდებელმა დაიცვა საერთაშირისო გამოცდილება, ამიტომ სკოლის მოსწავლის შემოწმება შესაძლებელია, მხოლოდ უკონტაქტოდ მეტალო დეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე.[24] აღნიშნული კანონის ფარგლებში, სკოლის მოსწავლის შემოწმება შეუძლია სკოლის მანდატურს ან მანდატურის უფლებამოსილების შემსრულებელს, რომელსაც უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული შემოწმების მიზანი არის, აღმოჩენილ იქნას კანონსაწინააღმდეგო ნივთები, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას არასრულწოვნის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული შემოწმების დროს, მანდატურმა ან შემსრულბელმა პირმა შემოწმების შესახებ წინასწარ უნდა გააფრთხილოს მოსწავლე, შემოწმება აუცილებლად უნდა ჩატარდეს სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილას იმავე სქესის მანდატურის ან ულფებამოსილი პირის მიერ. შემოწმების შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნა ისეთი ნივთი, ან ნივთიერება რომლის კონტროლი დამოკიდებული არის სამართალდამცავ ორგანოებზე, აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ უნდა

---

[22] *იქვე.*

[23] College of Policing, *Does more stop and search mean less crime?*, 2017, 19-20

[24] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 20 , 2005 წლის 8 აპრილი.

ეცნობოს მშობელს და სამართალდამცავ ორგანოს, აღნიშნული ნივთი კი უნდა გადაეცეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ნივთი არის ამოღებული ჩხრეკის შედეგად, მშობელს ან სამართალდამცავებს. სკოლებში, სკოლის მოსწავლეების შემოწმება ემსახურება მხოლოდამხოლოდ საზოგადოების და პირველ რიგში, სწორედ სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოებას, რათა არასრულწოვლნების მიერ არ მოხდეს და წინასწარ იქნეს აღკვეთილი კანონმდებლობით აკრძალული ქმედების ჩადენა.

მსოფლიოს სხავდსხვა ქვეყანაში ისევე როგორც საქართველოში, დიდ ყურადღებას აქცევენ, სკოლის მოსწავლის უსაფრთხოებას და ამავე დროს მის უფლებებს. მაგალითად აშშ კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ კი კონსტიტუციის მეოთხე შესწორების თანახმად, დაცულია ადამინის პირადი ცხოვრება და მისი პირადი ნივთები უმიზეზო ჩხრეკისაგან. აღნიშნული რა თქმა უნდა ეხება სკოლის მოსწავლეებსაც, მაგრამ ამერიკელი კანონმდებელი უფლებას აძლევს სკოლის თანამშრომლებს მოახდინონ მოსწავლეების ჩხრეკა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ექნება დამაჯერებელი მიზეზი, რომ მოსწავლეს თან აქვს კანონსაწინააღმდეგო ნივთი. რაც მთავარია ეს მიზეზი და ინფორმაცია, რომელიც შემოწმების საფუძველი გახდა უნდა იყოს უტყუარი და ეყრდნობოდეს ისეთ წყაროს, რომელიც იძლევა მისი სანდოობის საშუალებას. კანონმდებელი ასევე სკოლებს უფლებას აძლევს გამოიყენოს მეტალ დეტექტორი სკოლის შესასვლელებში რათა დაცული იქნან მოსწავლეები. ასევე ისეთი მეტალ დეტექტორის გამოყენება, რომელიც ხელთ ექნება სკოლის თანამშრომელს, მაგრამ რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის საფუძვლიანი მიზეზი ექნება.[25] სკოლის მოსწავლის ჩხრეკის უფლება აქვს, ასევე ე.წ „სკოლის მანდატურის“ სამსახურის თანამშრომელს (School Resource Officers). სასამართლოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მანდატურს ისეთივე უფლებები აქვს, როგორ სკოლის თანამშრომლეს და მას შეუძლია იმოქმედოს გონივრული ეჭვის სტანდარტით, ხოლო სასამრთლოების მეორე ნაწილი კი მანდატურს ანიჭებს პოლიციის თანამშრომლთან გათანაბრებულ სტატუს, რომელმაც უნდა იმოქმედოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, აქედან გამომდინრე ზუსტი მიდგომა არ არსებობს აშშ, თუ რა შემთხვევაში უნდა მოახდინოს თავისი უფლებების გამოყენება „სკოლის მანდატურმა“ (School Resource Officers). აშშ-ს კანონმდებლები დიდ ყურადღებას აქცევს სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოებას, ამიტომ მათ სკოლის წარმომადგენლებს და მანდატურებს უფლება მისცეს, გაჩხრიკონ მოსწავლის პირადი მერხი და კარადა, რადგან ისინი ითვლება სკოლის საკუთრებად, აღნიშნულის შესახებ კი საერთოდ არ შეატყობინონ არც მოსწავლეს და არც მოსწავლის მშობელს.[26]

სკოლის მოსწავლეების ჩხრეკა არის უმნიშვნელოვანესი, მათი უსაფრთხოებისათვის, მაგრამ სკოლის ადმინისტრაცია ვალდებული არის დაიცვას

[25] Meador, D. (2017, May 9). Search and Seizure in Schools and Fourth Amendment Rights: https://www.thoughtco.com/search-and-seizure-in-schools-3194666 , გამოხმობილია 13,07,2019

[26] *Kids Legal*. (n.d.). Retrieved from School Searches and Seizure: https://kidslegal.org/school-searches-and-seizure გამოხმობილია 13,07,2019

ის ოქროს შუალედი, რომელიც გადის მოსწავლის უსაფრთხოებასა და მათი უფლებების დაცვას შორის. აქედან გამომდინარე არ უნდა შექმნას ისეთი სისტემა და ჩხრეკის ისეთი პირობები, რომელიც უხეშად დაარღვევს მოსწავლეების უფლებებს. იმისთვის,რომ ჩხრეკა სწორი გზით ჩატარდეს და მიაღწიოს სასურველ შედეგს აუცილებელია, რომ კანონმდებლობის შემუშავების მომენტში, ერთად იმოქმედონ, როგორც სკოლების წარმომადგენლებმა, ასევე მოსამართლეებმა და მეცნიერებმა, რათა შეძლონ ისეთი პრობლემური საკითხის, როგორც მოსწავლეთა ჩხრეკა და შემოწმებაა ოპტიმალური საშულებებით გადაჭრა. მსაგვსი ერთობლივი მუშაობის შედეგად შესაძლებელი იქნება, ერთმანეთისგან მკაფიოდ იყოს გამიჯნული უკანონო და კანონიერი პირადი ჩხრეკები და შემოწმებები, იქნება შემუშავებული მიდგომა თუ რა დროს და როგორ უნდა იყოს გამოყენებული მეტალო დეტექტორები და სხვ. ტექნიკური საშუალებები. როდის უნდა მოხდეს უკითხავად და ნებართვის გარეშე, სკოლის და მოსწავლის საკუთრების (მერხების, შემნახველი კარადების) შემოწმება და ჩხრეკა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს ისწავლონ მშვიდ და წყნარ გარემოში, მათ ექნებათ იმედი რომ არ მოხდება მათი უფლებების შეზღუდვა უმიზეზოდ, რაც ერთი-ორად გაზრდის, სასიამოვნო სწავლების და მუშაობის გარემოს, საერთო და ერთობლივი მუშაობით სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს შორის შეიქმენა, სასიამოვნო და დადებითი გარემო, რომელიც ორივე მხარისთვის მხოლოდ კარგის მომტანი იქნება.[27]

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების და მაგალითების საშუალებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მოსწავლეების ჩხრეკა არის უმნიშვნელოვანესი საზოგადოების და პირველ რიგში მათი, როგორც საზოგადეობის უნიკალური ნაწილის, უსაფრთხოებისათვის და განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ ავღნიშნე კანონმდებელმა ყოველთვის უნდა დაცვას ის ოქროს შუალედი რომელიც გადის უსაფრთხოებასა და სკოლის მოსწავლეების უფლებებს შორის და არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მისცეს თავს უფლება შეზღუდოს ბავშვთა უფლებები. მოსწავლეების სწორი განვითარება, ნებისმიერი ქვეყნის წარმატების უპირობო საწინდარია.

1.3. მოქალაქეებში ინფორმაციის ნაკლებობა კანონიერი ჩხრეკის შესახებ

საქართველოში დღეს საზოგადოების უმეტესობამ არ იცის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სამართალდამცავი პირის მიერ პირადი ჩხრეკა, ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიციის თანამშრომელს არც ერთ შემთხვევაში არ აქვს მისი გაჩხრეკის უფლება და ამით მისი, კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის უფლებები ირღვევა. სამართალდამცავები კი ხშირ შემთხვევაში ბოროტად სარგებლობენ, საზოგადების გამოუცდილობითა და აღნიშნული საკითხისადმი არა სრული ცოდნის გამო და ისინი გარკვეულ შემთხვევებში, ჩხრეკას თავიანთი უფლებამოსილების

[27] Ehlenberger, K. R. (2002). The Right to Search Students. *EDUCATIONAL LEADERSHIP*, http://www.ascd.org/publications/educational-leadership/dec01/vol59/num04/The-Right-to-Search-Students.aspx გამოხმობილია 12,07,2019.

გადაჭარბებით ატარებენ, რაც საზოგადოებაში იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას, საბოლოო ჯამში პოლიციის და სამართალდამცავთა მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი ხდება.

საქართველოს კანონის პოლიციის შესახებ თანახმად პოლიციას უფლება აქვს, დანაშაულის პრევენციის მიზნით მიმართოს სხვადასხვა სამართლებრივ მოქმედებას, ისეთი როგორიც არის, მოქალაქის გამოკითხვა, რომელიც არის ნებაყოფლობითი და პიროვნებას აუცილებლად უნდა განემარტოს მისი უფლებები მის დაწყებამდე. ამასთანავე შსს თანამშრომელს კანონით აქვს უფლება მოახდინოს პირის იდენტიფიცირება, გამოძახება პოლიციის განყოფილებაში და ზედაპირული შემოწმება.[28]

თავის მხრივ ზედაპირული შემოწმება არ უნდა აგვერიოს არც ერთ შემთხვევაში პირად ჩხრეკაში. პირად ჩხრეკასთან დაკავშირებულ ნორმებს და პირობებს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, პირადი ჩხრეკა ჩაატაროს გამომძიებელმა, პროკურორმა და დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა, როდესაც იქნება დასაბუთებული ვარუდი, რომ კონკრეტულ პირს აქვს კანონით აკრძალული ნივთი, ან სამოქლაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერება, ან პირს თან აქვს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება.[29] ორივე შემთხვევაში, როგორც ზედაპირული დათვალიერების ასევე პირადი ჩხრეკის დროსაც ოქმის შედგენა, არის აუცილებელი.[30]

რა თქმა უნდა ზედაპირული დათვალიერება და პირადი ჩხრეკა ერთმანეთში არასდროს არ უნდა აგვერიოს. პოლიციელს ზედაპირული ჩხრეკის დროს უფლება აქვს მხოლოდ ადამიანის ტანსაცმელს შეეხოს ზედპირულად ან რაიმე სპეციალური ხელსაწყოთი მოახდნიოს სკანირება, არ შეიძლება მისი ჯიბეების, პირადი ნივთების და სხვ. შემოწმება, როდესაც პოლიციის თანამშრომელი მოითხოვს, რომ მოქალაქემ მას მისცეს უფლება ჯიბეების შემოწმების ეს უკვე არის პირადი ჩხრეკა. მტკიცების სტანდარტიც ამ ორ შემთხვევაში რა თქმა უნდა განსხავებულია, პირადი ჩხრეკისას კანონმდებელმა უფრო მაღალი სტანდარტი დაადგინა და მიიჩნია, რომ ადამიანის უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელია არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის, ხოლო ზედაპირული შემოწმებისას მხოლოდ საკმარისი მონაცემების არსებობაც კი არის საფუძველი პირის შესამოწმებლად.[31] ეს ყველაფერი ვფიქრობ იმით არის გამოწვეული, რომ პირადი ჩხრეკისგან განსხვავებით ზედაპირული დათვალიერება ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ბევრად ნაკლებად იჭრება ვიდრე პირადი ჩხრეკა. პირადი ჩხრეკის დროსაც და ზედაპირული დათვალიერებისას, ხდება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა, რადგან ორივე შემთხვევაში მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს, პოლიციის თანამშრომლის ან იმ პირის მოთხოვნას, რომელსაც უფლება აქვს ჩაატაროს ადამიანის პირადი ჩხრეკა

---

[28] საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ. 2013 წლის 4 ოქტომბერი 18-22 მუხლები

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძე , (რედ.), 2015, 393

[30] იხ. ავტორთა ჯგუფი. 2017, დას. ნაშ. 432

[31] იქვე. 432-433

და გარკვეული დროის მანძილზე შეეზღუდოს თავისუფლად გაადაგილების უფლება.

ზედაპირული დათვალიერება და პირადი ჩხრეკა ასევე ერთმანეთისგან განსხვავდება, მისი ხანგრძლივობის მიხედვით, ზედაპირული დათვალიერების დროს, მისი ხანგრძლივობა მკაცრად არის განსაზღვრული და ეს არის, პიროვნების გაჩერებიდან მაქსიმუმ 30 წუთი, ხოლო პირადი ჩხრეკის ხანგრძლივობა, კანონით არ არის დადგენილი[32].

ზემოთ უკვე ავღნიშნე, რომ საქართველოს მოქალაქეებში არ არის საკმარისი ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რა უფლებები აქვთ მათ, როდესაც პოლიციის თანამშრომლების მიერ ხდება მათი გაჩერება, გამოკითხვა, ზედაპირული დათვალიერება და პირადი ჩხრეკა. რა თქმა უნდა საზოგადოებას არ მოეთხოვება, სამართლებრივად ზუსტად იცონდენ მათი უფლებებისა, ვალდებულებების და მოვალეობის შესახებ რაც სამართალდამცაველებს გააჩნიათ. ამიტომ ვფიქრობ რომ სულ მცირედი ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონდეთ თუ როგორ შეუძლიათ მოიქცნენ პირადი ჩხრეკის დროს. თავის მხრივ აქ წარმოიშვება მეორე პრობლემა, რომელიც უკავშირდება თავად ჩხრეკის და შემოწმების ჩამტარებელ უფლებამოსილ პირებს. პირადი ჩხრეკა არის, ის სამართლებრივი ქმედება, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს, ამიტომ მისი ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი სრული პროფესიონალიზმით უნდა მოეკიდოს აღნიშნულს, რადგან შეიძლება მისმა ერთმა არასწორმა შეხებამაც კი გამოიწვიოს, მთელი რიგი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა[33]. ქართული პრაქტიკისა და მოქალაქეების მაგალითების მიხედვით, სამწუხაროდ სამართალდამცველების მიერ ხშირია მსაგვსი ქმედებები, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ორი მიზეზი, ის რომ მათ არ იციან თუ როგორ უნდა მოიქცნენ ან მეორე იციან საკუთარი უფლებამოსილების შესახებ, მაგრამ სარგებლობენ მოქალაქეების გამოუცდელობით და ბოროტად აჭარბებენ მათვის მინიჭებულ უფლებებს. მსოფლიოს სხვადსახვა ქვეყანაში იქმნება სპეციალური სტატიები, ბროშურები და სხვ. იმისთვის რომ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ როდესაც მათ პოლიცია გააჩერებს.

მსოფლიოს ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს შექმნას სამართლებრივი გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება დაიცვას ადამიანის უფლებები. აშშ კანონმდებელმა უფლება მისცა პოლიციის თანამშრომელს გააჩეროს, ნებისმიერი მოქალაქე და მოახდინოს მისი ჩხრეკა მხოლოდ ზედაპირულად ანუ გამოიყენოს ისეთივე ხერხები, რაც ქართველმა კანონმდებელმა დაადგინა ზედაპირული შემოწმებისას, ამისთვის მას არ ჭირდება საკამრისი მტკიცებულები, მას შეუძლია მხოლოდ დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე გააჩეროს და შეამოწმოს მოქალაქე. მთავარია სამართალდამცავს გაუჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოქალაქე არის დაკავშირებული კრიმინალთან ან მას თან აქვს კანონით აკრძალული ნივთი, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადეობის უსაფრთხოებას. ხოლო ზედაპირული შემოწმების შემდეგ შეუძლია მოითხოვოს მოქალაქის ჩხრეკა და

[32] იქვე 432

[33] UK, H. O., *Search of person, 2013,* 7-9

მოქალაქეს არ აქვს უფლება წინააღმდეგობა გაუწიოს მას, ამისთვის პოლიციისს თანამშრომელს არ ჭირდება სასამართლოს წინასწარი ნებართვა.[34]

ავსტრალიაში თითქმის მსგავსი მიდგომა არის პოლიციის მიერ ჩატარებულ პირად ჩხრეკაზე. მაგალითად ქუინსლენდში, პოლიციას არ აქვს უფლება, ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს მოაქალაქეების ჩხრეკა. მას მხოლოდ საკმრისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ენიჭება უფლება გაჩხრიკოს ადამიანი, მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაბუთებულია ვარაუდი, რომ პიროვნებას აქვს კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან არის დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენასთან. ავსტრალიის კიდევ ერთ რეგიონში, კონკრეტულად კი სამხრეთ უელსში (South Wales) პოლიციას უფლება აქვს მხოლოდ საკმარისი საფუძვლის გამო გააჩეროს მოქალაქე და ჩაატაროს ზედაპირული დათვალიერება (რაც შეიძლება სწრაფად) ან მაოხდინოს პიროვნების სრული ჩხრეკა. ავსტრალიაშიც ამ ყვალეფრის განხორცილებისთვის პოლიციას არ ჭირდება წინასწარ მიღებული თანხმობა ზემდგომი ორგანოების მიერ, იქნება ეს პროკურატურა თუ სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა კანონმდებელმა ავსტარლიაში დაადგინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩხრეკა აუცილებლად უნდა ჩაატაროს იმავე სქესის წარმომადგნელმა და თუ არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა ყოველგავრი ფიზიკური შეხების გარეშე ეს აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული და ფიზიკური კონტაქტი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.[35]

ვფიქრობ, რომ მსგავსი სახის ინფორმაციის მიწოდება ძალიან სასარგებლო იქნება ქართული საზოგადოებისთვის, მათ შეექმენათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი უფლებების დაცვა პოლიციასთან ურთიერთობის დროს. ამასთანავე თავის მხრივ საზოგადეობამაც უნდა გაითვალისწონოს, ქართული კანონმდებლობა და გაიაზროს, რომ პოლიციას უფლება აქვს დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით მოახდინოს, მოქალაქეების გაჩერება, მათი გამოკითხვა, იდენტიფიცირება და აუცილებლობის შემთხვევაში მათ მიმართ პირადი ჩხრეკაც ჩაატარონ. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ აქვთ უფლება ჩხრეკის ჩატარებამდე, მოთხოვონ სამართალდამცავ პირს წარმოადგინოს მისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოითხოვოს იმის განმარტება თუ რა მიზეზით ხდება მისი ჩხრეკა, არსებობს თუ არა რაიმე სახის დოკუმენტი რომელიც იძლევა მისი ჩხრეკის უფლებას. ამასთანავე ამ ყველაფერზე პასუხის მიღების შემდეგ, დარჩეს მშვიდი, არ გაუწიოს წინააღმდეგობა პოლიციის თანამშრომელს,[36] არ მიაყენოს შეურცხყოფა, რადგან ისევე როგორც პატივი უნდა სცეს სამართალდამცველმა მოქალაქეს, თავის მხრივ მოქალაქემაც პატივი უნდა სცეს სამართალდამცავს.

---

[34] CLEO, Criminal Law. Police Powers: Stops and Searches, 2018, https://www.cleo.on.ca/en/publications/polpower(გამოხმობილია 13,07,2019)

[35] *Personal Searches in Australia*.
Retrieved from https://www.gotocourt.com.au/criminal-law/police-searches/personal-searches/ გამოხმობილია 29,06,2019

[36] *Police powers to search*. (n.d.). Retrieved from Legal Aid: https://www.legalaid.wa.gov.au/find-legal-answers/crime/under-arrest-and-police-powers/police-powers-search , გამოხმობილია 29,06,2019

პირადი ჩხრეკის ერთ-ერთი საშუალება არის ადამინის გაშიშვლებით ჩატარება. საქართველოს სსსკ თანახმად, გაშიშვლება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს სიატუაციაში, თუ სხვა ყველა საშუალება ამოწურულია და სხვაგვარად ვერ ხერდება, აკრძალული ნივთის აღმოჩენა. გაშიშვლებით ჩატარებული პირადი ჩხრეკა უნდა მოხდეს მხოლოდამხოლოდ იმავე სქესის თანამშრომლის მიერ რა სქესისაც არის გასაჩხრეკი პირი, მისი სხვა პირების თანდასწრებით გაშიშვლება არის უხეში დარღვევა საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის უფლებებისა.[37] თუ გადავხედავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას აღმოვაჩენთ, რომ იგივე მიდგომა აქვს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს.[38]

ასევე საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, რომ მოქალაქემ თავად შესთავაზოს ჩხრეკის ჩამტარებელს, ჩხრეკის ჩატარების „ალტერნატიული“ საშუალება, რაც მოიზრება იმაში, რომ პიროვნებამ თავად ამოიტრიალოს ჯიბეები, ისე რომ მასთან ფიზიკური შეხება არ ჰქონდეს ჩხრეკის ჩამტარებელ სუბიექტს[39].

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, იმისთვის რომ პირადი ჩხრეკა ჩაითვალოს კანონიერად აუცილებელია ის შემოწმდეს სასამართლოს მიერ. ჩხრეკის ჩამტარებელი პირი ნებისმიერ შემთხვევაში არის ვალდებული, თუნდაც ჩხრეკა აღმოჩნდეს „უშედეგო“ , ანუ ვერ იქნას კანონსაწინააღმდეგო ნივთები მოპოვებული და აღმოჩენილი, შედგეს პიროვნების პირადი ჩხრეკის ოქმი. მოქალაქეს უფლება აქვს მოთხოვოს ჩხრეკის ჩამტარებელ პირს აღნიშნული ოქმის შედგენა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას შემოწმებული სასამართლოს მიერ.[40] აღნიშნულით კანონმდებელი საშუელაბას აძლევს, მოქალაქეს დაიცვას თავისი უფლებები. ჩხრეკის ჩამტარებელი პირი ვალდებული არის შეადგინოს და ზუსატდ დააფიქსიროს, მის მიერ ჩატარებული ყველა მოქმედება ჩხრეკის ოქმში, ის ვერ შეძლებს თავი აარიდოს იმ პასუხსიმგებლობას, თუ რაიმე სახით დაარღვევეს მოქალაქის უფლებებს. იმისათვის, რომ მოქალეებში ცნობილი იყოს მათი უფლბების შესახებ ვფიქრობ, რომ კარგი იქნება თუ ჩატარდება გარვეული სახის შემეცნებით ტრეინინგები, დაბეჭდელ იქნას თუნდაც მინიმალური უფლებების შესახებ ბროშურები რომელზეც წვდომა ექნება ნებისმიერ მოქალაქეს. მეორე მხრივ უნდა მოხდეს სამართალდამცავთა შეგნების ამაღლება და მათგან უფრო მეტი პროფესიონალზმის მოთხოვნა, რათა არასდროს არ გადააჭარბონ მათვის დაკისრებულ უფლებამოსილებას.

---

[37]იხ. ავტორთა ჯგუფი, 2017, დას. ნაშ. 432

[38] CLEO, Criminal Law. Police Powers: Stops and Searches, 2018 https://www.cleo.on.ca/en/publications/polpower(გამოხმობილია 13,07,2019)

[39] ავტორთა ჯგუფი. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017 473-474

[40] იქვე. 472

თავი II

ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი და სასამართლო როგორც მაკონტროლებელი ორგანო

2.1. პროკურორი, გამომძიებელი და სამართალდამცავი პირების უფლებამოსილებები პირადი ჩხრეკის ჩატარებისას

ზემოთ უკვე ვთქვით პირადი ჩხრეკის ჩატარების უფლება აქვს პროკურორს, გამომძიებელს და ასევე სამართალდამცავ პირებს, მაგრამ ახლა განვიხილავთ უფრო სიღრმისეულად თუ როგორ უნდა მოახდინონ მათ თავიანთი უფლების განხორციელება ისე, რომ არ დაარღვიონ საქართველოს ან საერთაშორისო კანონმდებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის თანახმად, პროკურორს, გამომძიებელს ან დაკავების უფლება მოსილ პირს უფლება აქვთ დასაბუთებული ვარაუდის დროს მოახდინონ პირის პირადი ჩხრეკა, მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ პირის განიარაღება, საქმისათვის მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებულების ამოღება და სხვ[41].

პოლიციის თანამშრომლებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აქვთ უფლება გააჩერონ პირი და ჩაუტარონ მათ პირადი ჩხრეკა, მაგრამ რა თქმა უნდა ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონმდებლობის სრული დაცვით, რაც მდგომარეობს შემდეგში. საქართველოში, ისევ როგორც სხვა დემოკრტიულ ქვეყანაში განმტკიცებულია და დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. სამწუხაროდ სამართალდამცავი პირების მიერ გარკვეულ შემთხვევებში ხდება ისეთი უფლებების დარღვევა, როგორიც არის ადამიანის ღირსების ან პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშარისო კანონმდებლობის თანახმად.

უცხოეთის არა ერთ ქვეყენაში, სამართალდამცავები გადიან ტრეინინგებს ან კურსებს იმისათვის, რომ მათ სწორად და კანონმდებლობის სრული დაცვით მოახდინონ პირადი ჩხრეკა. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკმაოდ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, სამართალდამცავებს ასწავლიან ჩხრეკის დროს განსაზვრონ თავიანთი ქმედებების თანმიმდევრობა, წინასწარ შეაფასონ ისეთი საფრთხეები, როგორიც არის ადამიანის უფლებების დარღვევა, დანაშაულებრივი ქმედებები და სხვ., რომელიც შეიძლება ჩხრეკის დროს წარმოიშვას და მათი თავიდანვე გათვალისწინებით, ჩხრეკის ჩამტარებელი პირები მაქსიმალურად

[41] იხ. ავტორთა კოლექტივი, 2015, დას. ნაშ. 393

შეძლებენ დარღვევების აღმოფხვრას და ჩხრეკა ჩატარდება კანონმდებლობის სრული დაცვით, ისე რომ პრობლემა არ შეექმნება არც ერთ მხარეს[42].
აღსანიშნავია, რომ სხვდასხვა საგამოძიებო მოქმედებები იჭრება ადამიანის უფლებებში, პირადი ჩხრეკისას შეიძლება დაირღვეს პირის უფლებები, რომელიც ეხება თავისუფლად გაადადგილების უფლებას, ფიზიკური ხელშეუხებლობა და სხვ., მაგრამ ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია თუ პიროვნების პირადი ჩხრეკა გამოწვეულია დასაბუთებული და სამართლებრივი მიზეზის გამო რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით, ისეთი როგორიც არის საზოგადოების ან სახელმწიფოს უსაფრთხოება, სხვა ადამიანის კეთილდღეობის მიზნით, დანაშაულის ან უწესრიგობის თავიდან აცილების მიზნით და სხვ[43]. შესაბამისად ჩხრეკის ჩამტარებელი პირი, ყოველთვის უნდა შეეცადოს, რომ ჩხრეკა ჩაატაროს კანონის დაცვით, ისე რომ არ მოახდინოს უფრო მეტად ადამიანის უფლებების შეზღუდვა ვიდრე ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით. იმ შემთხვევაში როდესაც სამართალდამცავი პირი ატარებს ჩხრეკას და ზემოთ ჩამოთვლილი, კანონით დადგენილი სიტუაცია არ არის სახეზე მას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ამიტომაც არის აუცილებელი მას კარგად ესმოდეს მისი უფლებამოსილება და იცოდეს თუ როგორ ჩაატაროს პირის ჩხრეკა.

იქედან გამომდინარე, რომ თითოელი ადამიანი არის დამოუკიდებელი და თავისუფალი შეუძლებელია, რომ ერთმა და იგივე მიდგომამ ყოველ ადამიანზე მართებული და სწორი მოქმედების საშუალება მოგვცეს. ამიტომ, როდესაც საქმე არ ეხება გადაუდებელ აუცილებლობას და დამნაშავის შეპყრობას, ვფიქრობ ჩხრეკის ჩამტარებელმა პირმა აუცილებლად უნდა მიმართოს გასაჩხრეკ პირს, გააფრთხილოს იმის შესახებ, რომ ის აპირებს მის გაჩხრეკას.[44] ეს ყველაფერი კი გამოწვეულია იქედან, რომ დღევანდელ რეალობაში ნებისმიერ ადამიანი შეიძლება იყოს განსხვავებული რწამსის, შეხედულების, ორიენტაციის და სხვ. ამიტომ შესაძლებელია, რომ მათი რწამსის ან სხვა მიზეზის გამო გაუფრთხილებელი შეხებით მოხდეს მათი უფლებების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების არა კანონიერად ცნობა, როგორც ადამიანის უფლების დარღვევით ჩატარებულმა.[45] ამიტომაც, როდესაც სამართალდამცავი პირი მას გააფრთხილებს ჩხრეკის ჩატარების შესახებ, პიროვნების მიმართ მინიმუმამდე შემცირდება უფლებების დარღვევის საფრთხე. რადგან თუ გასაჩხრეკ პირს აქვს რაიმე განსაკუთრებული შენიშვნა, მას საშუალება ეძლევა წინასწარ გააფრთხილოს უფლებამოსილი პირი, რის შედეგადაც ეს უკანასნკელი შეეცდება და შეძლებს, რომ თავიდან აირიდოს განსაკუთრებული სირთულეები და ჩხრეკა ჩატარდება კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად გასაჩხრეკ პირს აღარ ექნება იმის საშუალება, რომ გაასაჩივროს სამართალდამცავი პირის ქმედება, როგორც უკანონო, რადგან ამ უკანსკნელის მხრიდან კანონმდებლობის მაქსიმალურად დაცვის ზომები იქნა მიღებული რაც შემდეგში აუცილებლად იქნება იმის დასტური, რომ

[42] UK, H. O., *Search of person, 2013,* 12-15
[43] ტეილორი მ., *ადამიანის უფლებები პოლიციის მოღვაწეობაში,* სტრასბურგი, 2005, 41-42
[44] College of Policing, *Does more stop and search mean less crime?*, 2017, 20
[45] UK, H. O., *Search of person, 2013* , 13

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება შესრულდა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

ჩემი აზრით აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალება იქნება, თუ პოლიციის თანამშრომლებს თან ექნებათ სპეციალური ხელსაწყო, რომელიც მათ საშუელაბს მისცემს ფიზიკური კონტაქტის გარეშე შეძლონ პირის ისე შემოწმება, რომ მან ვერ მოახერხოს კანონსაწინააღმდეგო ნივთის დამალვა, ისე რომ მისი აღმოჩენა ზედაპირული დათვალიერების დროს შეუძლებელია. ვფიქრობ ამით ხდებაორი პრობლემის ერთდროულად გადაჭრა. აღნიშნული პროცედურის შესახებ ყველა არის ინფორმირებული და მეტ ნაკლებად ყველას აქვს მსგვასი პრაქტიკა და მეორეს მხრივ არ ხდება გასაჩხრეკ პირსა და გამჩხრკს შორის უშუალო კონტაქტი, თუ რა თქმა უნდა შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ნივთის ჩვენებაზე აშკარა და უხეშ წინააღმდეგობას არ გაწევს მოქალაქე.

როგორც პროფ. გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს, „პოლიციამ დასახული მიზნის მისაღწევად მხოლოდ ვარგისი მოქმედებები უნდა განახორციელოს“[46]. რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ სამართალდამცავი უნდა მოქმედებდეს სწორად, თუ სრულად არ იქნება მისი მოქმდებით საფრთხეების გაუნებელყოფა, მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ის ამ საფრთხეების მინუმუმამდე დაყვანას, ამ ყველაფრის მიღწევას ის შეძლებს ისევ და ისევ ყველა მოქმედების სწორი დაგეგმვის საშუალებით. პირადი ჩხრეკა შეიძლება იყოს ორი სახის სრული ან არასრული, არასრული პირადი ჩხრეკა მაშინ არის სახეზე როდესაც ხდება პიროვნების ხელბარგის ან ნივთების ჩხრეკა, მაგრამ უშუალოდ მისი ჩხრეკა არ ხდება, ხოლო სრული ჩხრეკა მაშინ არის სახეზე როდესაც ორივე შემთხვევა გვაქვს, ანუ იჩხრიკება როგორც უშუალოდ ადამიანი ასევე მისი ნივთებიც, ხელბარგი და სხვ.[47] ადამიანის ნივთების ან ტანსაცმლის შემოწმება შეიძლება მოხდეს სხვდასხვა საშულებით. რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც, სამართალდამცავი პირი შეძლებს მინიმუმამდე დაიყვანოს ადამიანის უფლებების შეზღუდვა და რა თქმა უნდა თავის მხრივაც მან შეასრულოს თავისი მოვალეობა პირნათლად და სრულად, ისე როგორც ამას მოითხოვს როგორც კანონმდებლობა ასევე საქმის არსიც. სწორედ ასეთ შემთხვევას განეკუთვნება, როდესაც თავად მოქალაქეს შეუძლია შესთავაზოს სამართალდამცავ პიროვნებას „ალტერნატიული“ მოქმედება, რომელიც ჩხრეკის ჩამტარებელ პირს საშულებას მისცემს ჯეროვნად მოახდინოს პირის ან პირის ტანსაცმლის შემოწმებო[48], მოხდება ეს მისი ტანსაცმლის გახდის შემდეგ თუ სხვა საშუალებით. მთვარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ადამიანის პირადი ჩხრეკა ტარდება მის მიერვე შემოთავაზებული ხერხის გამოყენებით, რომელიც სამართალდამცავ პირს საშუალებას აძლევს, სრულყოფილად და რაც მთავარია კანონმდებლობის სრული დაცვით მოახდინოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

---

[46] თუმანიშვილი, გ,. პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. *სამართლის ჟურნალი* №1 2009, 49

[47]იხ. *ავტორთა ჯუფი,* 2017, დას. ნაშ. 473

[48] თუმანიშვილი, გ,. პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. *სამართლის ჟურნალი* 2009 №1, 48-49

პირად ჩხრეკასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ საშუალებებს იყენებს. მაგალითად დიდ ბრიტანეთში შექმნილია დეპარტამენტი, რომელსაც ეწოდება პოლიციის მრჩეველი ჩხრეკისა და სამძებრო საქმიანობაში. აღნიშნული დეპარტამენტი ზრუნავს, რომ პოლიციის თანამშრომლები მოამზადოს და გატაროს შესაბამისი სპეციალური კურსები რათა მათ შეძლონ უსაფრთხოდ და კანონმდებლობის დარღვევის გარეშე ჩაატარონ ჩხრეკა. ეს განყოფილება მართალია აქცენტს აკეთებს ტერორიზმის საფრთხეზე, მაგრამ ამავდროულოდ ზრუნავს ჩხრეკის ჩატარების სამართლებრივ გზებზე, ის აკონტროლებს თითოელ ჯგუფს, ამოწმებს ჩხრეკის კანონიერებას და დარღვევის შემთხვევაში ზრუნავს მის გამოსწორებაზე. მის მოვალეობაში შედის, რომ პოლიციის თანამშრომლებს ასწავლოს და წინასწარ მოამზადოს ყველა სიტუაციისთვის, აგუებს იმ ფაქტს, რომ მათ მოუწევთ ურთიერთობა საზოგადეობის სხვადასხვა წევრებთან, რომლებიც ერთმანეთისგან არის განსხვავებული, ასწავლის წინასწარ განსაზღვროს საფრთხეები და შეეცადოს მათ მინიმუმამდე დაყვანას.[49] ვფიქრობ აღნიშნული მიდგომა გამართლებულია, რადგან როდესაც სახელმწიფოში მაღალია დარღვევით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების რიცხვი, რომელიც იჭრება ადამიანის უფლებებში მას ჭრდება მკაცრი კონტროლი, მსგავსი დეპარტამენტები ხელს შეუწყობს, თანამშრომლებში პროფესიონალზმის გაზრდას რადგან მის მიერ კონტროლის დაწესება იძულებულს გახდის ჩხრეკის ჩამტარებელ პირს დაიცვას ყველა ნორმა რაც კანონმდებლობით არის დადგენილი, თუ ის არ დაემორჩილება მსგვას მითითებას მის მიმართ მოხდება სამსახურეობრივი მოვალეობის არა ჯეროვნად შესრულების გამო დისციპლინური სასჯელის გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში უფრო დიდ პრობლემასთან მიიყვანს ვიდრე კანონმდებლობის გათვალისწინება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამომძიებელს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მსგავსი არის სწორედ ადამიანის პირადი ჩხრეკა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პროკურორის შუამდგომლობას და შემდგომ სასამართლოს განჩინებას, თუ ჩხრეკის ჩატარება არ ხდება გადაუდებელი აუცილებლობით[50]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების დროს, გამომძიებელი სრულად არის დამოკიდებული პროკურორზე და მას უფლება არ აქვს მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის. ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი კანონმდებლისთვის გახდა ადამიანის უფლებების დაცვა, რადგან მან არა გამომძიებელს არამედ საქმის საპროცესო ზედამხედველს დააკისრა, რათა მან განსაჯოს თუ რამდენად არის აუცილებელი აღნიშნული ქმედება, რადმენად სწორად ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, შეამოწმოს ოქმის

---

[49] College of Policing, Police Search Adviser (PolSA), https://profdev.college.police.uk/professional-profile/police-search-adviser-polsa/ , გამოხმობილია 13,07,2019

[50] „EMC", "სიფა", (რედ.)კალატოზიშვილი ნ., *საგამოძიებო სისტემის ანალიზი,* თბილისი, 2018, 45-46

სისწორე რათა თავიდან იქნას აცილებული სასამართლოს მიერ მისი უკანონოდ ცნობა. თუმცა მეორე მხრივ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი კიდევ ერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული, ამჯერად არა ადამიანის უფლებების დარღვევასთან, არამედ უშუალოდ მტკიცებულების მოპოვებასთან. იქედან გამომდინარე, რომ გამომძიებლის როლი ამ შემთხვევაში საგრძნობლად არის შემცირებული და მას არ აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, რაც იწვევს საქმისათვის და გამოძიებისთვის აუცილებელი დროის კარგვას, თუ გარკვეული მიზეზების გამო პროკურორი და გამომძიებელი ვერ მოახდენენ კანონის თანახმად, ჯერ გამომძიებელი პროკურორის ინფორმირებას, ხოლო შემდეგ პროკურორი შუამდგომლობის დაყენაბას, პირადი ჩხრეკა ჩაითვლება უკანონოდ და შესაბამისად, მოპოვებული მტკიცებულაც იქნება დაუშვებელი.

სსსკ-ის თანხმად გამომძიებელმა უნდა მოახდინოს პირადი ჩხრეკა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას წარმოექმენა დასაბუთებული ვარაუდი და ამის საფუძვლიანი მიზეზი ექნება. მსგავსად ქართული კანონმდებლობისა კანადიშიც იმისთვის, რომ გამომძიებელმა მოახდინოს პირის უფლბების შეზღუდვდა და ჩაატაროს მისი პირადი ჩხრეკა მას ამისათვის უნდა წარმოექმნას დასაბუთებული ვარაუდი და აუცილებლად უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი მიზეზი პირის პირადი ჩხრეკისა. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელს არ ჭირდება წინასწარ სასამართლოს განჩინება ან გადაწყვეტილება, რათა შეასრულოს საგამოძიებო მოქმედება.[51]

როგორც ყველასათვის ცნობილია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია აკისრია პროკურორს,[52] რომელიც თავის უფლებამოსილებას განახორციელებს საქართველოს კანონდმებლობის თანახმად. ის უშუალოდ საგამოძიებო მოქმედებებში ნაკლებად იღებს მონაწილეობას, მაგრამ მას ამის უფლება სსსკ-ს თანახმად აქვს, შეუძლია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულების ან საქმიდან გამომდინე მიიღოს მონაწილეობა, რომელიმე საგამოძიებო მოქმედებაში. აღნიშნული პრაქტიკა გვხდება არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყნებშიც, მაგალითისთვის ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც საპოლიციო და საპროკურორო საქმეები ერთმანეთისგან არის გამიჯნული, პოლიცია აწარმოებს საგამოძიებო საქმიანობას დამოუკიდებლად, ზედამხედვლობის გარეშე, მანამ სანამ პროკურორი ჩაერთვება იმის გადასაწყვეტად შეგროვებული მტკიცებულება არის თუ არა საკმარისი საქმის გასაგრძლებლად სასამართლოში,[53] მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული მიდგომა შეიცვალა და დღეს უკვე პროკურორები მხოლოდ საქმის მიმართ ზედამხედვლობით აღარ შემოიფარგლებიან და ისინი

---

[51] GEHL R., PLECAS D., *Introduction to Criminal Investigation: Processes, Practices and Thinking.* NEW WESTMINSTER, 2016 15

[52] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,* 2009 წლის 9 ოქტომბერი. მუხლი 32

[53]ვოგლერი რ., *პროკურორებისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგილისი და უელსი.* ფალმერი, ინგლისი, 7-8

უფრო მეტად არიან ჩართულნი საგამოძიებო მოქმედებებში[54]. საპროცესო ზედამხედველობის ერთ-ერთი ნაწილია სწორედ, როდესაც საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი თანახმად პოკურორი აყენებს შუამდგომლობას სასამართლაში პირადი ჩხრეკის შესახებ, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მოსამართლემ რათა პირადი ჩხრეკის ჩატარება ჩაითვალოს კანონიერად. პროკურორი სასამართლოს მიმართავს ყველა შემთხვევაში[55], როდესაც ჩხრეკა მოხდა გადაუდებელი აუცილებლობით თუ პროკურორი ითხოვს ნებართვას ჩხრეკის ჩატარების შესახებ წინასწარ. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისთვის რომ პირადი ჩხრეკა, შემდგომ ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება ჩაითვალოს კანონიერი გზით მოპოვებულად აუცილებელია, რომ ჩხრეკა კანონიერად ცნოს სასამართლომ. პროკურორზე საუბრისას აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, ტომას ჰამაბერგის შეფასება ქართველი პროკურორების მიმართ, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა იმის შესახებ, რომ პროკურორები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ საგამოძიებო ეტაპზე დაშვებულ პროცედურულ შეცდომებს, რომლებიც ეხება პირად ჩხრეკების ჩატარებას, უზუსტობებს ოქმის შედგენის დროს და სხვ. კომისარი აღნიშნავს, რომ პროკურორები მოქმედებენ შერჩევითი სამართლის პრინციპით და ისინი ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესს. მიუხედავად ამ დარღვევებისა მაინც ხდება საქმის გაგრძელება და ბრალდებულისთვის სასჯელის შეფარდება.[56] აღნიშული პრობლემის აღმოსაფხვრელად ჰამაბერგი მიიჩნევს, რომ ისეთ საქმეებზე სადაც აშკარაა პოლიციის მიერ დაშვებული პროცედურული შეცდომები (მაგ. პირადი ჩხრეკა და სხვ.), რომელსაც პროკუროების მიერ არ მიექცა ყურადღება აუცილებლად უნდა იქნას გულდასმით შესწავლილი. კომისარი პრობლემის გადაჭრის გზას ხედავს იმაში, რომ უნდა იქნას მიღებული სასწრაფოდ საჭირო ზომები, რათა გარანტირებული იყოს საგამოძიებო ეტაპზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება ობიექტურად, სამართლიანად და ეფექტურად.[57]

2.2. სასამართლო როგორც მაკონტროლებელი ორგანო ჩატარებული პირადი ჩხრეკის მიმართ.

საქართვლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სასამართლო არის ორგანო, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება არა მხოლოდ ადამიანის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის შესახებ, არამედ ასევე მთელ რიგ

[54] იქვე 7

[55] იხ. ავტორთა კოლექტივი, 2015 დას. ნაშ 368-370

[56]ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, , 30 ივნისი, 2011წ. 15-16

[57] "ღია-საზოგადოება საქართველო"., ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს, პატარიძე მ., *მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში,* თბილისი, 2016, 70-71

საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. დაადგინოს რომელი საგამოძიებო მოქმედება არის კანონმდებლობის ფარგლებში ჩატარებული და რომელი არა, სწორედ ერთ-ერთი ასეთი არის პირადი ჩხრეკის კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ. ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ სასამართლოს მიმართავს მხოლოდ პროკურორი შუამდგომლობით, რათა სასამართლომ გასცეს ნებართვა ჩხრეკის ჩატარების შესახებ ან უკვე ჩატარებული ჩხრეკა სცნოს კანონიერად.

სასამართლოსათვის ამ როლის დაკისრებით ვფიქრობ, რომ კანონმდებელს სურს ადამიანის უფლებები უფრო მეტად იყოს დაცული, სწორედ ამიტომაც ადგენს კანონმდებელი საკმაოდ მაღალ სტანდარს პირადი ჩხრეკის ჩატარებისთვის, რისი შემოწმებასაც შემდგომ დამოუკიდებელ და ობიექტურ მხარეს ავალებს. იმისათვის, რომ გამომძიებელმა ან სხვა სამართალდამცავმა პირმა ჩაატაროს პირადი ჩხრეკა აუცილებელია არსებობდეს ფაქტების და ინფორმაციის საკმარისი საფუძველი მტკიცებულებით სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის წარმოქმნისთვის იქნება საკმარისი. შესაბამისად შემთხვევით გაგონილი ამბავი, რომლის შესახებაც ზუსტი ფაქტების მოძიება შეუძლებელია ვერ წარმოქმნის იმის ნიადაგს და საფუძველს, რომ აღნიშნული ჩაითვალოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისათვის დამაკმაყოფილებლად, ეს მხოლოდ პოლიციის თანამშრომლის მიერ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ინფორმაცია, რომლის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდეს რეალური და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ველა საჭირო ფაქტებისა და მტკიცებულების შეგროვება, რომელიც შემდგომ დააკმაყოფილებს სასამრთლოს სტანდარტებს, რათა მოქმედება ჩაითვალოს კანონიერად[58].

გამომძიებლის მიერ ინფორმციის გადამოწმების და საკმარისი მტკიცებულების გარეშე ჩატარებული პირადი ჩხრეკისა ან დაკევების, სასამართლოს მიერ შემოწმებისას შესაძლებელია წარმოიქნას პრობლემა. რადგან აღმოჩნდება, რომ გამომძიებელმა ან სამართალდმაცავმა პირმა მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება, არა საკმარისი მტკიცებულებებზე დაყრდნობით ანუ მის ხელთ არ იყო იმდენი ინფორმაცია რომელიც ობიექტურ პირს წარმოუქმნიდა დასაბუთებული ვარაუდს გასაჩხრეკი პირის მიმართ, რომ ამ უკანასკნელს აქვს კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან გარკვეული სახის ნივთმტკიცება, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმისთვის. აღსანიშნავია, რომ 2010 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „პირის პირადი ჩხრეკა შესაძლებელი იყო მხლოდ მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში“[59]. მაგრამ რა თქმა უნდა პრაქტიკა, სამწუხაროდ არ ემთხვეოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მოთხოვნებს და ჩხრეკას საფუძვლად მხოლოდ პოლიციის თანამშრომლის პატაკი ედო, რაც არ უნდა ყოფილიყო დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება სასამართლოსთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, „2011 წელს ჩხრეკის თაობაზე

[58] საქართველოს ახლაგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, (რედ.) ყვირალაშვილი ხ., *ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.* თბილისი, 2012. 29

[59] იქვე. 29

წარდგენილი და განხილულია 13 788 შუამდგომლობა, ამათგან დაკმაყოფილებულია 13 787“,[60] რაც აშკარად საინტერესო ციფრებია.

1998 წლის სსსკ ნორმების თანახმადაც კი არ შეიძლებოდა, რომ არა საკმარისი საფუძვლის გარეშე, (მხოლოდ ინფომრაციაზე დაყრდნობით) მომხდარიყი პირის ჩხრეკა, ამისათვის აუცილებელი იყო, რომ სახეზე არსებულიყო მტკიცებულება. შემდგომი ცვლილების შედეგად კი კანონმდებელმა განსაზღვრა ჩხრეკის ჩატარებისთვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომელიც სსსკ თანახმად ნიშნავს ინფორმაციის და ფაქტების ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დააჯერებს პირის ბრალეულობაში.[61]

როდესაც ზემოთ აღნიშნული შემთხვევა არის სახეზე და გამომძიებელი ან სამართალდამცავი პირი ნაჩქარევად იღებს გადაწყვეტილებას, არა საკმარისი საფუძვლის გარეშე პირადი ჩხრეკის შესახებ ქმედება სასამართლოს მიერ აღიქმება როგორც უკანონო, რადგან არ არსებობდა საკმარისი საფუძველი და მიზეზები იმისთვის, რომ მომხდარიყო ადამიანის პირადი ჩხრეკა და შესაბამისად თუ ამის შედეგად მოპოვებულია რაიმე სახის მტკიცებულება, ის აუცილებლად სასამართლოს მიერ გამოცხადდება, როგორც დაუშვებელი მტკიცებულება. ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილი არგუმენტი უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ როდესაც ვამბობთ, რომ კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა საგამოძიებო მოქმედებები შემოწმებულ იქნას სასამართლოს, როგორც ობიექტური მხარის მიერ რადგან სრულყოფილად მოხდეს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა. შესაბამისად არავინ არ უნდა იყოს, არა საკმარისი და კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, გარდა კანონით გათვლისწინებული შემთხვევისა.[62]

ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომაც აუცილებელია სასამართლომ შეამოწმოს საგამოძიებო მოქმედებები, არის ის შემთხვევები როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ დანაშაული შესაძლოა კონკრეტულმა პიროვნებამ ჩაიდინა, მაგრამ მისთვის უშუალოდ ბრალის წაყენება არ მომხდარა არა საკმარისი მტკიცებულებების გამო. მაგრამ მის მიმართ ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, ისეთი როგორიც არის გამოკითხვა ან პირადი ჩხრეკა, რათა მოხდეს საჭირო ინფორმაციის შეგროვება[63], რომ შემდგომში ბრალი წაუყენონ. ამ ხერხს იყენებენ ისე თითქოს პირის მიმართ არ არსებობს არავითარი ეჭვი, ცდილობენ მისი მხრიდან მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შემდგომში ბრალის წაყენება უფრო მარტივი გახდეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი ირღვევა პირის უფლებები, ხდება მისი შევიწროვება და დამთრგუნველ მდგომარეობაში ჩაყენება. იმისთვის, რომ საგამოძიებო ორგანოს, რომელიმე თანამშრომელმა თვითნებურად

---

[60] იქვე 29-30

[61] *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.* მე-3, 121-ე მუხლები

[62] Alkharashi, S. A. (2015). *Human Rights in the Stage of Criminal Investigation:A Comparison between Law and Practice in Saudi Arabia and England and Wales .* 89-91

[63] საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, *სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის.* თბილისი, 2015, 29-30

ან თავისი უფლებამოსილების გადაჭარბებით არ განახორციელოს რიგი საგამოძიებო მოქმედბები, მისი კანონიერების შემოწმება არის აუცილებელი ობიექტური მხარის მიერ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად აუცილებელი, არის რომ პროკურორმა შუამდგომლობა დააყენოს სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების თანახმად, მხარეებს თითქმის თანაბარი უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის. სსსკ-ს ადგენს, რომ დაცვის მხარესაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს გარკვეული საგამოძიებო მოქმედების შესრულებისთვის, რომლის შესრულება მას კანონმდებლობით არ შეუძლია. (რადგან არსებობს საგამოძიებო მოქმედებები რომლის ჩატარების უფლებაც დაცვის მხარეს არ აქვს და მისი ჩატარების უფლების მიღება შესაძლებელი, მხოლოდ პროკურორის შუამდგმოლობით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის დადგენით კანონმდბელმა, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ადამიანის უფლებების უზენაესობა და საშუალება მისცა დაცვის მხარესაც, რომ სასამართლოს განჩინებით და თანხმობით თვითონ ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს, როგორიც არის პირადი ჩხრეკა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარის მიერ მოთხვონილი საგამოძიებო მოქმედება სსსკ თანახმად უნდა ჩაატაროს აუცილებლად სხვა გამომძიებელმა და არა უშუალოდ იმ გამომძიებელმა, რომელიც ჩართულია საქმის წარმოებაში. დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ჩხრეკის შედეგად თუ მოხდება, საქმისათის მნიშვნელოვანი მტკიცებულების ამოღება, მისი გამოკვლევის და შესწავლის პირველი საშუალება ეძლევა ბრალდების მხარეს, აღნიშნული ცვლილება მოხდა 2014 წლის 1 სექტემებრს. არსებობს მოსაზრება რომ 2014 წელს მიღებული ცვლილებები უკან გადადგმული ნაბიჯი არის დაცვის მხარის უფლებების გამყარების მიზნით, რადგან მანამდე მოქმედი კოდექსის თანახმად, გამოძიების ჩატარების უფლება ჰქონდა უშუალოდ დაცვის მხარეს[64], რადგან ამ მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებელი გამომძიებელი, არც ისეთი „დამოუკიდებელი“ იქნება და თან მის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უპირატესობით ბრალდების მხარე სარგებლობს,[65] მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა აღინიშნოს ასევე იმის შესახებ, რომ 2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაცვის მხარე არ ჰქონდა უფლება მიემართა სასამართლის ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, როგორიც არის პირადი ჩხრეკა ან ამოღება.[66] ამიტომ, როდესაც კანონმდებელმა დაცვის მხარეს უფრო ფართო მოქმედების საშუალება მისცა დადებითად უნდა შევაფასოდ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 30

---

[64] საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, *სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის,* თბილისი, 2015, 33-34

[65] იქვე. 36-37

[66] იქვე.33

ივნისის ცვლილების შედეგად ძალადაკარგულად გამოცხადდება ნორმა, რომელიც ბრალდების მხარეს აძლევს დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პირველად გამოკვლევის შესაძლებლობას და უდაოდ კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება წინ გადადგმული ნაბიჯი არის, ქართული სისხლის სამართლისათვის.

სასამართლომ თავის განჩინებაში აუცილებლად უნდა მიუთითოს ყველა ის დეტალი, რომელიც აუცილებელი არის საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, კერძოდ კი პირადი ჩხრეკის ჩატარებისას, მან უნდა მიუთითოს პიროვნების სახელი და გვარი ვის მიმართაც უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება, ის ნივთი რომელიც სავარაუდოდ სწორედ ამ პირს აქვს თან და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. თავის მხრივ კი საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა პირმა აუცილებლად უნდა გააცნოს გასაჩხრეკ პირს მისი ყველა უფლება და მოვალეობა, თუ ეს ყველაფერი არ იქნება შესრულებული, როგორც სსსკ ნორმების თანახმად არის დადგენილი მოქმედება აღიქმება როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კანონმდებლობის დარღვევად და საგამოძიებო მოქმედება ჩაითვლება უკანონოდ და მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელად.[67]

დიდ ბრიტანეთში, საგამოძიებო მოქმედებები სრულდება დამოუკიდებლად პოლიციის მიერ, პროკურორი საქმეში ერევა, მხოლოდ მაშინ როდესაც ხდება მტკიცებულების გადამოწმება, იმისთვის თუ რამდენად არის საკმარისი მოპოვებული მტკიცებულები საქმის გადასაცემად სასამართლოსთვის, მაგრამ ინგლისში, საპოლიციო და სასამართლოს მთავარ სხდომას შორის წარმოიქმნა შუალობითი სტადია, სპეციალურად ანგლოსაქსონური სამართალწარმოებისთვის, ეს სტადია არის როდესაც მაგისტრატი მოსამართლეები ამოწმებენ რამდენად კანონიერად მოხდა გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებები, როგორიც არის ჩხრეკა, ამოღება და სხვ.[68]

ქართულმა სასამართლომ, ვფიქრობ რომ უნდა გაითვალისწინოს ევრო სასამართლოს მიდგომა, რომელიც თავის პრაქტიკის დროს ხაზს უსვამს, რომ პირადი და არა მარტო პირადი ჩხკრეკის ჩატარება, მოხდა თუ არა უკიდურესი აუცილებლობოთ გამოწვეული მიზეზების და გამო, გამოიკვლიოს არსებობდა თუ არა სხვა საშუალება გარდა ჩხრეკისა დასახული მიზნის მისაღწევად. ასევე ევრო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ჩხრეკა არ შეიძლება გამართლდეს პოლიციის მხრიდან მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს საგამოძიებო ქმედება ემსახურება კეთილ საქმეს და ამიტომ შესაძლებელია მისი ჩატარება ნებსმიერი ხერხის და საშუალების გამოყენებით. ევრო სასამართლოს განმარტებით არა კანონიერია ჩხრეკის ჩამტარებელი მხარე ეყრდნობოდეს მხოლოდ ამ არგუმენტს.[69] ეს ყველაფერი კი გამოწვეულია იქედან, რომ ჩხრეკა იჭრება ადამიანის უფლებებში.

---

[67] იხ. ავტორთა კოლექტივი, 2015, 376-377

[68] გუცენკო კ., ფილიმონოვი ბ. , გოლოვკო ლ., *დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი.* თბილისი. (2007). 66

[69]იხ. საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია. 2012. დას. ნაშ., 31-32

ევრო სასამართლო ასევე განმარტავს, არ შეიძლება გახშირებული პირადი ჩხრეკა ჩატარდეს იმ საფუძვლით, რომ არსებობს მომატებული ტერორიზმის საფრთხე, ის მოუწოდებს პოლიციის თანამშრომლებს, განსაკუთრებით მათ ვინც მუშაობენ აეროპორტებში, პორტებში, სადგურებში და სხვ. რომ თითქმის ყველა ტურისტის გაჩხრეკა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მოტივით არ არის გამართლებული და ეს იწვევს ადამიანში განსაკუთრებული დისკომფორტის შეგრძნებას, შესაბამისად ხდება მის მიმართ ევრო კონვენციით განმტკიცებულები უფლებების დარღვევა, ამიტომ აუცილებელია, რომ ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი მაქსიმალური ყურადღებით იყოს და მხოლოდ საკმარისი საფუძვლის შემდეგ მოახდინოს პიროვნების პირადი ჩხრეკა და პატივისცენ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.[70]

2.2.1. სასამართლო პრაქტიკა.

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ სასამართლო არის ის ორგანო, რომელიც ამოწმებს საგამოძიებო ეტეპზე, გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, იქნება ეს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული, თუ სასამართლოსგან წინასწარი ნებართვით გაცემული ნებართვით. სასამართლო რომელიც არის ერთადერთი ორგანო, რომელიც ადგენს სამართლიანობას ვალდებულია ჯეროვნად შეამოწმოს, საგამოძიებო ორგანოების მიერ შესრულებული სამართლებრივი ქმედების შედეგები. მის მიერ უნდა მოხდეს თითქმის ყოველ მცირე დეტალზეც კი ყურდღების მიქცევა, ის ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საგამოძიებო მოქდების შემსრულებელნი მოქმედებდნენ კანონმდებლობის ფარგლებში და ადგილი არ ჰქონია მის დარღვევას. იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რა აქცენტებს აკეთებს სასამართლო ჩხრეკის ჩატარების დროს შევეცდები განვიხილო რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი, როგორც საქართველოს სასამართლო სისტმიდან ასევე ევრო სასამართლოს პრაქტიკიდან.

ევრო სასამართლოს მიერ როდესაც ხდება საქმის განხილვა, მოსამართლეები ყოველთვის ცდილობენ გამოარკვიონ რამდენად, სწორად მოხდა საგამოძიებო მოქედების შესრულებისას სამართალდამცავების მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვა, ასეთი საგამოძიებო მოქმედების შესრულება რამდენად აუცილებელი იყო, კონკრეტულად რომელ უფლებებს დაემუქრა საფრთხე და რამდენად პროპორციული იყო საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლების მიერ შესრულებული მოქმედება მიზნის მისაღწევად და უფლებების შესაზღუდად.[71] პირველი საქმე რომელმაც მიიქცია ყურადღება არის Keegan v. United Kingdom[72]. აპლიკანტმა განაცხადი შეიტანა, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ დაირღვა ევრო კონვენციით განმტკიცებული ადამიანის უფლებები, რადგან პოლიცია კანონის დარღვევით შეიჭრა მის სახლში და მოახდინა როგოც სახლის, ასევე მათი ჩხრეკაც. იქედან გამომდინარე, რომ ეს ყველაფერი იყო მოულოდნელი

[70] Council of Europe/European Court of Human Rights, *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights - Right to respect for private and family life.* 2019, 42-43

[71] იხ. „საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია“ 2012 დას. ნაშ. 32

[72] ECHR. KEEGAN v. THE UNITED KINGDOM. 18.07.2006, № 28867/03, §7-8 , §10, §12-13

მათ ძალიან შეეშინდათ და მიიღეს, როგორც მატერიალური ზიანი ასევე მორალური, რის ანაზღაურებასაც ითხოვს. მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ მათი ვარაუდით სახლში ინახებოდა სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ამიტომ აუცილებელი გახდა სახლის გაჩხრეკა. აღნიშნული სახლი ეკუთვნოდა ქალაქის მთავრობას და მოსარჩელეს ის დაქირავებული ჰქონდათ.

სახლის ჩხრეკის აუცილებლობა დადგა იქედან, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი დამნაშავეს თავისი სახლის მისამართად მითითებული ჰქონდა სწორედ ის სახლი, რომელშიც კიგანების ოჯახი ცხოვრობდა. გამომძიებელმა მიმართა სასამართლოს და დაარწმუნა მოსამართლე, რომ მას ჰქონდა საკმარისი მტკიცებულები და საფუძველი, რათა ეფიქრა, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლში ინახებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულები, სასამართლომ გასცა ნებართვა, რომ ჩატარებულიყო ჩხრეკა. შესაბამისად საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები მივიდნენ, აპლიკანტის სახლში და მოახდინეს ჩხრეკა, როგორც საცხორებელი ბინის ასევე მათი, იქედან გამომდინარე, რომ დანაშაულებრივ ქმედებასთან ამ ოჯახს კავშირი არ ჰქონდა, ეს ყველაფერი მათვის დიდი ტრამვის მიზეზი გახდა, სწორედ ამიტომაც მიმართეს ევრო სასამართლოს, რადგან სახელმწიფომ მათი უფლებების დაცვა ვერ მოახერხა. ევრო სასამართლომ საქმის წარმოების დროს დაიწყო იმის მოკვლევა, თუ რამდენად შეეძლოთ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს გამოერკვიეთ, რომ ამ სახლში იმყოფებოდა არა დამნაშავეთა დაჯგუფება არამედ კანონმორჩილი მოქალაქენი. სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ის შემთხვევა როდესაც ეს ხდება ბოროტი განზრახვით, შესაბამისად შეიძლება პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ დადებითი მოტივი, რომ ჩაეტარებინათ ჩხრეკა, რადგან ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო აღმოეჩინათ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულები, მაგრამ ეს ყველაფერი მათ არ აძლევთ უფლებას დაარღვიან ადამიანის ძირითადი უფლებები, შესაბამისად დარღვევად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ბოროტი განზრახვით დარღვეული უფლებები, არამედ კეთილი განზარხვითაც, მართალია პოლიციას აქვს მოქმედბის უფლება, მაგრამ ევრო კონვენცია ყოველმხრივ კრძალავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. შესაბამისად სასამართლომ განაჩენის გამოტანის დროს განამრტა, რომ პოლიციის ქმედება კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვალოს არა სამართლებრივ ქმედებად და მიაჩნია, რომ მათ დაარღვიეს კანონმდებლობა, რადგან სამართალდამცავებს ჰქონდათ ყოველ მხრივ იმის შესაძლებლობა დაედგინათ ყველა საჭირო გარემოება და დეტალი რადმენად ჰქოდნა კავშირი ბრალდებულებს, აღნიშნულ სახლთან და იმ ოჯახთან რომელიც იქ ცხოვრობდა, შესაბამისად პოლიციის თანამშრომლების მიერ მოხდა არა საკმარის და მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობა, შესაბამისად მათი მხრიდან არ ყოფილა დასაბაუთებული ვარაუდის სტანდარტისათვის საკმარისი საფუძვლები. აქედან გამომდინარე არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მათი ქმედება პროპორციული და სამართლებრივია აპლიკანტთა დაირღვეული უფლებების მიმართ, მხოლოდ იმის განმარტებით, რომ პოლიცია არ მოქმედებდა ბოროტი განზრახვით. სასამრთლომ დააგდინა, რომ მოპასუხე მხარემ

აუცილებლად უნდა აუნაზღაუროს აპლიკანტებს ყველა ის ზიანი რაც მათ მიადგათ.[73]

სასამართლო აქვე დასძენს, რომ არა საკმარისი საფუძვლის გარეშე, კერძო სახლში შეჭრა და ჩხრეკის ჩატარება, ან სხვა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, აქედან გამომდინრე იქ მცხოვრები ოჯახის წევრების „მყუდროების“ და უფლებების დარღვევა შესაძლებელია პოლიციის მიერ მოხდეს მხოლოდ იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეულია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადასარჩენად და მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და შესაძლებელი უნდა იყოს აუცილებლად იმის დადგენა, რომ სხვა საშუალება ვერ იქნებოდა გამოყენებული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად.[74]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, როდესაც პიროვნება არის დაკავებული და მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, ცალკე ოქმის შედგენა არ არის საჭირო პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით და ეს მოქმედება მხოლოდ დაკავების ოქმში აღნიშნება.[75] თუმცა საქართველოს სააპელაციო სასამართლომ, დაუშვა პრეცედენტი და განაცხადა, რომ შესაძლებელია დაკავებისას ცალკე შედგენილ იქნას პირადი ჩხრეკის ოქმი და ეს არ ჩაითვლება კანონმდებლობის დარღვევად.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოსამართლემ დაადგინა, რომ პირს რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა დაკავებისას არ იყო საჭირო ცალკე პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენა, ამიტომაც მან დაუშვბელ მკიცებულბად დაადგინა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის დროს ამოღებული სხვადასხვა სახის მტკიცებულება. აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურომა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგმოძიებო კოლეგიაში და განმარტა, რომ ბრალდებულს წაასწრეს უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში. არსებობდა დასებუთებული ვარაუდი, რომ მას თან ექნებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულები, ასევე დაამატა გამომძიებლის უფლების შესახებ, რომ მას თავად შეუძლია აირჩიოს საგამოძიებო მოქმედებათა თანმიმდევრობა და ის, რომ გამომძიებელმა ჯერ მოახდინა პირის პირადი ჩხრეკა, ხოლო შემდგმომ მისი დაკავება და ორივე საგამოძიებო მოქმედების ოქმი ცალ-ცალკე იქნა შედგენილი არ არის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა. ამასთანავე პირის პირადი ჩხრეკა კანონიერად ჩათვალა სასამართლომ და ამის შესახებ გაცემული იყო განჩინება, აქედან გამომდინრე პროკურორმა მოითხოვა დაუშვებლად ცნობილი პირადი ჩხრეკის ოქმის დასასშვებად ცნობა, როგორც მტკიცებულების. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და დაადგინა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის 121-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება უკვე დაკავებულ პირს, ამასთანავე არ აქვს მნიშვნელობა ჩხრეკა პირს ჩაუტარდება მის დაკავებამდე

---

[73] იქვე. §32-34

[74] ECHR. McLEOD v. THE UNITED KINGDOM, 23.09.1998, №24755/94 §46-53

[75] ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ.) გიორგაძე გ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), მერიდიანი, თბილისი, 2015, 393

თუ დაკავების შემდეგ. ეს არ არის ის მიზეზი, რომელიც საშუალებას იძლევა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისათვის. მთავარია, რომ უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მომენტში არ მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა, მთავარია მოპოვებული მტკიცებულება იყოს ავთენტური და აკმაყოფილებდეს სსსკ თანახმად დადგენილ ნორმებს. ამიტომაც სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება არის არასწორი და უნდა დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის შუამდგომლობა და პირადი ჩხრეკის ოქმი უნდა იყოს დაშვებული როგორც მტკიცებულება, საქმის არსებითი განხილვის დროს.[76]

აღნიშნული გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, დასაშვებად სცნო პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმის ცალ-ცალკე შედგენის შესაძლებლობა და თუ გამომძიებლის, ან დაკავების უფლებამოსილი პირის მიერ არ მოხდება პირადი ჩხრეკის დაფიქსირება მხოლოდ დაკავების ოქმში და ის ამისთვის ცალკე ოქმს შეადგენს, ეს არ ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევად და როგორც მტკიცებულება პირადი ჩხრეკის ოქმი დასაშვები იქნება საქმის განხილვისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განიხილა რამდენად, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, პირველი ინსტანციის მოსამართლემ, როდესაც ბრალდებულის პირადი ჩხრეკა და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულებები სცნო უკანონოდ. გამომძიებელმა მოახდინა ბრალდებული ი.დ პირადი ჩხრეკა, ისე რომ საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს არ გამოიძახა თარჯიმანი, საქალაქო სასამართლომ განიხილა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა სსსკ ნორმების დარღვევით ჩატარებულ მოქმედებას. აღნიშნული გაასაჩივრა პროკურორმა, იქედან გამომდინარე, რომ გამომძიებელს არ შეიძლებოდა ცოდნოდა იმის შესახებ, თუ რადმენად იცოდა ბრალდებულმა სისხლის სამართლის წარმოების ენა, მხოლოდ იქედან გამომდინარე, რომ მან იცოდა პიროვნების სახელი და გვარი. ბრალდებულის მიმართ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობდა საფრთხე, რომ ბრალდებულის მიერ თავიდან იქნებოდა მოცილებული საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და ამიტომ გამომძიებელს არ ჰქონდა დრო გაერკვია, თუ რადმენად კარგად იცოდა ბრალდებულმა ქართული ენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, იმ შემთხვევაზე როდესაც საქმე გვაქვს გადაუდებელ აუცილებლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასთან, მან განმარტა რომ როდესაც საქმის გარემოებიდან გამომდინარე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირთან ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი მტიცებულება შეიძლება მის მიმართ ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩნების გარეშე, რადგან სანამ განჩინება იქნება მიღებული იკარგება

[76] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. საქმე N1გ/22-19, 05 იანვარი 2019

საქმისათვის მნიშვნელოვანი დრო. ასევე განმარტა, რომ ასეთ შემთხვევებში, არ შეიძლება მოეთხოვოს გამომძიებელს მოასწროს ყველა საპრცესო ნორმის დაცვა (ანუ მან წინასწარ განსაზღვროს თარჯმნის ჩართულობა საქმეში). ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, თუ რა დრო ჰქონდა გამომძიებელს, იმის დასადგენად თუ რა დონეზე იცოდა დანაშაულში ბრალდებულმა პიროვნებამ სახელმწიფო ენა და დააგინა, რომ მომწის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ გამომძიებელს ჰქონდა 10-11 საათი, მანამ სანამ ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება, ამასთანავე როდესაც მან შეიტყო მხილებული პირვნების სახელი და გვარი უნდა გასჩენოდა ეჭვი, რადმენად იცოდა სახელმწიფო ენა. შესაბამისად გამომძიებელს ჰქონდა გონივრული დრო, რომ დაედგინა ბრალდებულის შესახებ, რამდენად კარგად იცოდა ქართული და იყო თუ არა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებაში თარჯიმნის ჩართვა. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება დატოვა შეუცვლელი და გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკა სცნო უკანონოდ, ისევე როგორც ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება.[77]

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მოსამრთლეები დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ როგორ ხდება საგამოძიებო მოქმდებების შესრულება, რადმენად არის დაცული სსსკ ნორმები და ადამიანის უფლებები.

[77] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. საქმე №1გ/404, 22 მარტი, 2017 წელი

თავი III

თანამდებობის პირის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადი ჩხრეკა

3.1. საქართველოში თანამდებობის პირის პირადი ჩხრეკა

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების, ოჯახის და კომინიკაციის ხელშეუხებლობა, მაგრამ ამასთანავე კონსტიტუციის 35-ე , 39-ე და 63-ე მუხლების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს პარლამენტის წევრის პირადი ჩხრეკა შეასაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც თანამდებობის პირს უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას წაასწრებენ, ხოლო რაც შეეხება მოსამართლეს, მოსამართლის პირადი ჩხრეკა არ შეიძლება „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა“[78].

საქართველოს მსგავსად კანადაშიც იმისთვის რომ მოხდეს პარლამენტის წევრის პირადი ან საკუთრების ჩხრეკა აუცილებელია ამისთვის, პოლიციას თანხმობა ჰქონდეს პარლამენტის თავმჯდომარისგან (სპიკერისგან), მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მართალია კანონმდებელმა მისცა გარკვეული პრივილეგიები პარლამენტის წევრს, მაგრამ აღნიშნავენ, რომ მსგავსი სახის პრივილეგიები არ არის იმის საფუძველი ვინმემ იფიქროს, რომ თანამდებობის პირები უფრო უკეთეს პირობებში არიან კანონის წინაშე ვიდრე უბრალო მოსახლეობა, პარლამენტის წევრებიც ისევე აგებენ პასუხს თავიანთი ქმედებებისთვის როგორც ჩვეულერბივი მოქალაქენი.[79] კანადელები ასევე ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ სპიკერები ასეთ შემთხვევებში ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან, რადგან ერთმანეთს უპირისპირდება პოლიციის კანონიერი მოთხოვნა და პარლამენტის წევრის კანონთან გათანაბრებული უფლებება რომ ჰქონდეს იმუნიტეტი, შესაბამისად მათ ერთის მხრივ უნდა დაიცვან პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და უნდა გამოიყენოს მათი იმუნიტეტი, მაგრამ მეორე მხრივ კანონის წინაშე აკისრია ვალდებულება, რომ თუ პიროვნება დამნაშავეა არ აქვს მნიშვნელობა მის თანამდებობას ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს. 1973 წელს სპიკერმა ჯერომმა განგანაცხადა, რომ თუ პარლამენტის წევრის მიმართ არ არის საქმე აღძრული და მის მიმართ არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის დასადგენად, რომ მან ჩაიდინა დანაშული მაშინ ის უფლებას არ მისცემს საგამოძიებო ორგანოებს, რომ მოახდინოს პარლამენტის წევრის პირადი ან ოფისის ჩხრეკა, ხოლო მათ თუ აშკარად მოეპოვებათ მსგავსი სახის მტკიცებულება

---

[78] *საქართველოს კონსტიტუცია.* 1995 წლის 24 აგვისტო

[79] *Robert Marleau. Camille Montpetit. HOUSE OF COMMONS PROCEDURE AND PRACTICE, PRIVILEGES AND IMMUNITIES.* (2000). https://www.ourcommons.ca/marleaumontpetit/DocumentViewer.aspx?Language=E&Sec=Ch05&Seq=3 გამოხმობილია 13,07,2019

ის აუცილებლად განიხილავდა საკითხს და მიუდგებოდა სხვა კუთხით.[80] შედარებით განსხვავებულ სიტუაციას ვხვდებით ავსტრალიის კანონმდებლობაში. ავსტრალიაშიც რა თქმა უნდა პარლამენტის წევრებს აქვთ გარკვეული სახის პრივილეგიები, მაგრამ გარკვეული განსხვევებით. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აძლევს უფლებას პოლიციის თანამშრომლებს, მოახდიონოს თანამდებობის პირის ჩხრეკა, მაგრამ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში. პარლამენტის წევრებს არ აქვთ გარკვეული სახის პრივილეგიები როდესაც საქმე ეხება სასამართლოს მიერ დადგენილ გადაწყვეტილებებს, ასეთ შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარებას არ სჭირდება პარლემენტის ან პარლამენტის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობა, რათა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება,[81] მაგრამ კანონმდებელმა გარკვეული სახის პრივილიგიები მათ მიანიჭა უშუალოდ სასამართლოში საქმის განხილვისას, რადგან ავსტრალიური კანონმდებლობის მიხედვით ჩხრეკის და საგამოძიებო მოქმედების დროს მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენაბა სასამართლოს შეუძლია პარლამენტის წევრების წინააღმდეგ, მათი პრივილეგიების და იმუნეტეტის მიხედვით, სასამართლოს არ აქვს უფლება სრულად გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია.[82] მას შემდეგ რაც სასამართლო გასცემს დადგენილებას, რომ უნდა მოხდეს პარლამენტარის პირადი და მისი ნივთების ჩხრეკა შესმრულებელმა ოფიცერმა ამის შესახებ, თუ ჩხრეკა ტარდება პარლამენტის შენობაში, უნდა შეატყობინოს აუცილებლად ყველა საჭირო ორგანოს და პირს, რომელიც კანონით არის დადგენილი. ამის შემდეგ როდესაც დაიწყება პირადი ჩხრეკა და თუ ჩხრეკისას მოხდა საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების აღმოჩენა, ამის შესახებ ის ატყობინებს პარლამენტის წევრს, რომლის მიმართაც განხორციელდა საგამოძიებო მოქმედება. ამის შემდეგ აღნიშნულ თანამდებობის პირს უფლება ეძლევა გააკეთოს ჩხრეკისას ამოღებული ყველა დოკუმენტის ასლი, რის შემდეგაც ამოღებული მასალა ინახება კომპეტენტურ და ობიექტურ მესამე მხარესთან. ჩხრეკის შემდეგ თუ პარლამენტის წევრი 5 სამუშაო დღეში არ შეატყობინებს ჩხრეკის ჩამტარებელ პირს, რომ მის მიმართ უნდა მოხდეს საქმის მასალების გამოკვლევა, როგორც პარლამენტის წევრის მიერ და რომ მას იცავს კანონმდებლობით დადგენილი იმუნეტეტი, მაშინ ჩაითვლება რომ პარლამენტმა მის მიმართ გააუქმა იმუნიტეტი და ის არ სარგებობლობს კანონმდებლობით დადგენილი პრივილეგიებით და მის მიმართ საქმის მოკვლევა დაიწყება, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ. ხოლო მანამ სანამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში პარლამენტარი არ შეატყობინებს ჩხრეკის ჩამტარებელ პირს მისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ყველა საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული დოკიმენტაცია ინახება დამოუკიდებელ და ობიექტურ მესამე მხარესთან.[83]

---

[80] იქვე.

[81] Brief guides to senate procedure. *Parliamentary privilege.* https://www.aph.gov.au/binaries/senate/pubs/guides/briefno22.pdf გამოხმობილია 12,07,2019

[82] *Harry Evans, Odgers' Australian Senate Practice,* 2016, 44-46

[83] Police A. F., *National Guideline for Execution of Search Warrants where Parlaimentary Privilige may be involved.*

ზემოთ მოყვანილი პრაქტიკის მაგალითებიდან, შეგვიძლია ვთქვათ რომ შესაძლებელია მოხდეს პარლმენტის წევრის ჩხრეკა, პარლამენტის წინასწარი ნებართვის გარეშე, მხოლოდ მაშინ როდესაც ამის სამართლებრივად დასაბუთებული საფუძველი აქვს სამართალმდაცავ პირს და მაშინ როდესაც პარლამენტარის ჩხრეკის უფლებას გასცემს სასამართლო.

საქართველოს პარლემანტის რეგლამენტში უფრო ზუსტად არის, გაწერილი ყველა ის საჭირო დეტალი, რომლის დაცვა აუცილელია ჩხრეკის ჩამტარბელი პირის მიერ და რა ხდება, მაშინ როდესაც პარლამენტის წევრს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაუყონებლივ იქნას მიწოდებული ინფორმაცია პარლმენტისთვის და ინფორმაციის მიღებიდან 48 საათში პარლამენტმა პასუხი უნდა გასცეს, დასაშვებია თუ არა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება.[84] საქართველოში კანონმდებელი აღნიშნავს, რომ პარლამენტის წევრის ჩხრეკის შემთხვევაში აუცილებელი არის პარლამენტის წინასწარი თანხმობა. ავსტრალიისგან განსხვავებით ქართველი კანონმდებელი არ აღნიშნავს შემთხვევას, თუ რა ხდება მაშინ როდესაც ჩხრეკის ნებართვა გაცემულია სასამართლოს მიერ. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიც ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ჩვეულებრივ, პარლამენტის წინასწარი თანხმობით და გამონაკლის არ წარმოადგენს სასამართლოს განჩინებით გაცემული ჩხრეკის ნებართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება იჭრება სასამართლოს დამოუკიდებლობაში და მის მოქმედებას ზღუდავს. მართალია, რომ პარლამენტის წევრებს გააჩნიათ გარკვეული საკანონმდებლო პრივილეგიები და ეს მიღებული პრაქტიკა არის მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ როდესაც საქმე ეხება დემოკრატიული სახელმწიფოს სასამართლოს და როდესაც ქვეყანა ფიქრობს განვითარდეს სასამართლო სისტემა კიდევ უფრო მეტად და მოხდეს მისი როგორც, რეალურად ობიექტური და დამოუკიდებელი მხარის ჩამოყალიბება, აღნიშნულით აშკარად იზღუდება სასამართლოს როგორც დამოუკიდებელი, კომპეტენტური, პროფესიონალური და ობიექტური მხარის ღირსება და სტატუსი. შესაბამისად საქართველოში დადგენილია პრაქტიკა, რომელიც განსხვავდება ავსტრალიისგან, სადაც სასამართლოს მოკვლევის ეტაპზე შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე გასცეს პარლამენტის წევრის ჩხრეკის ორდერი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ აღნიშნული წარმოადგენს დაბრკოლებას საქმის წარმების დროს, რადგან როდესაც საქმიდან გამომდინარე გახდება საჭირო პარლამენტის წევრის პირადი ჩხრეკა, გამომძიებელს და პროკურორს მოუწევთ დაარწმუნენ თავინათი ქმედების აუცილებლობაში ჯერ სასამართლო, ხოლო ამის შემდეგ უნდა მოხდეს პარლამენტისგან თანხმობის გამოთხოვა, შესაბამისად ჩხრეკის ჩასატარებლად აუცილებელი არის „გადაილახოს“ სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარეტები, ხოლო შემდეგ პარლამენტის, აღნიშნული პროცესები კი რა თქმა უნდა იწვევს საქმისათვის უმნიშვნელოვანესი დროის კარგვას. ამ პროცედურების შესრულებისას,

---

file:///E:/Downloads/AFPnationalguideline_executionsearchwarrants_parliamentaryprivilegeinvolved%20(2).pdf , გამოხმობილია 13,07,2019

[84] *საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. 2018 წლის 6 დეკემბერი მუხლი 19*

ყველაფერთან ერთად შესაძლებელია, რომ პარლამენტის წევრისთვის ცნობილი გახდეს, რომ მის მიმართ იგეგმება საგამოძიებო მოქმედება და თუ მას მართლაც გააჩნია საქმისათვის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის მას, შეეცდება მის თავიდან მოცილებას გადამალვას ან განადგურებას. ამიტომ ვფქირობ, რომ ავსტრალიური კანონმდებლობა უფრო ფართო მოქმედების საშულებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს ვიდრე ქართული, მართალია ავსტრალიაშიც საქმის შემდგომი განვითარება გარკვეული შეზღუდვებით მიმდინარეობს, მაგრამ საქმისათვის საჭირო დოკუმენტაციის და ინფორმაციის შეგროვებაში საკანონმდებლო ორგანო არ ზღუდავს არც სასამართლოს და არც სამართალდამცავებს ჯეროვნად შეასრულონ თავიანთი ვალდებულები.

საქართველოს კანონის საერთო სასამართლოების შესახებ, მე-40 მუხლის თანხმად იმისთვის, რომ მოხდეს მოსამართლის ჩხრეკა ამისათვის აუცილებელია, რომ თანხმობა განაცხადოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.[85] მსგავს დათქმას აკეთებს საქართველოს კონსტიტუციაც, ამ შემთხვევაში კანონმდებელი არ უსვამს ხაზს, რომ თუ საქმიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მოსამართლის გაჩხრეკა მოხდეს წინასწარ თანხმობის გაცემა. შესაბამისად ამ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჩხრეკა, მაგრამ იმისათვის, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩაითვალოს კანონიერად აუცილებელია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილება, არამედ ასევე აუცილებელია, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უფლება გასცეს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. იქედან გამომდინარე, რომ არც საქართველოს კონსტიტუციაში და არც ორგანულ კანონში კანონმდებელი არ აკეთებს ხაგზგასმას და არ ითხოვს „წინასწარ შეთანხმებას“, განსხვავებით პარლამენტის წევრის ჩრეკისაგან ვფიქრობ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოების თანამშრომლებს „შედერებით“ უფრო თავისუფლად მოქმედების უფლება აქვთ.

ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაციები ადგენენ და ითხოვენ, რომ სახელმწიფო და პოლიტიკოსები არ ჩაერიონ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაში. იქედან გამომდინარე. რომ მოსამართლე აუცილებლად უნდა იყოს დამოუკიდებელი და მას არ უნდა ეშინოდეს ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტისას, რომ შეიძლება ის პასუხისმეგებელი გახდეს, არა როგორც სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის კუთხით, არამედ როგორც პოლიტიკური ან პირადი დამოკიდებულების გამო, შესაბამისად მისაღებ ფაქტად არის მიჩნეული, რომ მოსამართლეებს გარკვეული სახის პრივილეგიები გააჩნდეთ, მაგრამ რაც მთვარია მათ აღნიშნული იმუნიტეტი და პრივილეგებია არ უნდა გამოიყენონ ბოროტად, არ უნდა ისარგებლონ საკუთარი მდგომარეობით საზოგადოებაში, არ უნდა მოახდინონ კანონით დადგენილი ძალაუფლების დემონსტრირება. მათვის მინიჭებული პრივილეგიები და იმუნეტეტი მათ მიერ არ უნდა იქნას აღქმული, როგორც საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მექანიზმად, მოსამართლეებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების

[85] *საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.* 2009 წლის 4 დეკემბერი.

მიმართ და მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგონ საკუთარი ღირსება და სტატუსი, თავიანთი უკანონო ქმედებებიდან გამომდინარე.[86]

კანონმდებლმა მსგავსი გარეომება დაადგინა, როდესაც საქმე ეხება საქართველოს სახალხო დამცველის ჩხრეკას. ამ შემთხვევაშიც კანონდმბელი არ უსვამს ხაზსს, რომ სახალხო დამცველის ჩხრეკისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობა. კანონმდებლობის თანახმად იმისათვის, რომ სახალხო დამცველის ჩხრეკა იყოს კანონიერი აუცილებელია ნებართვა გასცეს სქართველოს პარლამენტმა, შესაბამისად ისევ როგორც მოსამართლის შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს უფლება აქვს მოახდინოს სახალხო დამცველის პირადი ჩხრეკა და ამის შემდეგ გადაეცეს საქმის დეტალები და ყველა საჭირო ინფორმაცია საქართველოს პარლამენტს რათა მან ჩატარებული ჩხრეკა დაადგინოს კანონიერად და ჩხრეკის შედეგად ამოღებული მასალები ჩაითვლოს კანონმდებლობის სრული დაცვით მოპოვებული. აღნიშნული მიდგომა ერთის მხრივ ვფიქრობ, რომ არის გამართლებული იქედან გამომდინრე, როგორც პარლამენტის წევრის მიმართ ჩხრეკის შესახებ ავღნიშნეთ, წინასწარი თანხმობის გამოთხოვის დროს შეიძლება დაიკარგოს საქმისთვის მნიშვნელოვანი დრო, ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ უფლებამოსილ პირებს უფრო მეტი მოქმედების არეალი აქვთ, იქედან გამომდინარე, რომ მათ ჩხრეკის ჩატარების მომენტში შეუძლიათ შეატყობინონ კანონმდებობით დადგენილ ორგანოებს ჩხრეკის ჩატარების შესახებ და ის დრო, რომელიც წინასწარი თანხმობის გამოთხოვისას შეიძლება დაკარგულიყო, მოქმედებს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემობების მოპოვების სასარგებლოდ.

ამერიკის სასამართლო სისტემის შექმნისას და მისი მომდევნო განვითარების დროს ყველა თანხმდებოდა, რომ სახელმწიფო დემოკრატიისთვის და მასში სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისთვის, აუცილებელია სასამართლო იყოს დამოუკიდებელ ყველა სახელისუფლებო შტოსაგან, რომლებიც მარტივად შეძლებენ მის მართვას. ასევე აღნიშნავენ, იმისათვის რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი აუცილებელია, რომ მოსამართლეებს გააჩნდეთ გარკვეული სახის იმუნიტეტი და პრივილეგიები, აღნიშნული მათ დაეხმარებათ დაიცვან საკუთარი თავი იმ ძალებისგან, რომლებიც შეეცდებიან მათ მიმართ არა კანონიერი ქმედების ჩადენას, ხოლო სწორედ ეს პრივილეგიები იქნება მათი დაცვის მექანიზმი და გარანტი.[87]

ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან შეგვიძლია, საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი ნორმები მივიჩნიოთ დემოკრატიულ საფუძვლებზე შექმნილად იქედან გამომდინარე, რომ კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ სასამართლო უნდა იყოს აუცილებლად დამოუკიდებელი ორგანო, რომლის კომპეტანციაში არც ერთ

---

[86] The disciplinary system for judges in Poland, https://www.esiweb.org/pdf/ESI-Batory%20Polands%20courts%20under%20siege%20-%20Annex%2022%20March%202019.pdf გამოხმობილია 13,07,2019

[87] *The Doctrine Of Judicial Privilege: The Historical And Constitutional Basis Supporting A Privilege For The Federal Judiciary.* (1987). 213-217

შემთხვევაში არ უნდა შეიჭრას არც ერთი სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელი და მათ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას.

მეორეს მხრივ აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი ითვალისწინებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას და მოსამართლის მიმართ არსებულ პრივილეგიებს გარკვეულ წილად ზღუდავს, აუცილებლობიდან გამომდინარე, ის საშუალებას აძლევს საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს, იმოქმედონ დამოუკიდებლად, მოახდინონ საქმისათვის აუცილებელი ინფორმაციის, მასალებისა და მტკიცებულების შეგროვება, ისე რომ აღნიშნული შესახებ წინასწარ არავითარი თანხმობა ან ნებართვა არ იქნას გამოთხოვილი რომელიმე ორგანოდან. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოქმედების შესრულების კანონიერად ცნობისთის საგამოძიებო ორგანოებს ჭირდება არა მხოლოდ სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ მათ მიერ ჩატარებული პიროვნების ჩხრეკა არის, კანონიერი არამედ ამისათვის აუცილებელია დაარწმუნონ ასევე საქართველოს იუსტიიცის საბჭო მოსამართლის, ხოლო პარლამენტი სახალხო დამცველის ჩხრეკის შემთხვევაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ კანონმდებლის მიერ შექმნილი მსაგვსი სახის „შეზღუდვა“, რომელიც ქმნის ორ საფეხურიან სისტემას რათა მოხდეს ჩხრეკის კანონიერად ცნობა უნდა იქნას მიჩნეული დადებითად, რადგან ჩემი აზრით კანონმდებელი ცდილობს, შექმნას უფრო მაღალი სტანდარტი იმისა, რომ თანამდებობის პირის მიმართ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებას, ჩვენ შემთხვევაში კი პირად ჩხრეკას ნებისმიერ სამართალდამცავი პირი მოეკიდოს მაქსიმალური ყურადღებით და პროფესიონალიზმით, გაითვალისწინონ კანონმდებლობით დადგენილი ყველა საჭირო გარემოება და აუცილებლობა იმისთვის, რომ არ მოახდინონ თავიანთი უფლებასმოსილების გადაჭრბება.

3.2. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან იმ პირის პირადი ჩხრეკა რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა

საქართველოში, ისევ როგორც მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებებს. სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, შექმნან ისეთი სამართლებრივი სისტემები სადაც ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები იქნება დაცული, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაშიც ადეკვატური და შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვება.

საქართველოს კანონმდებლობა რა თქმა უნდა იცავს ადამიანის უფლებებს და მათ შორის არა მარტო საკუთარი მოსახლეობის არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებებიც დაცულია. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, როდესაც ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება მას აუცილებლად, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ, იმ დანაშაულის შესახებ რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება და რა საგამოძიებო მოქმედება უნდა შესრულდეს მის მიმართ.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, როდესაც ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას ვალდებულნი არიან, ისევ როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყნაში ადამიანს განუმარტონ თავიანთი უფლებები მათვის გასასგებ

ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლების დაცვა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონმდებლობისთვის ამას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებითაც ვადგენთ, რადგან აღნიშნულის თანახმად სავალდებულო დაცვას ექვემდებარება ადამაინი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა[88]. ასევე საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ადგენს რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ისეთივე სამართლებრივი უფლებები აქვს, როგორც საქართველოს მოქალაქეს. შესაბამისად მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ. ხოლო თუ მოხდა მისი დაკავება ან დროებით თავისუფლების აღკვეთა ამის შესახებ, სამართლამდაცავი ორგანოები ვალდებულნი არიან აუცილებლად შეატყობინონ, იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელი ქვეყნის მოქალაქეც არის ის ადამიანი, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება.[89]

მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში, არსებობს ერთმანეთისგან მეტ ნაკლებად განსხვავებული მიდგომა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქის ჩხრეკა. იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც პოლიცია აჩერებს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მას უფლება აქვს მოახდინოს აღნიშნული პირის შემოწმება და ჩხრეკა. ამ დროს მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს მისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაცია, რომელზეც აუცილლებლად უნდა იყოს პიროვნების ფოტოსურათი, რათა შესაძლებელი გახდეს იმ პირის მონაცემების დადგენა ვის ჩხრეკასაც აწარმოებს პოლიცია. ამასთანავე პოლიციას უფლება აქვს მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ, სახელმწიფოში მისი კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი ინფორმაცია, თუ პიროვნება გადაადგილდება ავტომობილით მანქანის მართვის მოწმობა, მისი კანონიერად ფლობის დამადასტურებლი დოკუმენტი თუ სხვ. ამიტომ კანონმდებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდებს, ყოველთვის თან იქონიონ ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა მათ დასჭირდეთ ნებისმიერ დროს, რადგან პოლიციას უფლება აქვს ნებისმიერ საჭირო სიტუაციაში შეამოწმოს პიროვნება, ჩაატაროს მისი როგორც პირადი, ასევე ავტომობილის ან სხვა ნივთების ჩხრეკა. აღნიშნული, გამომდინარეობს სახელმწიფო და საზოეგადოებრივი უსაფრთხოებიდან. ამასთანავე თუ აღმოჩნდება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი მისი იდენტიფიკაციისთვის ან მისი ავტომობილის კანონიერ ფლობასთან დაკაშირებთ, შეიძლება მოხდეს ავტომობილის ჩამორთმევა ან პიროვნების დროებით დაკავება, მანამ სანამ არ მოხდება მისი მონაცმების სრული იდენტიფიცირება. ამასთნავე კანონმდებელი იტალიაში ჩასულ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდებს თან იქონიონ დოკუმენტების დედანი და არა ასლები,

[88] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი, 45-ე მუხლი

[89] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. 41-ე მუხლი , 2014 წლის 5 მარტი

რადგან ასლები არ იქნება მიღებული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.[90]

კანონმდებელმა კი პოლონეთში დაადგინა, რომ პოლიციას იგივე უფლებები აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ რა უფლებები მათ აქვთ პოლონეთის მოქალაქეების მიმართ, სხვა ქვეყნის წარმოამდგენლები არ სარგებლობენ რაიმე განსაკუთრებული უფლებებით და მათ ისეთივე პასუხსიმგებლობა ეკისრებათ, პოლონეთში მოქმედი კანონმდებლობის მიმართ, როგორც თავად პოლონელებს. როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე დანაშაულს ჩაიდენს პოლონეთის ტერიოტორიაზე, მის მიმართ იწყება საგამოძიებო მოქმედებები პოლონეთის კანონდმებლობის შესაბმისად. ასევე დგება საკითხი თუ რამდენად არის საჭირო, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, რომ პიროვნება გააძევონ ქვეყნიდან. ასევე შესაძლებელია მას აეკრძალოს დაბრუნება პოლონეთის ტერიოტორიაზე ან შენგენის ზონის სხვა ქვეყნებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კანონმდებელი ასევე ადგენს, რომ აუცილებელია ყველამ მიიღოს განმარტება თავისი უფლებების შესახებ. ამიტომ ის ავალდებულებს სამართალმდაცავი ორგანოს თანამშრომლებს, რომ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქემ არ იცის პოლონური, მაშინ პოლიციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, პიროვნებას მისთვის გასაგებ ენაზე გააცნონ ყველა ის საჭირო ინფრომაცია, რაც არის დაკავშირებული მის საქმესთან და მოახსენონ მისი უფლებების შესხებ. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის წერილობითი ფორმითაც.[91] პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს კითხოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ რამდენი ხანი იმყოფება პოლონეთში. ეს კითხვა იქედან არის გამოწვეული, თუ რამდენად სწორად შეუძლია მას თარჯიმნის დახმარების გარეშე გაიგოს პოლიციის თანამშრომლის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციისს აღქმა. პოლონეთში ჩატარებული კვლევის დროს, გამოკითხულ იქნა რამდენიმე პოლიციის ოფიცერი, რომელთაგან რამდენიმ აღნიშნა, რომ როდესაც ისინი აჩერებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც შეიძლება გარკევულ დონეზე საუბრობდეს პოლონურად, თხოვენ რომ პოლონურ ენაზე დაწერენ გარკვეული სახის ინფრომაცია, ან წინადადება, თუ ისინი ვერ შეძლებენ სწორად დაწერას ამ შემთხვევაში, ეს იმას ნიშნავს პიროვნებას არ შეუძლია პოლონურად წერა და კითხვა, შესაბამისად ის ვერ შეძლებს გაეცნოს მის უფლებებს წერილობითი ფორმით. ამის შემდეგ პოლიციის თანამშრომლები იძახებენ თარჯიმანს. თარჯიმნის მონაწილეობა ფიქსირდება აუცილებლად ოქმში. როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქის დააპატიმრებენ და გადაიყვანენ პოლიციის განყოფილებაში, იქ მას წერილობით გაეცნობა მისი უფლებები. პოლიციის განყოფილებაში, კანონმდებლობის თანახმად შესაძლებელია და რეკომენდირებულიც არის, რომ სხვადასხვა ენაზე (რომელიც არის ყველაზე პოპულარული ენები (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩინური და სხვ.) წინასწარ იყოს ნათარგმნი ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, რათა უცხო ქვეყნის მოქალაქეს მარტივად მისთვის სასურველ და გასაგებ ენაზე მიეწოდოს

[90]Roe, A. (2014). How to Deal with Italy's Police Checkpoints. *Italy Chronicles,* http://www.italychronicles.com/italy-police-checkpoints/ გამოხმობილია 13,07,2019

[91] *Helsinki Foundation for Human Rights. Victims, suspects, accused Rights of foreigners in criminal proceedings – a guide*, 2017. Warsaw. 14-16

ინფორმაცია იმ უფლებების შესახებ, რომელიც მას აქვს, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.[92]

ისლანდიაში კი პოლიციას უფლება აქვს მოახდინოს უცხოელის პირადი ჩხრეკა, ყოველგვარი საკმარისი და დასაბუთებული ეჭვის გარეშე, მას ამისთვის არც სასამართლოს ორდერი და არც განჩინება ჭირდება.[93] ამასთანავე კანონმდებელმა მიანიჭა უფლება პოლიციას, რომ ჩამოართვას ყველაფერი რის ჩამორთმევასაც ჩათვლის საჭიროდ, თუნდაც ეს იყოს პირადი ნივთები და სწორედ ამ პირადი ნივთების (იქნება ეს პირადი მოხმარებისთის ძვირფასეულობა, ფული და სხვ.) ხარჯზე მოხდება ყველა იმ საფასურის დაფარვა, რაც საჭირო იქნება უცხო ქვეყნის წარმომადგენლის დეპორტაციისთვის თავის ქვეყანაში[94]. უცხო ქვეყნის მოქალაქეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც საჭირო იქნება მისი იდენტიფიცირებისთვის ნებისმიერ დროს, წინააღმდეგ შემთვევაში პოლიციას უფლება აქვს ჩამოართვას პიროვნებას ყველაფერი რაც მის ისლანდიაში ყოფნისთვის არის საჭირო, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე პოლიციას უფლება აქვს აიღოს უცხოელის თითის ანაბეჭდები, თუ ვერ ხერხდება პიროვნების იდენტიფიკაცია ან არსებობს ეჭვი, რომ პირმა არ მიაწოდა სწორი ინფრომაცია საკუთარი იდენტიფიკაციისთვის[95], მაგრამ უცხოელს რა თქმა უნდა გაეცნობა თავისი უფლებები მისთვის გასაგებ ენაზე, ამის უზრუნველყოფა კი დამოკიდებულია სამართალდამცავ პირზე.

მსაგვსი მიდგომა არის, ამარეკაშიც სადაც ნიუ იორკში ჩატარდა კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის იმ პოლიციელების მუშაობა ეფექტური, რომლებმაც მხოლოდ იციან ინგლისური ენა და დადგინდა, რომ პოლიციის თანამშრომლები ვერ ახდენენ საკმარისად საჭირო რეაგირებას, რადგან მათვის არსებობს ენის ბარიერი. ისინი ვერ ახდენენ საქმის წარმების დროს იმ საჭირო დროის დაზოგვას, რომელიც მნიშვნელოვანია საქმისთვის, რადგან პოლიციელმა არ იცის უცხოელის ენა და მათ არ შეუძლიათ მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას უფლებები, რომელიც აქვს უცხოელს. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან დაელოდონ თარჯიმანს ან პოლიციის იმ თანამშრომელს, რომელმაც იცის უცხოელისთვის გასაგები ენა, წინააღმდეგ შემთვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ენის ბარიერი პრობლემაა მაშინაც როდესაც უცხოელი რეკავს დასახმარებლად და ოპერატორი ვერ ახერხებს სწორი ინფორმცაიის მიღებას. ამ პრობლემის გადასჭრელად კი ნიუ იორკის პოლიციის

---

[92] Helsinki Foundation for Human Rights. *INSIDE POLICE CUSTODY – PROCEDURAL RIGHTS AT POLICE STATIONS 7-8*

[93] Fontaine, P. (2017). *Law On Foreigners Expands Police Power*. Retrieved from The Reykjavik Grapevine: https://grapevine.is/news/2017/01/09/law-on-foreigners-expands-police-power/ გამოხმობილია 12,07,2019

[94] Fontaine, P. (2015, December 21). Icelandic Police Can Seize Foreigners' Valuables: https://grapevine.is/news/2015/12/21/icelandic-police-can-seize-foreigners-valuables/ გამოხმობილია 12,07,2019

[95] Iceland. Act On Foreigners 2002, Art. 56

უფროსაბამ დაადგინა, რომ აუცილებელია ისეთი თანამშრომლების აყვანა, რომლებიც შეძლებენ საუბარს არა მარტო ინგლისურ ენაზე.[96]

საქართველოშიც, როგორც ზემოთ ავღნიშნე მსგავსი მიდგომაა და პოლიციის თანამშრომელმა აუცილებლად უნდა გააცნოს უცხოელს თავისი უფლებები. სამწუხაროდ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, რა თქმა უნდა არსებობს ენის ბარიერი, ყველა თანამშრომელს ვერ ეცოდინება ის ენა, რომელიც გასაგები იქნება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის. როდესაც სამართალდამცავი პირის მიერ ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის ან ისეთი ადამიანის ჩხრეკა, რომელსაც არ ესმის საქართველოს სახემწიფო ენა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ჩხრეკის ჩამტარებელმა პირმა გამოიძახოს თარჯიმანი და მისი თანდასწრებით გასაჩხრეკ პირს გააცნოს მისი უფლებები და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაატარას ჩხრეკის პროცედურა.

თუმცა არსებობს სხვა პრაქტიკაც, როდესაც პოლიციის მიერ ჩხრეკა ჩაუტარდა ეთნიკურად არა ქართველ პიროვნებას, რომელსაც საკმარისად არ ესმოდა ქართული ენა. საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით თარჯიმნის გარეშე, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, კანონიერად და განმარტა: „გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკის ჩატარება ძირითადად ხდება არასტანდარტულ, არასამუშაო პირობებში, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, რომლის დროსაც, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურად შეუძლებელია პოლიციის მუშაკებმა წინასწარ მიიღონ ზომები თარჯიმნის გამოსაძახებლად“.[97]

ზემოთ მოყვანილი მსოფლიო და ქართული კანონმდებლობის და პრაქტიკის თანახმად, როდესაც ხდება ისეთი პირის ჩხრეკა რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, მას აუცილებლა უნდა გაეცნოს მისი უფლებები იმ ენაზე, რომლის გაგებაც მას შეუძლია, მაგრამ როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, გადაუდებელი აუცილბელბით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, რადგან იმ მომენტში შეუძლებელი იყოს თარჯიმნის გამოძახება, მაგრამ თუ მოხდება ამ პირის პოლიციის შენობაში გადაყვანა, მაშინ აუციელებია მისი უფლებები გააცნონ მისთვის გასაგებ ენაზე დაუყონებლივ. ვფიქრობ, რომ ასევე ძალიან კარგი პრაქტიკა არის, როდესაც პოლიციის განყოფილებაში, წინასწარ არის წერილობით გამზადებული ინფორმაცია იმ უფლებების შესახებ, რომელიც გააჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეს რადმენიმე საერთაშირისო ენაზე, რომელთაგან სავარაუდოა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ერთ-ერთი მაინც იქნება გასაგები და ის შეძლებს გაეცნოს მის უფლებებს წერილობითაც.

---

[96] BAKER A, RIVERA R. (2010).. U.S. Reviews New York Police Dealings With People Who Don’t Speak English. *The New-York Times*. https://www.nytimes.com/2010/04/10/nyregion/10police.html გამოხმობილია 12,07,2019

[97] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია.*განჩინება, საქმე №1გ/983.* (03 ოქტომბერი 2014).

თავი IV

პირადი ჩხრეკა პენიტენციურ დაწესებულებაში

4.1. პირადი ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი

პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოება დამოკიდებულია იქ მომუშავე პერსონალზე, როგორც დაწესებლების ხელმძღვანელობაზე ასევე თითოეულ დაცვის თანამშრომელზე, უსაფრთხოების დაცვისთვის რა თქმა უნდა სხავდასხვა საშუალება გამოიყენება, მაგრამ ერთ-ერთ ასეთი და ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელი არის პატიმრების პირადი ჩხრეკა, მაგრამ ვის აქვს ჩხრეკის ჩატარების უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 52-ე მუხლი ადგენს, რომ პენიტენციალური დაწესებულების დებულებით აუცილებლად მკაფიოდ უნდა იყოს დადგენილი ჩხრეკისა და შემოწმების პირობები,[98] შესაბამისად კანონმდებელი ითხოვს დადგინდეს ჩხრეკის ჩატარების წესი. პენიტენციურ დაწესებულებაში ჩხრეკის ჩატარების უფლება აქვთ ციხის თანამშრომლებს, რომლებიც ზრუნავენ დაწესებულების უსაფრთხოებაზე, მათ უფლება აქვთ გაჩხრიკონ, პენიტენციურ დაწესებუელბაში შემავალი და გამავალი ნებისმიერი პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით. პატიმრის პირადი ჩხრეკა სენსიტიურ თემას წარმოადგენს შესაბამისად ამ საკითხს სჭირდება დიდი ყურადღების მიქცევა სახელმწიფოს მართველი მთავრობისგან, რომელმაც ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე მაქსიმალური სიზუსტით უნდა დაადგინოს ის გარემოებები და პირობები თუ როგორ უნდა მოხდეს პენიტენციალურ დაწესებულებაში პირადი ჩხრეკის ჩატარება და ასეთი კანონმდებლობის შექმნისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო გამოცდილება და კანონმდებლობა[99], ხოლო თავის მხრივ კი ციხის ადმინისტრაციამაც უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული და შესაბამისად უნდა მიიღოს ისეთი პირობები და სტანდარტები, რომ არ დაირღვეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რა თქმა უნდა ეს ყველაფერი მარტივად აღსაქმელი და გასააზრებელი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის[100]

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანამშრომლების მიერ ხშირად ხდება პატიმრების, უფლებების შეზღუდვა და მათი დარღვევა, ამიტომ დემოკრატიული საზოგადოება ყოველთვის მოუწედებს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს იყვნენ პროფესიონალები. სწორედ პროფესიონალიზმი და ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესობას გაუსვა ხაზი ნელსონ მანდელამ თავის მიმართვაში, რომელიც მან წარმოთქვა სამხრეთ აფრიკის, ადამიანის უფლებათა და გამასწორებელი სამსახურის დეპარტამენტის გადამზადების პროექტის გახსნაზე. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ

---

[98] საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, 2010 წლის 9 მარტი. 52-ე მუხლი

[99] The United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners, the Nelson Mandela Rules, 50

[100] Council of Europe , European Prison Rule, June 2006, 54

პენიტენციალური დაწესებულება უნდა ზრუნავდეს იქ მოთავსებული ადამიანების რეაბილიტაციაზე, ყოველ პატიმარს მოეპყრან ღირსეულად, რათა არ იქნას ჩათვლილი, რომ მსგასვი ტიპის დაწესებულებში ყურადღებას არ აქცევენ ადამიანის უფლებებს. მანდელამ მიმართვაში აღნიშნნა, რომ გამასწორებელი სამსახურის დეპარტამენტს აქვს ძალიან დიდი გამოწვევა და სწორედ მათზე არის დამოკიდებული, თუ რამდენად მოხდება სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა და აღნიშნა, რომ მას მსგავსი ტიპის დაწესებულებაში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმის იმედი აქვს.[101]

ციხის პერსონალზე ძალიან ბევრი რამ არის დაკისრებული. მათ უნდა უზრუნველყონ ძალადობის აღკვეთა პატიმრებს შორის, დაიცვან ციხის უსაფრთხოება დ სხვ. არა ერთი საერთაშიროსო ორგანიზაცია, მეცნიერი და მკვლევარი მიიჩნევს, რომ ციხის უსაფრთხოების საიმედოდ უზრუნველყოფისთვის აუცილებელი არის კარგად მომზადებული საკმარისი რაოდენობის პერსონალი, რომელთაც პატიმრებთან ექნებათ ნორმალური დამოკიდებულება და მათ შორის მხოლოდ უხეში მოპყრობის და „ძალადობის ენით“ კავშირი არ იქნება.[102] პერსონალი ყოველთვის მზად უნდა იყოს ნებისმიერი სირთულის გამკლავებისთვის და მყისიერად მოახდინონ რეაგირება თითოეულ საფრთხეზე, რომელიც შეიძლება შეიქმნას პატიმრის მხრიდან. იმისთვის, რომ პერსონალმა სწორი საშუალებებით მოახერხოს ჩარევა, ამისთვის კი საჭირო არის რა თქმა უნდა ისევ და ისევ მათი პროფესიონალიზმის კარგად გამოყენება, ასევე ის ურთიერთობა რაც არის პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის. თავის მხრივ დაწესებულების ხელმძღვანელობაც სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული იმისთვის, რომ საჭირო მომენტში, სწორად შეძლონ და ხელი შეუწყონ თანამშრომლებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში. სხვადასხვა სიტუაციიდან გამომდიანრე უსაფრთხოების დასაცავად შეიძლება საჭირო იყოს ციხის დაცვის თანამშრომლებმა მიმართონ ისეთ საშუალებებს, როგორიც არის პირადი ჩხრეკა და სხვ.[103]

პერსონალი პატიმრის პირად ჩხრეკას უნდა მოეკიდოს სრული სერიოზულობით და მის მიერ არ უნდა იქნას ჩათვლილი, რომ რადგანაც პიროვნება იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და იხდის სასჯელს ჩადენილი დანაშაულის გამო, მას არ გააჩნია უფლებები. მართალია მისი უფლებები გარკვეული სახით იზღუდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პერსონალის მიერ უნდა მოხდეს მისი დამცირება და შეურაცხყოფა. პერსონალს უფლება აქვს ჩაატაროს პატიმრის პირადი და მისი საკნის ჩხრეკა, რა თქმა უნდა უფლებაც აქვს ჩამოართვას მათ აკრძალული

---

[101] *South African History online*. SPEECH BY PRESIDENT NELSON MANDELA AT THE OFFICIAL LAUNCH OF THE RE-TRAINING AND HUMAN RIGHTS PROJECT OF THE DEPARTMENT OF CORRECTIONAL SERVICES. (Kroonstad, 25 June 1998). https://www.sahistory.org.za/archive/speech-president-nelson-mandela-official-launch-re-training-and-human-rights-project-departm გამოხმობილია 13,07,2019

[102] მერდოკი ჯ., ვაცლავ ჟ., არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში, 2016 , 28

[103] ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანისუფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“. *წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, 33-34*

ნივთები მათი აღმოჩენის შემთხვევაში[104]. სწორედ ამაზე საუბრობს ამერიკის უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე Hudson v. Palmer[105] , აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის პერსონალს უფლება აქვს შეზღუდოს პატიმრის უფლება. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-4 შესწორება, იცავს ადამიანის უფლებას უკანონო ჩხრეკის და ჩამორთმევის შესახებ. მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის ეს შესწორება სრულად არ იცავს პატიმრის უფლებებს და პერსონალს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოახდინოს პატიმრის პირადი, მისი საკნის და პირადი ნივთების ჩხრეკა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმარს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ ციხის უსაფრთხოების თანამშრომელი არ შეამოწმებს, მის ნივთებს და არ მოახდენს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალული ნივთების თუ ნივთიერების ჩამორთმევას.[106]

პატიმრის პირადი ჩხრეკა და მისი შემოწმება, როგორც ვხედავთ არის აუცილებელი და დასაშვები არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს პრაქტიკაშიც. პატიმრის პირადი ჩხრეკა აუცილებლად უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამშრომელმა, რათა არ მოხდეს პატიმრის შეურაცხყოფა, მისი დამცირება და უფლებების დარღვევა[107]. იმისათვის, რომ მსაგვსი შემთხვევები თავიდან იქნას აცილებული არსებობს არა ერთი რეკომენდაცია. ციხის ადმინისტარციამ უნდა მოახერხოს და უზრუნველყოს დაწესებულებაში დასაქმებულნი იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ ორივე სქესის თანამშრომლებით დაკომპლექტებულ პერსონალში ადამიანის უფლებების დარღვევა მინუმუმდე იქნება დაყვანილი. ასევე აღსანიშნავია, რომ შერეული პერსონალის არსებობის შემთხვევაში, დადებითი და კარგი დამოკიდებულება ჩნდება პატიმრებს შორისაც რაც ხელს უწყობს დაწესებულებაში ნორმალური გარემოს და დამოკიდებულების შექმნას. შერეული პერსონალის არსებობას, როგორც უკვე ავღნიშნე აქვს ის პლიუსი, რომ პირადი ჩხრეკის დროს არ იქმნება კანონსაწინააღმდეგო სიტუაციები და ადამიანის უფლბების დარღვევა თავიდან იქნება აცილებული.[108]

შერეულ პერსონალს ასევე უპირატესობა აქვს, იმ შემთხევავში, როდესაც თავისუფლების აღსაკვეთ დაწესებულებაში არიან მოთავსებულნი არასრულწოვნები, ამით არ ხდება მათი უფლებების შეზღუდვა და მათი უხეში დარღვევა, შერეული პერსონალი საშუალებას იძლევა ასეთ შემთხვევაში არ მოხდეს

---

[104]იხ. Марина, К. (2008). *В тюрьме.* http://rulibs.com/ru_zar/home/kuropatkina/0/j24.html გამოხმობილია 12,07,2019

[105] U.S. Supreme Court. Hudson v. Palmer, 1984

[106] Goring, D. C. (1984). Fourth Amendment--Prison Cells: Is there a Right to Privacy. *Journal of Criminal Law and Criminology*. 609-611 https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=6436&context=jclc .

[107] ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა, „ადამიანისუფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, 135-136

[108] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, ხასია (ზოია) მ. *სასჯელაღსრულებითი სამართალი, (სახელმძღვანელო),* თბილისი, 106

არასრულწლოვნების შევიწროვება. წპკ-მ თავის მე-9 საერთო ანგარიშში აღნიშნავს, რომ შერეული სქესის პერსონალი არის გარანტი პენიტენციალურ დაწესებულებაში ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე შესაძლებლობას იძლევა, რომ იყოს უფრო მოწესრიგებული გარემო. წპკ ხაზს უსვამს, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ასაკის პატიმრის ჩხრეკა ხდება, მთავარია ეს მოხდეს მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგნლის მიერ, კომიტეტი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდეს პატიმრის შიშველ ჩხრეკას საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის თანდასწრებით ან მისი მეთვალყურებით.[109]

მარინა კურაპატკინა თავის ნაშრომში აღწერს, პირადი ჩხრეკის აუცილებლობას და მის საჭიროებას ციხეში. სხვადასხვა სახელმწიფოში არის სხვადასხვაგვარი მიდგომა და დამოკიდებულება, ციხეში ჩატარებული ჩხრეკის მიმართ, ავტორი მიიჩნევს, რომ პირადი და საკნების ჩხრეკის შედეგად რა თქმა უნდა შესაძლებელია წინასწარ იქნას აღკვეთილი დანაშაულებრივი ქმედება, ციხეში არეულობის შეტანა ან გაქცევის მცდელობა. ამასთანავე ავტორი თვლის, პირადი ჩხრეკას კიდევ იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ შესაძლებელია აღკვეთილ იქნას არა მარტო სხვისთვის ჯანმრთელობის დაზიანება ასევე თვითმკვლელობის მცდელობაც, ძალადობა პატიმრებს შორის და სხვ. ამიტომ კურაპატკინა მიიჩნევს, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარება ციხის ადმინისტრაციის მიერ არის აუცილებელი და საჭირო, რათა აღმოფხვრილ იქნას სხავდასხვა სახის პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებაში.[110]

პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომლები, ხშირად გარკვეული სახის პრივილეგიებს ანიჭებენ ისეთ პატიმრებს, რომლებსაც ავტორიტეტი აქვთ პატიმართა შორის ანუ ე.წ „მაყურებლებს“. სანაცვლოდ კი ისინი იღებენ გარანტიებს, რომ უპრობლემოდ შეძლებენ სხვადასხვა მოქმედების ჩატარებას, ისეთი როგორიც არის პირადი ჩხრეკა, შემოწმება და სხვ.[111] საბოლოო ჯამში ეს მიდგომა უფრო დიდი პრობლემას იწვევს. „მაყურებლები“ უფრო და უფრო მეტ პრივილეგიებს ითხოვენა, თითქმის მთელი ძალაუფლება გადადის კრიმინალური ავტორიტეტების ხელში. ხდება „ქურდული კანონების“ განმტკიცება და პოპულარიზაცია. ადმინისტრაციასა და კრიმანალურ სამყაროს შორის ხდება უფრო ღრმა ურთიერთობის ჩამოყალიბება, საერთო ჟარგონული სალაპარაკნო ენის შექმნა, რომელიც დაფუძნებული „ქურდულ ჟარგონებსა და კანონებზე“, ძალადობის გაზრდა პატიმრებს შორის, გარკვეული ჯგუფების დამცირება და სხვ.[112] ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა, ამძაფრებს სიტუაციას პენიტენციურ დაწესებულებაში და არაფრით არ უწყობს ხელს მის უსაფრთხოებას.

ამ ყველაფრიდან შეგვიძლია ვთქვათ იმისთვის, რომ ციხეში დაცული იყოს

---

[109] ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანისუფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, 136

[110] Марина, К. (2008). *В тюрьме.* http://rulibs.com/ru_zar/home/kuropatkina/0/j24.html გამოხმობილია 12,07,2019

[111] ქელბაქიანი ა, ცაგარელი ნ, ჭყოიძე დ., მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა, 2018, 76-77

[112] იქვე, 83-84

ადამიანის ძირითადი უფლებები აუცილებელია ჩატარებულ იქნას პირადი ჩხრეკა კანონმდებლობის სრული დაცვით ციხის უსაფრთხოებაზე მზრუნველი თანამშრომლების მიერ, ხოლო იმისთვის რომ ციხეში ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის უფლებების დარღვევას და უკეთესი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი და რეკომენდირებული არის, რომ იყოს შერეული პერსონალი რაც საშუალებას იძლევა დაცული იყოს ადამიანის უფლებები და მისი დარღვევა თითქმის ბოლომდე იქნას აღკვეთილი. პირადი ჩხრეკა აუცილებლად უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პერსონალმა რა სქესისაც არის გასაჩხრეკი პირი. ციხის პერსონალს უფლება აქვს მოახდინოს პატიმრების ჩხრეკა გარკვეული პერიოდების მიხედვით, რათა დაცული იქნას დაწესებულების უსაფრთხოება და აღკვეთილ იქნას სხვადასხვა სახის დანაშაულები ან საფრთხეები რომელიც დაარღვევს პენიტენციური დაწესებულების წესრიგს და უსაფრთხოებას.

4.2. ვიზიტორთა შემოწმება პენიტენციურ დაწესებულებაში.

ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ ვის აქვს ჩხრეკის და შემოწმების ჩატარების უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში და რა არის ამის მიზანი. სწორედ უსაფრთხოების დაცვის მიზნით და პენიტენციალური დაწესებულების წესრიგის დასაცავად, აუცილებელი არის, არა მარტო პატიმრების შემოწმება, არამედ ვიზიტორებისაც, რომლებიც შედიან დაწესებულებში მოთავსებული პირების სანახავად, იქნება ეს მათი მეგობარი თუ ოჯახის წევრი, მაგრამ მთვარია როგორ უნდა მოხდეს ვიზიტორთა შემოწმება ისე, რომ მათ მიმართ არ მოხდეს კანონმდებლობის დარღვევა.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ადგენს, რომ პენიტენციურ დაწესებულაში შესვლის წესი დადგენილი უნდა იყოს პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის ბრძანებაში არის ის ნორმები, რომელიც ადგენს პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირებს და იმას თუ როგორ უნდა მოიქცეს ციხის პერსონალი და როგორი თანმიმდევრობით უნდა შეასრულოს უსაფრთხოების დაცვის წესები ვიზიტორთა შესვლის დროს. აღნიშნულის თანახმად, დაწესებულის უსაფრთხოების თანამშრომელი ამოწმებს შესვლის სურვილის მქონე პირის პირადობის დამადასტურბელ დოკუმენტს, ართმევს და ინახავს მას, ის თხოვს პიროვნებას მისი პირადი ჩანთა და ნივთები შეინახოს ამისთვის განკუთვნილ ადგილზე დროებით. აღნიშნულის შემდეგ თუ დაცვის თანამშრომლეს წარმოექმნა ეჭვი, რომ ვიზიტორი ცდილობს შეიტანოს ციხის ტერიოტოაზე კანონით აკრძალული ნივთი ან ნივთიერება, მას უფლება აქვს მოახდინოს პიროვნების და მისი კუთვნილი ნივთების შემოწმება. შემოწმებას აუცილებლად ახდენს იმავე სქესის წარმომადგენელი, რა სქესისაც არის პენიტენციურ დაწესებულებაში შემსველელი პირი.[113]

[113] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის. ბრძანება №111, 27,08,2015

საერთაშორისო კანონმდებლობა მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ შექმნილი კანონმდებლობა იყოს ნათელი და მისი გაგება შეეძლოს, როგორც პატიმრებს ასევე მათ ნათესავებს, რომლებიც მათ სანახავად მიდიან ციხეებში. ყველას უნდა იცავდეს კანონმდებლობა და მათი უფლებების შეზღუდვა არა პროპორციული მიზნით არ უნდა მოხდეს. მნახველთა ჩხრეკა უნდა რეგულირდებოდეს მინიმუმ, ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორიც გათვალისწინებულია პატიმართა მიმართ და უნდა ითვალისწინებდეს მათი, როგორც არა პატიმრების სტატუსს[114] და ასეთი სამართლებრივი აქტების შექმნისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო გამოცდილება და კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი სამართლებრივი რეგულაციები, რომლითაც აუცილებლად უნდა იქნას დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

პენიტენციურ დაწესებულების უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს სტუმრების პირადი ჩხრეკა, რომელიც მოიაზრებს პიროვნების გაშიშვლებას. გაშიშვლების დროს აუცილებლად უნდა იქნას დაცული ყველა ის წესრიგი და ნორმები, რომელიც განმტკიცებული საერთაშორისო კანონმდებლობით და მისი დაცვა არის სავალდებულო ყველასთვის ნებიმისმიერ სიტუაციაში.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთნაირი მიდგომა არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც საქართველოშიც, აუცილებლად ხდება ვიზიტორების ჩხრეკა ციხეში შესვლისას და გამოსვლისას. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია სრულად შეამოწმოს ვიზიტორი, მეტალო დეტექტორის ან სხვა სახის ხელსაწყოების გამოყენებით, დაცვის თანამშრომელმა აუცილებლად უნდა შეამოწმს ვიზიტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები. შემოწმების შემდეგ შესაძლებელია მოხდეს ვიზიტორის ფიზიკური ჩხრეკა, აღნიშნულის დროს მდედრობითი სქესის ვიზიტორი შეიძლება გაჩხრიკოს მხოლოდ იმავე სქესის თანამშრომელმა. ხოლო მამრობითი შეიძლება გაჩხრეკილ იქნას ორივე სქესის მიერ, მაგრამ თუ საწინააღმდეგო სქესის მიერ ჩატარებული ჩხრეკა იწვევს მისი რწმენის არ რჯულის შეურაცხყოფას შეუძლია მოითხოვოს, რომ გაჩხრეკილ იქნას იმავე სქესის თანამშრომლის მიერ. ჩხრეკისას შეიძლება გამოყენებულ იქნან სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ყველა სხვა საშუალებით შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა შეიძლება მოხდეს, ვიზიტორის გაშიშვლებით ჩხრეკა, რომელიც შეიძლება ჩატარებულ იქნას სპეციალურ ადგილას, მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენლის მიერ და არც ერთ შემთხვევაში, არ შეიძლება ჩხრეკას ესწრებოდეს სხვა ვინმე, გარდა ჩხეკის ჩამატრებელი პირისა.[115] იმ შემთხვევაში თუ ვიზიტორი უარს განაცხადებს

---

[114] "ციხის საერთაშორისო რეფორმა", *გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები") სახელმძღვანელოს შემოკლებული რედაქცია, 2016 , 11*

[115] *The National Prisoners' Families Helpline*. Visiting a Prison:.

ჩხრეკაზე, მაშინ დაწესებულების თანამშრომლებს, კანონმდებლობის მიხედვით შეუძლიათ, უარი უთხრან მას ვიზიტზე და არ მისცენ პატიმრის ნახვის საშუალება.[116]

ადამიანის უფლებების დაცვას და ვიზიტორების მიმართ, სწორ და სამართლიან მოპყობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევრო სასამართლო, რომელიც თავის პოზიციას ერთ-ერთ საქმეში აფიქსირებს WAINWRIGHT v. THE UNITED KINGDOM. სადაც აპლიკანტებმა მერი და ალან ვაინვრაითებმა განაცხადეს, რომ ისინი იყვნენ მისულნი ბრიტანეთის ერთ-ერთ ციხეში ოჯახის წევრის სანახავად. ციხეში შესვლისას მოხდა მათი შემოწმება და მოეთხოვათ ჩატარებოდათ პირადი ჩხრეკა, ამიტომ ისინი გაიყვანეს ცალ-ცალკე სხვადასხვა ოთახში შესამოწმებლად. რა დროსაც მათ მოთხოვეს გაშიშველება. მერი ვაინვრითი შეამოწმა ორმა ქალმა თანამშრომელა, ისეთ ადგილას რომლიდანაც ჩანდა როგორც ციხის ეზო ასევე პერსონალის განყოფილება. გარეთ სიბნელე იყო, ხოლო ოთახში შუქი ანთებული, ფანჯრებზე არ იყო ჩამოფარებული არც ჟალუზები და არც რაიმე ისეთი რაც გარეთ მყოფ პირს ხელს შეუშლიდა ოთახში მიმდინარე მოვლენების დანახვისგან, ხოლო ჩხრეკის პროცესში მოულოდნელად კარი შემოაღო მესამე ქალმა, რომელიც იყო ციხის თანამშრომელი. მეორე აპლიკანტს კი ჩხრეკა ჩაუტარა ორმა მამაკაცმა, რომლებმაც მას ჯერ ტან ზემოთ გახდა მოთხოვეს, ხოლო შემდეგ ტანს ქვემოთ გაშიშვლება. თანამშრომლებმა მათ განუცხადეს, რომ თუ ისინი უარს იტყოდნენ შიშველ ჩხრეკაზე, მათ არ მისცმედნენ პატიმრის ნახვის უფლებას. ორივე აპლიკანტმა აღნიშნა, რომ უშუალოდ პროცესის დროს მათ მიიღეს ფსიქოლოგიური ტრამვა, ამიტომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ არ გაესხნებინათ ეს ამბავი და 4 თვის განმავლობაში აღარ მისულან ციხეში საკუთარი შვილისა და ძმის სანახავად. ისინი თვლიდნენ, რომ მათ მიმართ დარღვეულ იქნა ევრო კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები. სასამართლომ დაადგინა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევას. სასამართლომ განმარტა, რომ ჩხრეკის დროს არ მომხდარა უფლების გადაჭარბება თანამშროლების მიერ, პერსონალი ახორციელებლებდა კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებას, ისინი მოქმდებდნენ კანონით დადგენილ ფარგლებში, მათი მოქმედება იყო პროპორციული დარღვეული უფლებებისა, ამიტომ ადგილი არ ჰქონია დამამცირებელ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ხოლო მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან ჩხრეკა ჩატარდა ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებლი იყო, რომ ის დაენახა ნებისმიერ გამვლელ ადამიანს, რომელიც ციხის ამ ნაწილში მოხვდებოდა, ასევე კარების შემოღება შეეძლო, სხვა სქესის თანამშრომელსაც. ამიტომ დაავალა მოპასუხე მხარეს მორალური ზიანის ანაზღაურება.[117]

ამ ყველაფერიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო უფლებას აძლევს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს, რომ დაიცვან ციხის უსაფრთხოება, გაჩხრიკონ ყველი პირი ვინც ციხეში დააპირებს შესვლას კანონით

---

https://www.prisonersfamilies.org/visits/ გამოხმობილია 12,07,2019

[116] LLB, L. T., *In Brief*. Prison Visits: Types of prison visits https://www.inbrief.co.uk/prison-law/prison-visits/ გამოხმობილია 12,07,2019

[117] ECtHR: WAINWRIGHT v. THE UNITED KINGDOM, 26 September 2006 §7, §9-11, §14 §17-20

დადგენილი ყველა საშუალებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინონ ევრო კონვენციით განმტკიცებული ადამიანის უფლებების დარღვევა და მათი უფლებამოსილების შესრულების დროს ყოველთვის პატივისცენ და დაიცვან თითოეული ადამიანის ძირითად უფლებები და თავისუფლებები.

4.3. პატიმართა ჩხრეკა.

ადამიანის პირადი ჩხრეკა გარკვეულ წილად ყოველთვის არის დაკავშირებული კონკრეტულ პრობლემებთან, როგორც ზემოთ ვახსენეთ ეს პრობლემები შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მიერ საკუთარი უფლება მოსილების გადაჭარბება და სხვ., თუმცა ეს ყველაფერი იმდენად მძაფრი და ხშირი არ არის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ, რამდენადც უფრო მეტ პრობლემას ვაწყდებით როდესაც საქმე ეხება ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა პირად ჩხრეკას. ამ შემთხვევაში უფრო გახშირებულია მათ მიმართ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა და თითქმის ყოველ ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ხდება მათ მიმართ არა ადამიანური, დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობა. თანამედროვე დემოკრატიული სამყარო ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები, არ მოხდეს მათი დარღვევა და შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან გარდა აუცილებელი შემთხვევისა. მსოფლიოს მასშტაბით არა ერთი საერთაშორისო აქტი იქნა მიღებული და ევრო სასამართლოც მაქსიმულურად ცდილობს დაიცვას პატიმართა უფლებები, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატიმართა პირადი ჩხრეკის პრობლემის ოპტიმალური გადაჭრა და მოგვარება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

პიროვნების, როგორც მსჯავრდებულის პენიტენციალურ დაწესებულებაში მოთავსებისთვის აუცილებელია, რომ არსებობსდეს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.[118] პირის დაწესებულებაში მიყვანის დროს უნდა იქნას აუცილებლად შემოწმებული აღნიშნული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ასევე ის დოკუმნტი, თუ რის საფუძველზე ხდება პირის აღნიშნულ პენიტენციალურ დაწსებულებაში მიყვანა, რის შემდეგაც პატიმარს აუცილებლად აცნობენ მის უფლებებს. პატიმრების პირველად მიყვანისას პენიტენციალურ დაწესებულებაში უტარებენ პირად ჩხრეკას, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით. მსჯავრდებულის ან ბრალდებულის ჩხრეკა არ უნდა ჩატარდეს დამამაცირებელ და ღირსების შემლახველ პირობებში და აუცილებლად უნდა ჩაატაროს იგივე სქესის წარმომადგენელმა. ამის შემდეგ ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ ახლად მიყვანილ მსჯავრდებულებს ან ბრალდებულებს რაც შეიძლოება უმოკლეს დროში გააცნოს, ციხის ადმინისტრაციის შიდა განაწესი, აუხსნან მათ თავიანთი უფლებების შესახებ და მიაწოდონ ყველა საჭირო ინფრომაცია, რომელიც მათ იქ ყოფნის დროს გამოადგებათ. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია პატიმრობის დაწყების პირველი დღიდან მის უკანასკნელ დღემდე, იქ მყოფ ადამიანებს თავი არ აგრძნობინონ

[118] საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხლი 33, 2010 წლის 9 მარტი.

უსუსურად და არ მოეპყრან მათ, ისე რომ მოხდეს მათი ღირსების და პატივის შელახვა.[119]

თუ გადავხედავთ საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებს, თითქმის ყველგან არის ხაზგასმა იმაზე, რომ პროფესიანალიზმი და ადამიანის უფლებები არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორები, რათა პენიტენციალურმა დაწესებულებამ სწორად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. სწორედ პროფესიონალიზმი და ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესობას გაუსვა ხაზი ნელსონ მანდელამ თავის მიმართვაში, რომელიც მან წარმოთქვა სამხრეთ აფრიკის, ადამიანის უფლებათა და გამასწორებელი სამსახურის დეპარტამენტის გადამზადების პროექტის გახსენაზე. მან აღნიშნა, რომ პენიტენცილური დაწესებულება უნდა ზრუნავდეს იქ მოთავსებული ადამიანების რეაბილიტაციაზე, ყოველ პატიმარს უნდა მოეპყრან ღირსეულად, რათა არ იქნას ჩათვლილი, რომ მსგავსი ტიპის დაწესებულებებში ყურადღებას არ აქცევენ ადამიანის უფლებებს. სწორედ პენიტენციურ სისტემას შეუძლია მოახდინოს დანაშაულის შემცირება, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ექცევიან პატიმრებს. პრეზიდენტმა მიმართვაში აღნიშნნა, რომ გამასწორებელი სამსახურის დეპარტამენტს აქვს ძალიან დიდი გამოწვევა და სწორედ მათზე არის დამოკიდებული, თუ რამდენად მოხდება სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა და აღნიშნა, რომ მას მსგავსი ტიპის დაწესებულებაში მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმის იმედი აქვს.[120]

პენიტენციალური დაწსებულების მნშვნელობაზე ასევე ისაუბრა თავის მოხსენებაში, ლორდმა მოსამართლე ვულფმა, რომელიც ეხებოდა ინგლისში 1990 წელს მომხდარ აჯანყებებს. მან აღნიშნა იმისათვის, რომ პენიტენციალურმა სისტემამ იმუშაოს გამართულად აუცილებელია შემდეგი: *„არსებობს სამი კრიტერიუმი, რომელსაც პენიტენციალური სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმისათვის, რომ იგი იყო სტაბილური; ესენია: უსაფრთხოება, კონტროლი და სამართლიანობა.წინამდებარე მიზნებისთვის, „უსაფრთხოება“ ნიშნავს პენიტენციალური სამსახურის ვალდებულებას, თავიდან აიცილოს პატიმრების გაქცევა. „კონტროლი“ ნიშნავს პენიტენციალური სამსახურის ვალდებულებას, თავიდან აიცილოს პატიმრების მიერ არეულობის მოწყობა. „სამართლიანობა“ ნიშნავს პენიტენციალური სამსახურის ვალდებულებას, პატიმრებს მოექცეს ჰუმანურად და სამართლიანად და მოამზადოს ისინი საზოგადოებაში დასაბრუნებლად“*[121]. მოსამართლე ვულფიც თავის

---

[119] *“კონსტიტუციის 42-ე მუხლი". პატიმრობის პირობები თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები.* (2008). 6

[120] *South African History online*. SPEECH BY PRESIDENT NELSON MANDELA AT THE OFFICIAL LAUNCH OF THE RE-TRAINING AND HUMAN RIGHTS PROJECT OF THE DEPARTMENT OF CORRECTIONAL SERVICES. (Kroonstad, 25 June 1998). https://www.sahistory.org.za/archive/speech-president-nelson-mandela-official-launch-re-training-and-human-rights-project-departm , გამოხმობილია 13,07,2019

[121] *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან.* (2007).http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---

მოხსენაბაში ისევ, როგორც პრეზიდენტი მანდელა ხაზს, უსვამს, რომ პენიტენციალური დაწესებულების გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, რომ თანამშრომლებმა გაითვლისწინონ ადამიანის ძირითადი უფლებები და პატიმრებს მოეპყრან ღირსეულად, არ იქნას მათ მიერ ჩათვლილი, რომ რადგანაც ისინი უფრო მეტი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი, შეუძლიათ ყოველ მიზეზგარეშე უბრალოდ დაჩაგრონ, მიაყენონ შეურცხყოფა და მოახდინონ პატიმრების დამცირება სხვდასხვა ხერხის გამოყენებით. სამწუხაროდ ასეთი ხერხებიდან, რომელიც გამოიყენება ადამიანების მიმართ დაჩაგვრის და მათი შევიწროვების მიზნით არის პატიმართა პირადი ჩხრეკა. პირადი ჩხრეკის დროს ხშირად გამოიყენება სრული დათვალიერების მოთხოვნა, რაც გულისხმობს პატიმრის სრულად გაშიშვლებას. როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი კანონმდებლობა, აღნიშნავს რომ თუ აუციელებელი არ არის, არ უნდა მოხდეს პატიმრის გაშიშვლებვით დათვალიერება, ხოლო თუ ყველა სხვა საშუალება არის ამოწურული და მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება არის პატიმრის სრული შემოწმება ეს უნდა მოხდეს ისე, რომ აღნიშნულს არავინ არ უნდა ესწრებოდეს გარდა უშუალოდ ჩხრეკის ჩამტარებელი პირისა, რომელიც აუცილებლად იმავე სქესის უნდა იყოს.[122]

იმისათვის, რომ პენიტენციალური დაწესებულება მოქმედებდეს გამართულად და კანონმდებლობის ფარგლებში, აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებული იყოს გარკვეული პრინციპები თუ რჩევები, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერი სწორად მიიჩნევს. მაგალითად ასეთია უსაფრთხოების დონის დაცვა. უსაფრთხო გარემო აუცილებელია როგორც იმ პერსონალისთვის, რომელიც მუშაობს პენიტენციალურ დაწესებულებაში და იქ მოთავსებული სხვა პირებისთვის. ამისათვის საჭიროა მკაფიოდ განსაზღვრული შინაგანაწესი, რომელიც კარგად იცის როგორც მსჯავრდებულმა ასევე პერსანალმაც. ორივე მხარისთვის ცნობილია ყველა ის საჭირო ინფორმაცია, თუ რისი უფლება აქვს თითოელ მათგანს. აღნიშნული წესების ცოდნა ხელს შეუწყობს თითიოელი იქ მყოფი ადამიანის მიმართ სწორ მოქმედებას, ყველას ეცოდინება თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ თითოეულ საქციელს, რისთვის შეიძლება დაისაჯონ ან პირიქით წახალისდნენ. უსაფრთხოების დონის განსაზღვრა არის აუცილებლი ყველასთვის, როგორც იქ მოთავსებული პირებისთვის ასევე საზოგადოებისთვისაც. არავის არ მოსწონს საპატიმროში ყოფნა, უბრალოდ ზოგი გარკვეული პერიოდის მერე ეგუება თავის რეალობას და აღარ ცდილობს შექმნას ახალი პრობლემები, ზოგი კი პირიქით არასდროს არ ნებდება და მუდამ ცდილობს გაიქცეს ან დაარღვიოს პენიტენციალური დაწესებულების წესრიგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალმა უნდა მიიღოს ყველა ზომა და თითოეულ პატიმარს უნდა შეუქმნას ის გარემო და უსაფრთხოების დონე რაც

00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHc636bb874c24c9a7b4633d.7 გამოხმობილია 13,07,2019

[122] კოილი ე. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. (სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის), (2002) 71

აუცილებელია, ისე რომ ვერავინ ვერ შეძლოს მისი გადალხვა და დარღვევა[123]. უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი საშუალება არის პირადი ჩხრეკა, სწორედ პირადი ჩხრეკის საშულებით არის ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი აღმოჩენილ იქნას, როგორც კანონმდებლობით აკრძალული ნივთები, ასევე ციხის შინა განაწესითაც, რადგან პატიმრები ხშირად ცდილობენ შეინახონ ისეთი ნივთები, რომელიც საფრთხეს უქმნის, როგორც უშუალოდ მათ ასევე სხვის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჭარბი უსაფრთხოების დონე მისაღებია და დასაშვებია, ხშირად უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხდება გადამეტებული ძალის და უფლებამოსილების გამოყენება ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ.

აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს გადამეტებული ძალის გამოყენებაში, ჩხრეკების ჩატარება უხეში დარღვევით, რომელიც შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისათვისა და პატივისთვის, უსამართლო სასჯელები და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც პერსონალი ციხის კონტროლის უფლებას აძლევს გარკვეულ კრიმინალურ ჯგუფს. ამ შემთხვევაშიც ხშირია ადამიანის უფლებების დარღვევა, ისეთი როგორიც არის გადაჭარბებული აგრესია როგორც პატიმრების ასევე პერსონალის მიმართ და სხვ. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაჭარბებული მოქმედებით პრობლემა იქმნება პენიტენციალურ დაწსებულებაში, რაც იწვევს არეულობას და პატიმართა მიერ ციხიდან გაქცევის საფრთხეს.[124]

არ შეიძლება პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის უგულვებელყოფა, რომელიც პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომლის მიერ გამოიხატოს სხვადასხვა ხერხით, ერთ-ერთი ასეთი არის პირადი ჩხრეკა. უკვე ავღნიშნეთ, რომ ჩხრეკა გამოიყენება, როგორც დაცვის მექანიზმი, მაგრამ სამწუხაროდ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ციხის პერსონალი გამიზნულად ახორციელებს ადამიანის პირად ჩხრეკას, რათა ჩხრეკის ობიექტმა თავი იგრძნოს დამცირებულად. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს მსგავსი სახის ქმდებებს და ის არ იყოს გარჩეული და განხილული კანონმდებლობის შესაბამისად.[125]

პირადი ჩხრეკა პენიტენციალურ დაწესებულებაში ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია სამართლებრივი სისტემებისთვის და მისი ოპტიმალური მოგვარება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება მრავალი მცდელობის მიუხედავად. ყველაზე პრობლემურ საკითხს კი პატიმართა შიშველი ჩხრეკა წარმოადგენს. აღნიშნული პროცედურის დროს, პრაქტიკა გვიჩვენებს ყველაზე ხშირად ირღვევა უფლებები რომელიც ეხება ადამიანის პატივსა და ღირსებას, ასევე პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

---

[123] იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. კოილი ე. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, 2007 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHc636bb874c24c9a7b4633d.7 გამოხმობილია 13,07,2019

[124] იქვე,

[125] იმნაძე ნ., გიგინეიშვილი მ., (რედ.) ერემაშვილი ნ., *სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის მეთოდოლოგია, 27, 45*

ჩხრეკა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმად, რისთვისაც აუცილებელია პატიმართა სისტემატიური ჩხრეკა, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ პატიმრებზე, რომლებიც ექვემდებარებიან საშუალო ან მაღალი საფრთხის მქონეებს, მაგრამ ყოველი გაჩხრეკის დროს არ არის აუცილებელი პერსონალმა ზედმეტი მონდომებით ჩაატაროს. ჩხრეკა შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ზედაპირული შეხებით და არ არის აუცილებელი უხეში ქმედებით. რა თქმა უნდა არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ციხის დაცვის თანამშრომელს შეექმნება საკმარისის საფუძველი ან ეჭვი, რომ პატიმარი მალავს გარკვეულ ნივთს რომელიც საფრთხეს შეუქმინის ციხის უსაფრთხოებას ან იქ მოთავსებულ ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოთხოვოს პატიმარს გაშიშვლება და მოახდინოს მისი შემოწმება.[126]

პერსონალი, რომელიც ატარებს პირად ჩხრეკას და ამას თან ახლავს გაშიშვლება უნდა მოქმედებდეს, კანონმდებლობის სრული დაცვით მან არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს ეს უფლებასამოსილება გადაჭარბებით რადგან სახეზე იქნება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ევრო სასამართლო საქმეზე JAEGER v. ESTONIA[127] განიხილა რამდენად კანონიერად მოხდა პატიმრის ჩხრეკა და დაადგინა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების დარღვევას. კერძოდ კი პატიმრის ჩხრეკა მოხდა გაშიშვლებით, ციხის ისეთ ნაწილში, რომელიც გასასვლელით უკავშირდებოდა ქალების ფლიგელს. შესაბამისად შესაძლებელი იყო, რომ ქალების ციხის დაცვის თანამშრომელი, რომელიც დიდი ალბათობით იქნებოდა განსხვავებული სქესის შემოსულიყო ნებისმიერ დროს, ამასთანავე პატიმრის ჩხრეკა მოხდა სხვა ორ პატიმართან ერთად. მიუხედავ იმისა, რომ მოპასუხე მხარე უარყოფდა აღნიშნულს და ამტკიცებდა, რომ ჩხრეკა ჩატარდა იზოლირებულ ადგილას. სასამართლომ მაინც დაადგინა, ევრო კონვენცის მე-8 მუხლების[128] დარღვევა, რომელიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, შესაბამისად სახელმწიფოს დააკისრა პასუხისმგებლობა ზიანის ასანაზღაურებლად. სასამართლომ განმარტა, რომ არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ მოპყრობას, რომელიც უტოლდება არა ადამიანურ ან ღირსებისა და პატივის შემლახველს. ამასთანავე არ შეიძლება პატიმრის გაშიშვლებით გაჩხრეკა არა იზოლირებულ გარემოში, სადაც იქნებიან მხოლოდ პატიმარი და ჩხრეკის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი. როდესაც ხდება ადამიანის გაშიშვლებით ჩხრეკა ამისათვის აუცილებელია, რომ ეს მოხდეს ისეთ გარემოში სადაც დაცული იქნება გასაჩხრეკი პირის უფლებები, სასამართლომ დაადგინა, რომ არ უნდა

---

[126] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. კოილი ე. *პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან*, 2007 , http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHc636bb874c24c9a7b4633d.7 გამოხმობილია 13,07,2019

[127] ECtHR., Jaegar v. Estonia, № *1574/13* 31.07.2014 §6- 8 §28-31

[128] *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.* 1950 წლის 4 ნოემბერი

მოხდეს პატიმრის გაშიშვლება სხვა პირების თანდასწრებით. ჩხრეკის ჩამატრებელი და გასაჩხრეკი პირი უნდა იყოს აუცილებლად ერთი და იმავე სქესის[129]

იქედან გამომდინარე, რომ გაშიშვლებით ჩხრეკის ჩატარება არის უსაფრთხოების დაცვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამას მიეცეს რუტინული სახე. აღნიშნული უნდა ჩატარდეს მხოლოდ გადაუდებელი და საჭირო აუცილებლობის შემთხვევაში, რადგან პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსგავსი ტიპის შემოწმების დროს წარმოიშვება ევროკონვენციით დაცული საკითხების დარღვევა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ქმედების მიზნორბივი გამოყენება, ხოლო თავის მხრივ კი ციხის პერსონალი ვალდებულია დაასაბუთოს ამ მოქმედების ჩატარების აუცილებლობა და პროპორციულობა, რადგან გაშიშვლებით ჩხრეკის ჩატარება როგორც რუტინული მიდგომა ყოველთვის შექმნის საფრთხეს, ასევე აუციელბელია, რომ მსგავსი ტიპის ჩხრეკა ჩაატაროს იმავე სქესის წარმომადგენელმა რა სქესისაც არის პატიმარი.[130]

ევრო სასამართლომ საქემზე VAN DER VEN v. The Netherlands დადგინა, რომ გახშირებული სახის სრული ჩხრეკები არ არის რეკომენდირებული და ამან შეიძლება გამოიწვიოს პატიმარში სხვდასხვა სახის პრობლემები. ევრო სასამართლო მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ რაც შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანონ ჩხრეკის აღნიშნული პროცედურა და მოაქციონ სისტემურ რეჟიმში, რომელიც გარკვეულ პერიოდში ერთხელ ჩატარდება. შესაბამისად დამატებით ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ როდესაც პატიმარს შეხება ექნება გარე სამყაროსთან და არ არის აუცილებელი მისი სხეულის სრული ჩხრეკა, ყოველ ეზოში გასეირნებისას, ექიმთან ვიზიტისა თუ მნახვლთან შეხვედრის შემდეგ, რადგან ხშირმა სრულმა ჩხრეკამ შეიძლება ფსიქოლოგიური პრობლემები გამოიწვიოს პატიმრებში.[131]

საქმეზე VALAŠINAS v. LITHUANIA[132] ევრო სასამართლომ დაადგინა დარღევად, როდესაც პატიმრის ჩხრეკა ხდებოდა ციხის დაცვის თანამშრომლების თანდასწრებით, რომელთა შორისაც იყო განსხვავებული სქესის წარმომადგენლებიც. ციხის პერსონალი აიძულებდა აპლიკანტს გაეხადა თავისი ტანსაცმელი და ისინი შიშველი ხელებით ეხებოდნენ აპლიკანტის სასქესი ორგანოებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი სახის პირადი ჩხრეკა, თუნდაც ის ტარდებოდეს უსაფრთხოების დაცვის მიზნით არის არასწორი, რადგან ასეთი სახის მოპყრობა არის დამამცირებლი და შეურაცხმყოფელი ადამიანისათვის, ამის შემდეგ პატიმარი თავს აუცილებლად იგრძნობდა უმწეოდ და უძლურად, ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა არღვევს საერთაშორისო სამართალს და უხეშად იჭრება ადამიანის უფლებებში. მსაგვსი ხერხის გამოყენება, სასამართლოს მიერ არ იქნა მიზანშეწონილად და არ ჩაითვალა პროპორციულად, რადგან პატიმრის გაშიშველება და მისი გაჩხრეკა საწინააღმდეგო სქესის დაცვის თანამშრომლების თანდასწრებით და მისი შემოწმება შიშველი ხელებით, არ შეესაბამება არც ერთ

---

[129] Council of Europe, June 2006 , European Prison Rule, 54,5

[130] მერდოკი ჯ., ვაცლავ ჟ., *არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში,* 2016 , 71-73

[131] ECtHR., VAN DER VEN v. The Netherlands, № *50901/99* , 2003.04.02 §31, §65-68

[132] ECtHR., VALAŠINAS v. LITHUANIA, № 44558/98, 24.07.2001 §26

საერთაშორიო კანონმდებლობას და არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციას.

როცა ვსაუბრობთ ევრო სასამართლოს პრაქტიკაზე, აუიცლებლად უნდა ვახსენოთ „ფრერო საფრანგეთის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ განიხილა რამდენად კანონიერი იყო პატიმრების სხეულის სრული დათვალიერება პირადი ჩხრეკის დროს, რომელიც ინტიმურ ნაწილებსაც მოიაზრებს. საფრანგეთის კანონმდებლობით მსგავსი დათვალიერება გათვალისწინებული იყო. ის უფლებას აძლევდა პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომლებს მოეხდინათ პატიმრის სხეულის დათვალიერება (თმა, პირი, იღლიები და ა.შ.), მსგავს შემოწმებას ასრულებდა იგივე სქესის წარმომადგენელი და შეხება შეიძლებოდა მხოლოდ თმების შემოწმების შემთხვევაში. სასამართლომ განიხილა, რომ მსგასვი სახის შემოწმება აუცილებლია დაწესებულების უსაფრთხოების გამო და ეს ყველაფერი არის პროპორციული, დარღვეული უფლებისა და ამიტომ ეს ყველაფერი დასაშვებია და ის არ არღვევს ადამიანის ღირსებას. მიუხედავად ამისა სასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან მისი განმარტებით სახელმწიფო არ ადგენდა მკაფიოდ იმ აუცილებელ ნორმებს და სტანდარტებს თუ რა დროს უნდა მომხდარიყო პატიმრის სხეულის სრული შემოწმება (ანალური შემოწმება), შესაბამისად მან დარღვევად დაადგინა დაცვის თანამშრომლების მიდგომა, რომ პატიმარს აუცილებლად უნდა ჰქონოდა პაემნის შემდეგ აკრძალული ნივთი დამალული სხეულის ყველაზე ინტიმურ ადგილას, ამიტომაც მსგავსი პრაქტიკა მოახდენდა პატიმრის ღირსების შელახვას და მისი უფლებების დარღვევას.[133]

პირად ჩხრეკის ერთ-ერთ სახეს შიშველი ჩხრეკის დროს წარმოადგენს პატიმრის სხეულის სრული დათვალიერება, რაც მოიზრებს პატიმრის სხეულის არა მარტო ზედაპირულ დათვალიერებას არამედ მის ანალურ შემოწმებას, რაც რა თქმა უნდა ხშირ შემთხვევაში არის ჩატარებული არასწორი გზით. საერთაშირისო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ მსაგვსი სახის დათვალიერების დროს, წარმოიქმნება სხვადასხვა სახის პრობლემები, ისეთი როგორიც არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევასთან, ასევე იმასთან თუ ვინ უნდა ჩაატაროს მსგავსი შემოწმება, უნდა მოხდეს ეს აუცილებლად სამედიცინო პერსონალის მიერ თუ ამის ჩატარების უფლება აქვს დაწესებულის დაცვის თანამშრომელსაც. კოილი მიიჩნევს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხეულის სრული დათვალიერება უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ, მათ უნდა ეკრძალებოდეთ მსგავსი სახის ჩხრეკის ჩატარება.[134]

სამწუხაროდ ადამიანის უფლებების დარღვევას რა თქმა უნდა ვერც საქართველოში გავექცევით, ამ მხრივ განსაკუთრებით ხშირი და ყურადსაღები შემთხვევა არის N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხდება პატიმართა სრული შემოწმება, რომელიც მოიაზრებს გაშიშვლებას და სხეულის სრულ დათვალიერებას.

---

[133] “კონსტიტუციის 42-ე მუხლი" (რედ.) კვაჭაძე მ., პატიმრობის პირობები თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, 2008 , 46-47

[134] კოილი ე. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. (სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის), (2002) 71

შემოწმების მიზანია, რომ ადამიანის სხეულში აღმოჩენილ იქნას აკრძალული ნივთი ან ნივთიერება. სამწუხაროდ პატიმართა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი არ არიან სრულად ინფორმირებულნი თუ რას გულისხმობს სხეულის სრული შემოწმება, როგორ უნდა ჩატარდეს ის და ვის აქვს ამის უფლება. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პატიმართა სრული შემოწმება ტარდება საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება პატიმრების ციხეში პირველი მიყვანა ან გამოსვლისას, ასევე მაშინ როდესაც ისინი ტოვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებას, ამიტომ ხშირია შემთხვევები როდესაც პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების დატოვებაზე, თუნდაც ეს ხდებოდეს სასამართლო პროცესზე დასწრების ან მკურნალობის მიზნით. გამოკითხული პატიმრები აღნიშნავენ, რომ მსგავსი სახის შემოწმება იყო ძალიან დამამცირებელი რაც მათ მორალურ ზიანს აყენებდა. სამწუხაროდ არ არის გათვალისწინებული წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაციები, იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი სახის შემოწმება უნდა ხდებოდეს მხოლოდ აუცილებელ და გადადუდებელ შემთხვევებში. ასევე აღსანიშნავია ის სტატისტკა, რომელიც ფიქსირდება აღნიშნულ დაწესებულებაში: „2018 წლის პირველ ოთხ თვეში N5 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ქალი მსჯავრდებულები იხდიან სასჯელს, სხეულის სრული შემოწმება ჩაუტარდა 514 ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაწესებულებაში მიღებისას, ხოლო 566-ს დაწესებულების დატოვებისას."[135]

უკვე ავღნიშნეთ, რომ პატიმართა შიშველი ჩხრეკა ძალიან სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ის შემთხვებები, როდესაც ხდება პატიმრის სხეულის სრული შემოწმება. აღნიშნულ საკითზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუცი სასამართლომაც. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N200 ბრძანების, 113-ე მუხლის ზ-ქვეპუნქტის თანახმად, რომელიც ადგენდა: „სხვა შემთხვევებში, დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მითითებით,"[136] შესაძლებელია პატიმარს ჩაუტარდეს სხეულის სრული შემოწმება. აღნიშნული არ აკონკრეტებდა იმ გარემოებას თუ როდის შეიძლებოდა შემოწმების ჩატარება და თითქმის განუსაზღვრელ უფლებას აძლევდა ციხის პერსონალს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილი მოქალაქის სარჩელი, რომელიც ეხებოდა სწორედ ზემოთ აღნიშნულ ნორმას და ის დაადგინა არა კონსტიტუციურად. სასამართლომ მსჯელობისას განმარტა, რომ პატიმრის სრული შემოწმება გამოწვეული არის პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან უსაფრთხეობის დაცვა უმნიშვნელოვანესი და ამავდროულად საკმაოდ რთულია. კანონმდებელი უფლებას აძლევს პერსონალს მხოლოდ

[135] არაბული, ნ. (2018 წლის 28 ივნისი). *რადიო თავისუფლება.* დაბრუნებული გაშიშვლება და სხეულის აგრესიული ჩხრეკა ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. https://www.radiotavisupleba.ge/a/გაშიშვლება-და-სხეულის-აგრესიული-ჩხრეკა-ქალთა-სასჯელაღსრულების-დაწესებულებაში-/29325720.html , გამოხმობილია 13,07,2019

[136] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. *ბრძანება №200. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,* 2013 წლის 1 აგვისტო

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს პატიმრის სხეულის სრული შემოწმება, რათა გამორიცხოს აკრძალული ნივთების, შეტანა, შექმნა, ყიდვა ან ბრუნვა დაწესებულების ტერიტორიაზე, ამიტომაც აღჭურვა კანონმდებელმა პერსონალი მოქნილი მექანიზმით, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს დაწესებულების და იქ მყოფი პირების მონიტორინგი რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხე. თუმცა აღსანიშნავია, რომ საფრთხე ყოველთვის იდენტური ვერ იქნება, ამიტომაც ყოველთვის ერთნაირი ვერ იქნება ის სიკეთე რომლის მიღწევასაც ცდილობს პერსონალი სრული შემოწმების დროს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხშირი სრული ჩხრეკა არღვევს ადამიანის უფლებებს. ის განმარტავს, რომ როდესაც უკვე შემოწმებული პირის თავიდან შემოწმება ხდება არ არის გამართლებული, რადგან დროის მცირე მონაკვეთში ის ვერ შეძლებდა მომატებული საფრთხის შექმნას, მაგრამ რა თქმა უნდა განსხვებული შემთხვევა არის, როდესაც არსებობს ინფორმცია კონკრეტული პირის მიმართ, რომ მას აქვს აკრძალული ნივთი ან ნივთიერება სხვადასხვა ხერხით მოპოვებული, აქედან გამომდინარე მისგან არის საფრთხე, რომლის შემოწმებაც აბსოლიტურად ლეგიტიმურია. თუ მსაგვსი ინფორმაცია არ არსებობს საფრთხე შეიძლება ითქვას მინიმალურია, რათა გამართლდეს ისეთი ინტენსიური მზღუდავი ღონისძიება, როგორიც არის პირის გაშიშვლება. ბრძანება №200, კონრეტულად არ ადგენს თუ რა ვითერებაში შეუძლია გამოიყენოს დირექტრმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლება და მოახდინოს სრული შემოწმება. აქედან გამომდინრე შესაძლებელია მათ მიერ აღნიშნული უფლება გამოყენებულ იქნას მინიმალური საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც, რაც არ არის გამართლებული, რადგან მსგავსი სახის შემოწმება გახშირებულ შემთხვევებში პატიმრებში იწვევს აშკარად დისკომფორტს და სირცხვილის შეგრძნებას, პატიმრის გაშიშვლება და მისი სრული შემოწმება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მაშინ, როდესაც საფრთხე არის რეალური. ამიტომ საქართველოს საკონსტისტუციო სასამართლომ დაადგინა რომ აღნიშნული ბრძანება არღვევს ადამიანის უფლებებს და განმარტა: „№200 ბრძანება კი უშვებს პირის გაშიშვლების ღონისძიების ჩატარებას ისეთ პირობებშიც, როდესაც საფრთხე მინიმალური და ზედმეტად თეორიულია. ასეთ შემთხვევებში პირის გაშიშვლება აღწევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული მოპყრობის ხარისხს. შესაბამისად, №200 ბრძანების 113-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.“[137]

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კონკრეტული მიდგომა აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზიაციებს. თუმცა აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებები და რჩევები, სახელმწიფოების მიმართ თუ როდის უნდა მოხდეს პატიმრის სრული ჩხრეკა, რომელიც ჩაითვლება გამართლებულად და ამით არ მოხდება ადამინის ძირითადი უფლებების დარღვევა.

---

[137] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. *საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ. №2/4/665,683* , 26 ივლისი 2018. §82-86

პატიმრის სხეულის სრული ჩხრეკა უნდა ჩატარდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვით, როდესაც ეს გამოწვეულია პენიტენციალური დაწესებულების უსაფრთხოების მიზნით.[138] თითოეულ ასეთ საკითხს დაწესებულება უნდა მიუდგეს ინდივიდუალურად, რადგან პიროვნების სხეულის სრული დათვალირება ძალიან სენსიტიური საკითხია იმ პიროვნებისთვის ვისი შემოწმებაც ხდება, მაგრამ ეს ყველაფერი გამართლებულადაც კი ჩაითვალება თუ სრული დათვალიერება გამოწვეულია დაწესებულების უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ასეთ დროს დასაშვები და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიც არის, რომ ჩაერიოს სამედიცინო პერსონალი, რადგან სხვაგვარად შეიძლება ვერ მოხერხდეს კონტრაბანდის ან ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთების აღმოჩენა, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც თავად გასაჩხრეკ პირს ასევე დაწესებულებაში არსებულ სხვა პიროვნებებსაც, ისე რომ არ დაირღვას კანონმდებლობა.[139] მსგვას შემთხვევებზე საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ მოწვეულ უნდა იქნას დამოუკიდებელი სამედიცინო პერსონალი, რაზეც ვფიქრობ რომ გამართლებული და სწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი აღიქმება, როგორც პატიმრის პირადი ექიმი.[140] ამ ყველაფრიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ქართული კანონმდებლობაც და საკონსტიტუციო სასამართლოც, მოწოდინებულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვისკენ, ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ცდილობს შექმნას ისეთი გარემო პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და აღნიშნული დააკმაყოფილებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და კანონმდებლობას.

---

[138] Report to the Bulgarian Government on the visit to Bulgaria carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 24 March to 3 April 2014 , 119

[139] A WHO guide to the essentials in prison health, Health in prisons, 36-37

[140] ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანისუფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, *73-74*

დასკვნა

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად უფრო მეტად არის განმტკიცებული ადამიანის უფლებების დაცვა, ვიდრე ეს მისი წინამორბედი კოდექსით იყო, მაგრამ მიუხედავად ამის როგორც ნაშრომის განხილვისას ვნახეთ დღემდე არსებობს გარკვეული სახის პრობლემები პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით. კანონმდებლის მცდელობა, როდესაც მან საგამოძიებო ორგანოებს დაუწესა საკმაოდ მაღალი სტანდარტი, როგორიც არის დასაბუთებული ვარაუდი, სამწუხაროდ ვერ აღმოჩნდა ოპტიმალური პრობლემის გადასაჭრელად.

პრაქტიკული მაგალითების, განხილვით ვნახეთ, როგორც ქართული ასევე საზღვარგარეთის არა ერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას პირად ჩხრეკასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრა ვერ მოხერხდა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს მოახდინოს მოქალაქის შემოწმება, დანაშაულის პრევენციის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული შემოწმება გადაიზრდება ხოლმე პირად ჩხრეკაში, რომელიც სამწუხაროდ საზოგადოებაში მათი უფლებების არ ცოდნის გამო ტარდება კანონმდებლობის აშკარა დარღვევით. კანონმდებელმა ჩხრეკის ჩამტარებელ პირს მოთხოვა დაიცვას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, მაგრამ აღნიშნული ყოველთვის არ ხდება.

ვფიქრობ, რომ პრობლემის გადაჭრის გზად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. მართალია არსებობს სხვდასხვა სახის შემეცნებითი სალექციო პროგრამები, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის საკმარისი. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს უფრო მეტი ყურადღების დათმობა აღნიშნული საკითხისადმი, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია არა მარტო მსგავსი პროგრამებით არამედ შემეცნებითი გადაცემებით, სპეციალური საიტებისა და ბროშურების დახმარებით, რომელზეც წვდომა ექნება ნებისმიერ მოქალაქეს. ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო და მარტივად გასაგები ნებისმიერი ასაკის მოქალაქისთვის. მოქალაქეები არ უნდა განიცდიდნენ ინფორმაციის დეფიციტს მათ უნდა იცოდნენ ყველა შესაძლო გზა თუ როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები დარღვევის შემთხვევაში, იქნება ეს მიმართვა შსს გენარალური ინსპექციისთვის თუ სხვა საშუალებებით. ყველაზე მარტივი და აპრობირებულ საშუალებად უნდა იქცეს მიმართვა გენერალური ინსპექციისთვის, რომლის მოვალეობაში შედის ყურადღება მიაქციოს ყოველ დარღვევას შს სამინსტროს თანამშრომლის მიერ, იქნება ეს სამართლებრივი ნორმების, სამსახურეობრივი მოვალეობის არა ჯეროვნად შესრულება თუ სხვ. და ვალდებულია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ აქვთ უფლება მოითხოვონ უფლებების განმარტება, მათი ჩხრეკის მიზეზი და ოქმის შედგენა.

თავის მხრივ პრობლემის გადასჭრელად აუცილებელია პროფესიონალიზმისა და ცოდნის ამაღლება თავად ჩხრეკის ჩამტარებელ პირებს შორის. სახელმწიფო რომელიც ცდილობს შექმნას სამართლებრივი გარემო სადაც დაცული იქნება

ადამიანის უფლებები დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამართალდამცავთა პროფესიონალიზმს და მათ ქმედებებს. აუცილებელი არის მათი გადამზადება, საჭირო ცოდნის მიცემა. გათვალისწინებული უნდა იქნას უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება, უნდა მოხდეს მათი ქმედებების უფრო ხშირი და მასშტაბური კონტროლი. თუ ახალი დეპარტემენტი არ შეიქმნება რომელიც კონტროლს გაუწევს საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას შსს თანამშრომლების მიერ, როგორც ეს ბრიტანეთშია (Police Search Adviser), ვფიქრობ ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს გამოცდილი კადრების დამატება, რომლებიც დააკვირდებიან შსს თანამშრომლის მიერ ჩატარებულ ისეთ ჩხრეკებს, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ უსაფრთხობას და დანაშაულის პრევენციას. თანამშრომლებს ჩაუტარდეთ გარკვეულ პერიოდში ერთხელ შემოწმება, გაიარონ ახალი ტრეინინგები. ეს ყველაფერი ვფიქრობ მათში გამოიწვევს უფრო მეტ პასუხისმგებლობას კანონმდებლობის და მოქალაქეების მიმართ.

ადამიანის უფლებების დარღვევით ჩატარებული პირადი ჩხრეკის თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობ აუცილებელია გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ ავსტრალიის, რომელიც მოუწოდებს პოლიციის თანამშრომლებს მინინუმამდე დაიყვანოს უშუალო ფიზიკური კონტაქტი მოქალაქესთან. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ მოქალაქესა და პოლიციის თანამშრომელს შორის შედგება ნორმლაური კონტაქტი, პოლიცია შეეცდება თავდაპირველად გარკვეული ინფორმაციის მიღებას გამოკითხვით, ხოლო ამის შემდეგ თუ მას შეექმნა საფუძვლიანი ეჭვი, რომელიც დააკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს მოახდინოს პირის შემოწმება და ჩხრეკა. ფიზიკური კონტაქტის შემცირება ვფიქრობ ასევე შესაძლებელი იქნება, თუ პოლიციის ეკიპაჟს თან ექნება სპეციალური ხელსაწყო (მეტალ დეტექტორი), რომლის გამოყენება არ არღვევს ადამიანის უფლებებს და თან შესამოწმებელი პირი ვერ შეძლებს კანონსაწინააღმდეგო ნივთის დამალვას. ეს მეთოდი ასევე გამოდგება უცხოელების შესამოწმებლადაც, რადგან თითქმის ყველა ადამიანმა იცის თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ მსგავსი ხელსაწყო მის მიმართ. უცხოელების შემოწმების და მათი უფლებების გაცნობის მიზნით კარგი იქნება თუ პოლიციის თანამშრომლებს თან ექნებათ, რამოდენიმე ენაზე ნათარგმნი ინფორმაცია უფლებების შესახებ, ისინი დროს აღარ დაკარგავენ თარჯიმნის მოსვლამდე და საგამოძიებო მოქმედების შესრულება უფრო გამარტივდება, რადგან პირისთის წერილობით იქნება მიწოდებული ინფორმაცია ყველა მისი უფლების შესახებ, რომელიც მას გააჩნია, მისთვის გასაგებ ენაზე.

პრობლემას ვაწყდებით, როდესაც საქმე ეხება ჩატარებული ჩხრეკის ოქმის შედგენასა და შემდგომ მისი კანონიერებს შემოწმებას. პროკურორთა მიერ სუბიექტურ შეფასებაზე საუბრობს თავის ანგარიშში ტომას ჰამარბერგი. ის აღნიშნავს, რომ მათ მიერ არ ხდება დარღვევით შედგენილი ოქმებისთვის

ყურადღების მიქცევა[141]. აღნიშნული ხელს უწყობს სამართალდამცავებში კანონის უგულვებელყოფას, რადგან პროკურორის მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება უფლებას აძლევს მათ იფიქრონ, რომ თავიანთი ქმედების გამო არ ისჯებიან. პროკურორს გაცილებით, მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება კანონმდებლობისა და საზოგადოების წინაშე. პროკურორმა ასეთი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოთხოვოს ჩხრეკის ჩამტარებელ პირს, უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა, გააფრთხილოს მის მიერ არა ჯეროვნად ჩადენილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესახებ, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოითხოვოს საჭირო ორგანოების მიერ ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება თავისი ქმედების გამო.

ტომას ჰამარბერგი ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად მსგავსი დარღვევებისა საქმის წარმოება მაინც ხდებოდა სასამართლოების მიერ. სასამართლოს პრაქტიკაზე საუბრისას აშკარად უნდა ვახსენოთ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2011 წელს 13788 საქმიდან დაკმაყოფილდა 13787 შუამდგომლობა,[142] რაც რა თქმა უნდა დამაფიქრებელი რიცხვებია. იმის ნაცვლად, რომ სასამართლომ, რომელსაც კანონმდებელმა მისცა უფლება, როგორც ობიექტურ კომპეტენტურ მხარეს დაეცვა ადამიანის უფლებები და მოეთხოვა იმ სტანდარტებისა და ნორმების დაცვა რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ის ყურადღებას არ აქცევდა ადამიანის უფლებებს. აღნიშნული მიდგომა ჩხრეკის ჩამტარებელ პირებს აძლევდა საკუთარი თავისთვის მიეცათ უფლება ნაკლები პროფესიონალიზმით მოკიდებოდნენ კანონმდებლობას და ადამიანის უფლებებს. მსგავსი სახის პრობლემი აღმოსაფხვრელად ვფიქრობ საჭიროა, მოხდეს სისხლის სამართლის საქმეების უფრო ხშირი მონიტორინგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც საბოლოო ჯამში მოგვცემენ რეკომენდაციებს, რომელთა გათალისწინება აუცილებელი იქნება ქართულის სამართლებრივი სისტემის განვითარებისთვის. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელი იქნება ყველა საჭირო ზომის მიღება და დასჯა იმ არაპროფესიონალების, რომელთათვისაც კანონის უზანაესობა მხოლოდ ფორმალობაა, რათა მომავალში მსგავს პრაქტიკას აღარ ჰქონდეს ადგილი.

საინტერესო არის ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრის ჩხრეკა, რომელიც შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობით. კანონმდებელი არ აზუსტებს, თუ როდის შეიძლება მოთხოვნილ იქნას წინასწარი თანხმობა, როდესაც ეს ხდება გადაუდებელი აუცილებლობით თუ სასამართლოს განჩინების შემდეგაც. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პარლამენტის წინასწარი თანხმობა უნდა იქნას გაცემული, რაზეც ვფიქრობ, რომ არის გარკვეულ წილად სასამართლოს როლში შეჭრა და მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ გაცემული იქნება ჩხრეკის

---

[141] ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, , 30 ივნისი, 2011წ. 15

[142] საქართველოს ახლაგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, (2012). *ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.* თბილისი. 29-30

ჩატარების ნებართვა, საგამოძიებო ორგანო და პროკურატურის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, საქმისათვის აუცილებელი მტკიცებულების მოპოვებაში დაარწმუნონ პარლამენტიც ანუ იქმნება „ორ საფეხურიანი სისტემა“, რაც ჩემი აზრით იწვევს საქმისათვის უმნიშვნელოვანესი დროის კარგვას. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს დაბრკოლებას სამართლიანი გამოძიებისთვის, რადგან იმ დროის პერიოდში რაც საჭიროა პარალმენტის თანხმობის გამოსათხოვად, პარლამენტის წევრს ეძლევა საშუალება გაანადგუროს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც შეიძლება მასთან ინახებოდეს. ამიტომ მინდა ავღნიშნო ავსტრალიის მაგალითი, რომლის თანახმადაც საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, პარლამენტის თანხმობის გარეშე გაჩხრიკოს პარლამენტარი თუ არსებობს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება ჩხრეკის შესახებ. ეს პრაქტიკა ვფიქრობ წინ გადადგული ნაბიჯი იქნება, როგორც სასამართლო სისტემებისთვის ასევე საგამოძიებო ორგანოებისთვისაც.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ პატიმრების პირადი ჩხრეკა, რომელიც მოიაზრებს მათი სხეულის სრულ შემოწმებასაც. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა მსოფლიოს სამართლებრივი სისტემისთვის, რადგან სწორედ აღნიშნულთან არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების ყველაზე ხშირი დარღვევა. პრობლემას წარმოაგდენს ციხის პერსონალის მიერ ჩატარებული, ჩხრეკები დასაბუთების გარეშე, მხოლოდ მათი ძალაუფლების დემონსტრირების გამო. მსგავის პრაქტიკის აღმოფხვრას ცდილობს ყველა საერთაშორიო ორგანო, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ პატიმრის სრული ჩხრეკა უნდა მოხდეს მხოლოდ მაღალი საფრთხის არსებობისას, სწორედ ასეთი მიდგომა იქნება პრობლემის ის ერთადერთი გადაჭრა, რომელიც უკავშირდება პატიმრების ჩხრეკას. პროფესიული ცოდნის ამაღლება ციხის პერსონალში. მათში იმის გააზრება, რომ პატიმრებიც ადამიანები არიან, მათი დამცირება და ღირსების შელახვა კანონმდებლობის აშკარაა დარღვევაა. ციხის განაწესი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ჩხრეკის წესს, რომელიც ორივე მხარემ უნდა იცოდეს, ორივე მხარის მიერ უნდა მოხდეს ამ განაწესის შესრულება. პატიმრების საჩივრების მოკვლევა და უფრო მეტი ყურადღების დათმობა მათი პრობლემების გადაჭრისთვის ისე, რომ შესრულდეს სასჯელის მიზნები, როგორც ეს ქართული კანონმდებლობით არის დადგენილი.

იმისთვის, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემები თავიდან იქნას აცილებული და პირადი ჩხრეკა ჩატარდეს კანონმდებლობის სრული დაცვით ამისათვის აუცილებელია, თითოეულმა უფლებამოსილმა პირმა, რომელსაც კანონმდებლობის მიხედვით შეხება აქვს პირად ჩხრეკასთან, საკითხს მოეკიდოს სრული პროფესიონალიზმით, იქნება ეს პოლიციის თანამშრომელი, გამომძიებელი, პროკურორი თუ მოსამართლე. მათ ევალებათ პატივისცენ ადამიანის ძირითად უფლებებს და დაიცვან ისინი, მოხდეს ამ უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კანონით დადგენილი ფარგლებით. ყველა უფლებამოსილი პირი, უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქმედებით ის იჭრება ადამიანის უფლებებში და მის არასწორ ქმედებას მოყვება საპასუხო რეაგირება. შსს თანამშრომლები აუცილებლად გაითვალისწინებენ ფაქტს, რომ მათ საქმე აქვთ ისეთ ადამინებთან, რომლებსაც შეუძლიათ მეტ-ნაკლებად

საკუთარი უფლებების დაცვა. ისინი იძულებულნი იქნებიან დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნორმა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობა, როგორც კანონმდებლობის დარღვევისთვის ასევე არა ჯეროვნად შესრულებული სამსახურეობრივი მოვალეობის გამო.

ბიბლიოგრაფია

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო)
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 9 ოქტომბერი)
3, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი)
4. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. 2009 წლის 4 დეკემბერი.
5. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ. 2013 წლის 4 ოქტომბერი
6. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2005 წლის 8აპრილი.
7. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. (2014 წლის 5 მარტი)
8. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის. ბრძანება №111, 27,08,2015
9. საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. (2010 წლის 9 მარტი.)
10. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. *ბრძანება №200. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,* 2013 წლის 1 აგვისტო
11. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. 2018 წლის 6 დეკემბერი
12. Council of Europe, European Prison Rule, June 2006
13. Iceland. Act On Foreigners, 2002
14. The United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners, the Nelson Mandela Rules

სამეცნიერო ლიტერატურა

1 ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, (რედ.) გიორგაძე გ., ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), მერიდიანი, თბილისი, 2015. 392-393
2. ავტორთა ჯგუფი, (რედ.) ფაფიაშვილი ლ., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017,
3. *ბოხაშვილი ბ., მშვენიერიძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში,* 2016.
4. გუცენკო კ., ფილიმონოვი ბ., გოლოვკო ლ., *დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი.* თბილისი.
5.ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „ადამიანისუფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“. *წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები*

6. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, , 30 ივნისი, 2011წ.
7. ვოგლერი, რ. (2017). *პროკურორებისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგილისი და უელსი.* ფალმერი, ინგლისი.
8. თუმანიშვილი გ., პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, *სამართლის ჟურნალი №1 2009* .
9. იმნაძე ნ., გიგინეიშვილი მ., ერემაშვილი ნ., *სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის მეთოდოლოგია*
10. კოილი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. (სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის), (2002)
11. "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" (რედ.) კვაჭაძე მ., პატიმრობის პირობები თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, 2008
12. *მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2012.*
13. მერდოკი ჯ, ვაცლავ ჟ. არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ციხეში, 2016
14. საქართველოს ახლაგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, (რედ.) ყვირალაშვილი ხ., *ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.* თბილისი, 2012
15. საქართველოს *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. კოილი ე. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან.* (2007).
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHc636bb874c24c9a7b4633d.7 (გამოხმობილია 13.07.2019)
16. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (2015). *სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის.* თბილისი.
17. ტეილორი მ., *ადამიანის უფლებები პოლიციის მოღვაწეობაში,* სტრასბურგი. 2005
18. ქელბაქიანი ა, ცაგარელი ნ, ჭყოიძე დ. მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა, 2018
19. "ღია-საზოგადოება საქართველო". ჩომახაშვილი ქ, თომაშვილი თ, ძებნიაური გ, ოსეფაშვილი ს, პატარიძე მ. (2016). *მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში.* თბილისი.
20. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია (ზოია) მ., *სასჯელაღსრულებითი სამართალი, (სახელმძღვანელო),* თბილისი, 2014
21. "ციხის საერთაშორისო რეფორმა",. *გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (,,ნელსონ მანდელას წესები") სახელმძღვანელოს შემოკლებული რედაქცია.* 2016

22. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, *წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები*
23. „EMC", "სიფა", (რედ.)კალატოზიშვილი ნ., საგამოძიებო სისტემის ანალიზი, თბილისი, 2018
24.Council of Europe/European Court of Human Rights, *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights - Right to respect for private and family life.* 2019
25. *Harry Evans. Odgers' Australian Senate Practice.* (2016).
26. *The Doctrine Of Judicial Privilege: The Historical And Constitutional Basis Supporting A Privilege For The Federal Judiciary.* (1987).
27. *Helsinki Foundation for Human Rights. Victims, suspects, accused Rights of foreigners in criminal proceedings – a guide.* (2017). Warsaw.
28.Helsinki Foundation for Human Rights. *INSIDE POLICE CUSTODY – PROCEDURAL RIGHTS AT POLICE STATIONS*
29. Goring, D. C. (1984). Fourth Amendment--Prison Cells: Is there a Right to Privacy. *Journal of Criminal Law and Criminology*.
30. A WHO guide to the essentials in prison health, Health in prisons.
31. Report to the Bulgarian Government on the visit to Bulgaria carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 24 March to 3 April 2014
32. College of Policing. (2017). *Does more stop and search mean less crime?*
33. GEHL R., PLECAS D., *Introduction to Criminal Investigation: Processes, Practices and Thinking.* NEW WESTMINSTER, 2016
34. Alkharashi, S. A. (2015). *Human Rights in the Stage of Criminal Investigation:A Comparison between Law and Practice in Saudi Arabia and England and Wales.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. *საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ. №2/4/665,683* , 26 ივლისი 2018.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1.თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. განჩინება, საქმე N1გ/22-19, 05 იანვარი 2019
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. განჩინება, საქმე №1გ/404, 22 მარტი, 2017 წელი
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. განჩინება, საქმე №1გ/983, 03 ოქტომბერი 2014.
4. U.S. Supreme Court. Hudson v. Palmer, 1984

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები
1.ECtHR. KEEGAN v. THE UNITED KINGDOM. № 28867/03, 18.07.2006
2.ECtHR. McLEOD v. THE UNITED KINGDOM, №24755/94 , 23.09.1998
3. ECtHR. WAINWRIGHT v. THE UNITED KINGDOM, № 12350/04 26.09.2006
4. ECtHR. VAN DER VEN v. THE NETHERLANDS, № 50901/99 2003.04.02
5. ECtHR. JAEGAR v. ESTONIA, № 41205/98, 31.07.2014
6. ECtHR. VALAŠINAS v. LITHUANIA, № 44558/98, 24.07.2001

ინტერნეტ რესურსები

1. Meador, D. (2017, May 9). *ThoughtCo*. Retrieved from Search and Seizure in Schools and Fourth Amendment Rights: https://www.thoughtco.com/search-and-seizure-in-schools-3194666 (გამოხმობილია 13.07.2019)
2. *Kids Legal*, School Searches and Seizure : https://kidslegal.org/school-searches-and-seizure (გამოხმობილია 13.07.2019)
3. *Personal Searches in Australia*., https://www.gotocourt.com.au/criminal-law/police-searches/personal-searches/ (გამოხმობილია 29.06.2019)
4.*Police powers to search*, Retrieved from Legal Aid: https://www.legalaid.wa.gov.au/find-legal-answers/crime/under-arrest-and-police-powers/police-powers-search (გამოხმობილია 29.06.2019)
5. Roe, A. (2014). How to Deal with Italy's Police Checkpoints. *Italy Chronicles* . http://www.italychronicles.com/italy-police-checkpoints/ (გამოხმობილია 29.06.2019)
6. Fontaine, P. (2017). *Law On Foreigners Expands Police Power*. Retrieved from The Reykjavik Grapevine: https://grapevine.is/news/2017/01/09/law-on-foreigners-expands-police-power/ (გამოხმობილია 12.07.2019)
7. Fontaine, P. (2015, December 21). Retrieved from Icelandic Police Can Seize Foreigners' Valuables: https://grapevine.is/news/2015/12/21/icelandic-police-can-seize-foreigners-valuables/ (გამოხმობილია 12,07,2019)
8. *South African History online*. SPEECH BY PRESIDENT NELSON MANDELA AT THE OFFICIAL LAUNCH OF THE RE-TRAINING AND HUMAN RIGHTS PROJECT OF THE DEPARTMENT OF CORRECTIONAL SERVICES. (Kroonstad, 25 June 1998). https://www.sahistory.org.za/archive/speech-president-nelson-mandela-official-launch-re-training-and-human-rights-project-departm (გამოხმობილია 13.07.2019)
9. *The National Prisoners' Families Helpline*. Visiting a Prison:. https://www.prisonersfamilies.org/visits/ (გამოხმობილია 12.07.2019)
10. LLB, L. T. (თ. გ.). *In Brief*. Prison Visits: Types of prison visits https://www.inbrief.co.uk/prison-law/prison-visits/ (გამოხმობილია 12.07.2019)
11. Brief guides to senate procedure. *Parliamentary privilege*. https://www.aph.gov.au/binaries/senate/pubs/guides/briefno22.pdf(გამოხმობილია 13.07.2019)

12. CLEO, Criminal Law. Police Powers: Stops and Searches, 2018 https://www.cleo.on.ca/en/publications/polpower(გამოხმობილია 13,07,2019)
13. *Robert Marleau. Camille Montpetit. HOUSE OF COMMONS PROCEDURE AND PRACTICE, PRIVILEGES AND IMMUNITIES.* (2000). https://www.ourcommons.ca/marleaumontpetit/DocumentViewer.aspx?Language=E&Sec=Ch05&Seq=3 გამოხმობილია 13,07,2019
14. *Scotland Police, Know Your Rights, https://www.scotland.police.uk/assets/pdf/keep_safe/know-your-rights. (*გამოხმობილია *14,07,2019)*
15. UK, Home Office. (2013). *Search of person.* : https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/494302/Search_of_person_v1_0_EXT.pdf (გამოხმობილია 14.07.2019)
16. BAKER A, RIVERA R. (2010).. U.S. Reviews New York Police Dealings With People Who Don't Speak English. *The New-York Times.* https://kidslegal.org/school-searches-and-seizure (გამოხმობილია 29.06.2019)
17. Марина, К. (2008). *В тюрьме* http://rulibs.com/ru_zar/home/kuropatkina/0/j24.html (გამოხმობილია 29.06.2019)
18. College of Policing, Police Search Adviser (PolSA), https://profdev.college.police.uk/professional-profile/police-search-adviser-polsa/ , გამოხმობილია 13,07,2019
19. Taylor M., (31.03.2019). Police given more stop and search powers to tackle knife crime. *The Guardian* https://www.theguardian.com/uk-news/2019/mar/31/police-given-more-stop-and-search-powers-to-tackle-knife . (გამოხმობილია 13,7,2019)
20. Travis, A. (30,04,2014). Theresa May announces reform of police stop-and-search powers. *The Guardian* . https://www.theguardian.com/law/2014/apr/30/theresa-may-reform-police-stop-and-search-powers , გამოხმობილია 13,07,2019
21.Ehlenberger, K. R. (2002). The Right to Search Students. *EDUCATIONAL LEADERSHIP*, http://www.ascd.org/publications/educational-leadership/dec01/vol59/num04/The-Right-to-Search-Students.aspx გამოხმობილია 12,07,2019.
22. Police., A. F. (n.d.). *National Guideline for Execution of Search Warrants where Parlaimentary Privilige may be involved.* file:///E:/Downloads/AFPnationalguideline_executionsearchwarrants_parliamentaryprivilegeinvolved%20(2).pdf गამოხმობილია 13,07,2019
23. The disciplinary system for judges in Poland, https://www.esiweb.org/pdf/ESI-Batory%20Polands%20courts%20under%20siege%20-%20Annex%2022%20March%202019.pdf გამოხმობილია 13,07,2019
24. არაბული, ნ. (2018 წლის 28 ივნისი). *რადიო თავისუფლება.* დაბრუნებული გაშიშვლება და სხეულის აგრესიული ჩხრეკა ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. https://www.radiotavisupleba.ge/a/გაშიშვლება-და-სხეულის-აგრესიული-ჩხრეკა-ქალთა-სასჯელაღსრულების-დაწესებულებაში-/29325720.html (გამოხმობილია 13,07,2019)

25. კროუშოუ რ., (რედ.) ჯოხაძე გ., *პოლიცია და ადამიანის უფლებები,* 2006, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10-TI--4----Doc---0-1l--10-ka-50---20-about-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98--00-3-1-00-0-0-01-0-0utfZz-8-00&cl=search&d=HASHb843a3970f60a05b01f3f6&gt=2 გამოხმობილია. 12,07,2019

26.საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო. არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება ბოლო პერიოდში პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდების შესახებ, https://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiata-ertoblivi-gantskhadeba-bolo-periodshi-politsi , გამოხმობილია 13,07,2019